განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ბატონი დევიდ კაირნსი, უმაღლესი განათლების დამოუკიდებელი კონსულტანტი, დირექტორი, შპს ხარისხის უზრუნველყოფის კვლევა უმაღლესი განათლებისთვის, გაერთიანებული სამეფო

წევრები:

დოქტორი ელენა ჩერქეზია, მსოფლიო ბანკი FLEG2 ეროვნული მრჩეველი, MAPB, Tempus პროექტი, აკადემიური კოორდინატორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

სალომე ძაგნიძე, სტუდენტი ექსპერტი, საქართველო

პროფესორი დიმიტრი გეგენავა, პრორექტორი, ასოცირებული პროფესორი, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო

პროფესორი ავთანდილ თავხელიძე, ფიზიკის პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

პროფესორი ლევან ცაგარელი, ხელოვნებისა და მეცნიერების სკოლა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი

2018

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი, სსუ) პირველად დაარსდა სოხუმში 1932 წელს, როგორც „სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი“. 1979 წელს იგი ჩამოყალიბდა როგორც აფხაზეთის (სოხუმის) უნივერსიტეტი. 1989 წლიდან უნივერსიტეტის ქართული ნაწილის ბაზაზე ჩამოყალიბდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, რომელმაც 1993 წლიდან ქ. თბილისში გააგრძელა ფუნქციონირება. 2007 წელს საქართველოს მთავრობამ სოხუმის ფილიალი ოფიციალურად „სოხუმის უნივერსიტეტად“ ჩამოაყალიბა. 2008 წელს საქართველოს მთავრობამ უნივერსიტეტს მიანიჭა საგანმანათლებლო საქმიანობის წარმოების სახელმწიფო ლიცენზია, ხოლო 2010 წლის დეკემბერში, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, სოხუმის უნივერსიტეტი განისაზღვრა „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტად“. 2012 წლის სექტემბერში, მთავრობის საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უნივერსიტეტის)“ სტატუსი მიანიჭა და მასში სტუდენტების მიღების ოდენობა 2871 სტუდენტით განსაზღვრა.

უნივერსიტეტის სოხუმიდან წარმომავლობა და მისი ძალისხმევა შეინარჩუნოს კონტაქტები ქართველებსა და აფხაზებს შორის და ხელი შეუწყოს პოლიტიკური და ეთნიკური დავების მშვიდობიან გადაწყვეტას, უნივერსიტეტის მისიის განმასხვავებელ მახასიათებლებს წარმოადგენს, რაც კიდევ უფრო ფართოვდება სტუდენტების მომზადებით, რათა მათ წვლილი შეიტანონ საქართველოსა და მისი ხალხის მატერიალურ და კულტურულ განვითარებაში. უნივერსიტეტში მოქმედებს შვიდი ფაკულტეტი, რომელთა მეშვეობითაც იგი ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას, მათ შორის კვლევას. უნივერსიტეტი შედგება შემდგომი ფაკულტეტებისგან: მათემატიკის და კომპიუტერულ მეცნიერებათა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, განათლების, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების, იურიდიული, ეკონომიკისა და ბიზნესის. უნივერსიტეტმა ასევე დაარსა მოლეკულური დიაგნოსტიკისა და ბიოტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. თავის ცენტრში, უნივერსიტეტმა დანერგა მომსახურებები და ცენტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ ადმინისტრაციულ და პროფესიონალურ მხარდაჭერას მისი საგანმანათლებლო საქმიანობისთვის.

როდესაც უნივერსიტეტმა წარადგინა თავისი მტკიცებულებები საავტორიზაციო განხილვისთვის, იგი სტუდენტებს სთავაზობდა 55 საბაკალავრო პროგრამას, 19 სამაგისტრო პროგრამასა და 7 სადოქტორო პროგრამას, ასევე მასწავლებელთა გადამზადებისა (1 პროგრამა) და ქართული ენის მოსამზადებელ პროგრამას (1 პროგრამა). ჯამში უნივერსიტეტში იყო განათლების ხარისხის გაუმჯობესების ეროვნული ცენტრის მიერ აკრედიტებული 41 პროგრამა, ასევე 5 სხვა პროგრამა, რომლებიც ხელახალ აკრედიტაციას გადის. უნივერსიტეტი სტუდენტებს ასევე სთავაზობდა 10 გაცვლით პროგრამას სხვა დაწესებულებებთან საქართველოში და საზღვარგარეთ. როდესაც უნივერსიტეტს ბოლოს მიენიჭა ავტორიზაცია, მან 2871-

მდე სტუდენტის მიღება შეძლო. როდესაც უნივერსიტეტმა წარადგინა მტკიცებულებები საავტორიზაციო განხილვისთვის, უნივერსიტეტში 2453 სტუდენტი ირიცხებოდა, ხოლო 1470 სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა რეგისტრაცია (2453 (1,470)). ამ სტუდენტებიდან 2154 (1213) ბაკალავრიატის სტუდენტია; 229 (132) მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტი; 34 (124) დოქტორანტი; 16 (0) მასწავლებლის გადამზადების სტუდენტი და 20 (1) ქართული ენის სტუდენტი. უნივერსიტეტის შვიდი სტუდენტი სპეციალური საჭიროების მქონედ განისაზღვრა.

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

საავტორიზაციო შეფასების მიზანი იყო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის (სსუ) მიერ გაკეთებული განაცხადის შესწავლა 2012 წელს მინიჭებული ავტორიზაციის განახლებისთვის, რომელსაც ვადა აქვს 2019 წლის იანვრამდე.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში მიიღო 2018 წლის 2 ოქტომბერს. ექსპერტთა ჯგუფი თავდაპირველად დაინიშნა 2018 წლის 27 სექტემბერს. იგი შედგებოდა ექვსი წევრისგან, მათ შორის გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების ექსპერტისგან, რომელიც ჯგუფის თავმჯდომარეა და ხუთი ქართველი წევრისგან: სამი აკადემიური ექსპერტი, ერთი შრომის ბაზრის ექსპერტი და ერთი სტუდენტი.

ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში მიიღო 2018 წლის 2 ოქტომბერს, სხვა თანმხლებ დოკუმენტებთან ერთად, დამატებითი ინფორმაციებით, სხვადასხვა დროს, ეტაპობრივად, მათ შორის ადგილზე ვიზიტის დროს. ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ თვითშეფასების ანგარიში უმეტესად აღწერითი ხასიათის იყო, ვიდრე შეფასებითი და ზოგიერთი მნიშნელოვანი საკითხის გარკვევა, მხოლოდ ადგილზე ვიზიტის დროს გახდა შესაძლებელი. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი SWOT ანალიზი ობიექტური იყო და საკმაოდ ინფორმაციული აღმოჩნდა ადგილზე ვიზიტის დაგეგმვისას. თვითშეფასების ანგარიში წარმოდგენილია როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენაზე, ისევე როგორც სხვა დოკუმენტების უმრავლესობა, თუმცა არა ყველა მათგანი.

უნივერსიტეტში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 16, 17 და 18 ოქტომბერს, განათლების ხარისხის გაუმჯობესების ეროვნული ცენტრის თანამშრომლების მიერ საიროენტაციო ბრიფინგის გამართვის შემდეგ, რომელიც ცენტრის სათაო ოფისში შედგა 15 ოქტომბერს. ვიზიტის პროგრამა მოიცავდა მისალმებასა და გაცნობით შეხვედრას რექტორთან და მის ჯგუფთან, ასევე უნივერსიტეტის ტერიტორიის დათვალიეერებას, რის შემდეგაც გაიმართებოდა 23 შეხვედრა ექსპერტთა ჯგუფის მიერ, უნივერსიტეტის პერსონალთან და სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და გარე დაინტერესებულ მხარეებთან. ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის უფროს ხელმძღვანელობას რამდენიმეჯერ, სრულ განაკვეთზე მომუშავე და მოწვეულ აკადემიურ პერსონალსაც; ასევე ადმინისტრაციულ და სტუდენტთა მხარდამჭერ პერსონალს; ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის, ასევე მკვლევარ სტუდენტებს და გარე დაინტერესებულ მხარეებს. ექსპერტთა ჯგუფსა და უნივერსიტეტის წევრებს შორის, ასევე დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრები გაიმართა ქართულ და ინგლისურ ენაზე თანმიმდევრული თარგმანის დახმარებით (ქართული:ინგლისური;

ინგლისური:ქართული), რომელიც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უზრუნველყოფილმა თარჯიმნებმა გაუწიეს.

19 ოქტომბერს, ადგილზე ვიზიტის შემდეგ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გამართულ შეხვედრაზე, ექსპერტთა ჯგუფმა ავტორიზაციის კრიტერიუმებთან მიმართებაში განიხილა უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, იმ მტკიცებულებებთან ერთად, რომლებიც ჯგუფმა შეხვედრების დროს მოიპოვა.

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის უნივერსიტეტს და ყველას, ვინც დრო დაუთმო მასთან შეხვედრას და დაეხმარა უნივერსიტეტისა და მისი კონტექსტის უკეთ გაგებაში. ექსპერტთა ჯგუფი განსაკუთრებით მადლიერია იმ პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების, ვინც უნივერსიტეტში სპეციალურად ჯგუფთან შესახვედრად მივიდა.

პანელი ასევე აცნობიერებს გულწრფელობასა და კოლეგიალურობას შეხვედრაზე დამსწრეთა პასუხებისას პანელის კითხვებზე, ასევე უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის ხარისხს პანელის ანგარიშის პროექტის პასუხად. პანელის უსურვებს წარმატებას უნივერსიტეტს მომავალში, რომელიც ბმაშია ამ ანგარიშში მოცემულ მიგნებებთან.

რეკომენდაციები

უნივერსიტეტმა თითოეული სამოქმედო გეგმისთვის უნდა დააკონკრეტოს შესრულების მაჩვენებლები, რომლებიც წარმომადგენლობით და აკადემიურ საბჭოს შესაძლებლობას მისცემს, კვარტალში ერთხელ, შეაფასოს ის თუ რამდენად ხდება სამოქმედო გეგმების ამოცანების მიღწევა და რომ სამოქმედო გეგმები უნდა განახლდეს, რათა მათში ნაჩვენები იყოს ფაკულტეტების როლი გეგმების ამოცანების განხორციელებაში.

უნივერსიტეტმა მეტი პრიორიტეტი მიანიჭოს ინგლისურ ენაზე სწავლებას ყველა სტუდენტისა და პერსონალისთვის, მათ შორის მათთვის ვინც კვლევით პროექტებშია.

უნივერსიტეტმა წარმომადგენლობით საბჭოსა და აკადემიურ საბჭოს, თითოეულ სესიაზე, შესაბამის მონაკვეთში, გადაუდებელი საკითხის საკით უნდა წარუდგინოს თავისი სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის, ანალიზისა და ანგარიშგებისთვის საჭირო ზომები; მიღებული პირობები უნდა მოიცავდეს ანგარიშის ჩაბარებას უნივერსიტეტში ნასწავლი კურსდამთავრებულებისა და კვლევის სტუდენტების აკადემიურ მოსწრებაზე; პროგრესისა და სწავლის გაგრძელების მაჩვენებელს პროგრამისა და სასწავლო სფეროს მიხედვით; არაეთიკური ქცევის, მათ შორის პლაგიატის სიხშირეს; სტუდენტების ოფიციალურ და არაოფიციალურ საჩივრებზე; აკადემიური გადაწყვეტილების მიღების წინააღმდეგ მათ მიერ შეტანილ საჩივრებზე.

როგორც გადაუდებელი საკითხი, უნივერსიტეტმა პირველ რიგში შეიმუშავოს და ჩაატაროს ინტენსიური მოსამზადებელი პროგრამა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, შემდეგ კი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის იმის თაობაზე თუ რას წარმოადგენს პლაგიატი და როგორ შეიძლება მისი გამოვლენა. ტრენინგზე დამსწრეთათვის, ამას თან უნდა ახლდეს რჩევა იმის შესახებ, თუ რა ზიანს მიაყენებს უნივერსიტეტის რეპუტაციასა და მათ მომავალ კარიერას პლაგიატის შეუმოწმებლობა.

უნივერსიტეტმა კონსულტაცია უნდა გაიაროს პერსონალთან და სტუდენტებთან, როდესაც იგი შეიმუშავებს „აკადემიური თავისუფლების“ სამუშაო განსაზღვრებას, მისი გამოყენების მაგალითებით, უნივერსიტეტის წესდებაში ამ განსაზღვრების შეტანა უნდა განიხილოს და გაიაროს (ყველა საჭირო ცვლილების შეტანით) წარმომადგენლობითმა საბჭომ და აკადემიურმა საბჭომ და ამ წესდების ოფიციალურად მიღების შემდეგ, იგი უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

უნივერსიტეტმა, პროგრამების შემუშავებისა და განვითარებისთვის არსებული სამი მეთოდოლოგიის დოკუმენტებიდან, უნდა ამოიღოს მათ საფუძვლად არსებული მთავარი პრინციპები და გამოსცეს საპროგრამო განაცხადი, სადაც გაწერილი იქნება უნივერსიტეტის მიდგომა საგანმანათლებლო პროგრამების

შემუშავებისა და განვითარებისათვის, რათა იგი წარედგინოს აკადემიურ საბჭოსა და წარმომადგენლობით საბჭოს.

უნივერსიტეტმა გადახედოს მის სილაბუსებში ჩამოთვლილ სასწავლო რესურსებს და დარწმუნდეს, რომ ძირითადი ლიტერატურა არის ქართულ ენოვანი და შეამოწმოს თავისი პროგრამების თითოეულ სილაბუსში, თუ როგორ არის გამოთვლილი კრედიტებით განსაზღვრული საათები და, რომ ეს შეესაბამება ეროვნულ და საერთაშორისო ნორმებსა და მოთხოვნებს.

უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს თავისი პროგრამების სილაბუსებს, რათა შეამოწმოს, რომ მათში დასახელებული სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგიები უზრუნველყოფენ სტუდენტებს, მიაღწიონ შესაბამის სწავლის შედეგებს.

უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს პოლიტიკა და სტრატეგია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ყველა წევრის უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით. ეს პოლიტიკა განსახილველად უნდა წარედგინოს წარმომადგენლობით და აკადემიურ საბჭოებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აკადემიური პერსონალის განვითარების საჭიროებებს და ხაზი გაესვას თუ როგორ გეგმავს უნივერსიტეტი წაახალისოს სწავლებისა და შეფასების უნარები, უფრო მეტად კი გადაამზადოს ისინი კვლევით უნარებსა და მეთოდებში.

უნივერსიტეტმა უნდა განსაზღვროს საკუთარი მოლოდინები იმის თაობაზე, თუ რას უნდა მიაღწიოს (სამიზნე ნიშნულები) აფილირებულმა პერსონალმა მაგალითად სწავლებაში, დისერტაციებისა და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობაში, კვლევაში და კვლევით საქმიანობაში და თუ როგორ შეიძლება აკადემიური პერსონალის და კერძოდ აფილირებული პროფესორების წახალისება, რომ ამ სამიზნეებს მიაღწიონ.

უნივერსიტეტმა უნდა განსაზღვროს და ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს მოწვეული პერსონალის დანიშვნის პოლიტიკა, იმის გამოთვლის წესები, თუ როდის არის საჭირო მოწვეული პერსონალის დანიშვნა, მოწვეული პერსონალისთვის გამოსაყოფი ფინანსების დამტკიცების პროცედურები და მოწვეული პერსონალის დანიშვნის პროცედურები.

უნივერსიტეტი უნდა დააკვირდეს იმას იცავს თუ არა და როგორ იცავს პერსონალი აფილირების პირობების მოთხოვნებს და ამ მონტორინგის შედეგების ანგარიში უნივერსიტეტმა პერიოდულად უნდა წარუდგინოს წარმომადგენლობით და აკადემიურ საბჭოებს.

უნივერსიტეტმა უნდა შეამოწმოს საჩივრების პროცედურები სამართლიანობისა და გონივრულობის მიზნით და ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს გასაჩივრების პროცედურები, განახლებული სახით.

სტუდენტთა ინტერესების, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის დასაცავად, უნივერსიტეტმა გამოაქვეყნოს ის პირობები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს ფინანსური დახმარების მისაღებად სოციალურად და ფინანსურად რთულ მდგომარეობაში მყოფი სტუდენტებისთვის და ვებ-

გვერდზე უნდა გამოაქვეყნოს ის პირობები, რომლის შემთხვევაშიც უნივერსიტეტი მზადაა გამოყოს დისკრეციული ფინანსები სტუდენტებისთვის საერთაშორისო კონფერენციების დასასწრებად.

კვლევის მეთოდებში ტრენინგი უნდა ჩაუტარდეს მაგისტრატურის საფეხურის ყველა სტუდენტს.

უნივერსიტეტმა გადახედოს აკადემიური და კვლევითი პერსონალის მიერ განსახორციელებელი კვლევის ხარისხისა და მოცულობის გაზრდის სტრატეგიებს, ასევე სტრატეგიებს კეთილმოწყობისა და პრაქტიკული განხორციელების უზრუნველსაყოფად.

გააუმჯობესოს ინგლისური ენის სწავლების ხარისხი გააუმჯობესოს და ხელი შეუწყოს დოქტორანტებს, რომ უფრო მზად იყვნენ საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობის მისარებად.

უნივერსიტეტმა უნდა განსაზღვროს შესრულებული სამუშაოს მაჩვენებლები, როგორიცაა კვლევითი ნაშრომებისა და სხვა პუბლიკაციების ის რაოდენობა საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, რომელსაც იგი მოელის თითოეული ფაკულტეტისა და კვლევითი ცენტრისგან წლიურად და რომ გამოიყენოს ამასთან ერთად სხვა უკვე არსებული ზომები იმის დასადგენად თუ სად უნდა გაამახვილოს მეტი ყურადღება გაუმჯობესების მიზნით.

უნივერსიტეტმა, პროგრამის ლიდერებთან, დეკანებთან და სტუდენტურ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით, გადახედოს სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახურის მუშაობას, რათა განსაზღვროს რა დამატებითი ადამიანური რესურსი და ტრენინგი შეიძლება იყოს საჭირო იმისათვის, რომ ამ სამსახურმა შეძლოს სტუდენტებისთვის უშუალო მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

უნივერსიტეტმა გადახედოს და აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოს ანგარიში ჩააბაროს იმის თაობაზე თუ რა არის საჭირო მდგრადი სწავლის, სწავლებისა და კვლევის უზრუნველსაყოფად და მხარდასაჭერად საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში და განახორციელოს შესაბამისი მიგნებები.

უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს იმ ინსტრუქტაჟის ეფექტურობა, რომელსაც სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს იმისათვის, რომ ბიბლიოთეკისა და სხვა ინფორმაციისა თუ მონაცემთა წყაროების დამოუკიდებლად მოხმარება შეძლონ, ამ დაკვირვების შედეგები, რეკომენდაციებთან ერთად გაუმჯობესების მიზნით წარუდგინონ აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოს.

უნივერსიტეტმა უზრუნველყოს უსაფრთხოების წესების და პროცედურების თვალსაჩინოდ გამოქვეყნება პერსონალისა და სტუდენტებისათვის, რომლებიც მუშაობენ იმ ლაბორატორიებში, რომელაც მართავს, გირაობს ან ქირაობს უნივერსიტეტი და რომლებსაც მოიხმარენ მისი სტუდენტები.

თუკი უნივერსიტეტი სტუდენტების რაოდენობას 3500-მდე, მაშინ უნივერსიტეტს დასჭირდება იმის დადასტურება, რომ მის მიერ უზრუნველყოფილი სივრცე საკმარისია სასწავლო და სხვა საგანმანათლებლო

საქმიანობისთვის, რათა მის მიერ „სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის წესით' განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები დააკმაყოფილოს.

უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს მეტი სოციალური სივრცე სტუდენტებისთვის, მათ შორის ჯგუფური სამუშაოებისთვის; უნდა გაზარდოს კერძო სივრცეებისა და ოფისების რაოდენობა, სადაც ლექტორები, პროფესორები და მოწვეული აკადემიური პერსონალი შეხვდებიან სტუდენტებს აკადემიური კონსულტაციებისთვის და ხელი არ შეეშლებათ და სადაც აკადემიური პერსონალი კვლევას ჩაატარებს; უნდა განაგრძოს სასწავლო ოთახების და სალექციო სივრცეების , ასევე ბიბლიოთეკებისა და სველი წეტილების მოდერნიზება, მათ შორის შშმ პირებისთვის; უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა ოთახსა და სამოძრაო სივრცეს აქვს გათბობა და კონდიცირება, და რომ თითოეული შენობისთვის გამოყოფილია ავტოსადგომი შშმ პირებისთვის..

სტუდენტების, პერსონალის, დაინტერესებული მხარეებისა და პარტნიორებისთვის სასარგებლო იქნება, თუკი წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების ოქმები და თანმხლები დოკუმენტაცია განთავსდება ვებ-გვერდზე უნივერსიტეტის წლიურ საფინანსო და შიდა აუდიტის ანგარიშებთან ერთად და ასევე განთავსდება დოკუმენტი რისკების მართვისადმი მიდგომის შესახებ. დოქტორანტურის მომავალი სტუდენტებისთვის, რომლებიც ეძებენ შესაძლო ხელმძღვანელებს კვლევისთვის, სასარგებლო იქნება, თუკი უნივერსიტეტი გამოაქვეყნებს ინფორმაციას უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევებსა და მათ შედეგებზე.

უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ ფინანსური და სხვა წყაროები, რომელსაც იგი გამოყოფს სამეცნიერო კვლევისთვის, ემთხვეოდეს ამ დარგში მის ამბიციებს და რომ ისინი თანმიმდევრული იქნება კვლევაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის შესაფერის პირობებთან. ეს უნდა მოიცავდეს აკადემიური პერსონალისთვის ანაზღაურებადი შვებულების უზრუნველყოფას, რათა მათ ჩაათარონ ვრცელი ან სხვაგვარად არსებითან მნიშნელოვანი პროგრამების კვლევა.

როდესაც შიდა აუდიტის სამსახურის თითოეული ანგარიში შესრულდება და მათ წარმომადგენლობითი საბჭო მიიღებს, ისინი უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რათა დაცული იყოს გამჭვირვალობის პრინციპი და გამოჩნდეს უნივერსიტეტის თავდაჯერებულობა მისი ფინანსური პროცედურების მართლზომიერებისადმი.

რჩევები

ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ მისიის განაცხადის შემდეგი ვერსიისთვის უნივერსიტეტმა უფრო მკაფიო და ლოგიკური ორგანიზება გაუწიოს მის შინაარს ისე, რომ იგი მკითხველს ნათლად აცნობდეს განაცხადის მთავარ თეზისებსა და მის პრიორიტეტებს, მათ შორის იმის შესახებ, რომ იგი ხიდის ფუნქციას ასრულებს ქართველთა და აფხაზთა თემებს შორის და, როდესაც საუბარია ინკლუზიურ განათლებაზე, უნივერსიტეტმა უნდა გამოხატოს

მზაობა, შშმ სტუდენტების მხარდასაჭერად, საკუთარი რესურსების ფარგლებში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის კარგი იქნება, თუკი რჩევას მიიღებს განათლების ხარისხის გაუმჯობესების ეროვნული ცენტრისგან იმის თაობაზე, თუ როგორ გამოიმუშავოს უკეთესად იმის უნარი, რომ ჩაატაროს თვით-კრიტიკული ანალიზები, რომელსაც უნივერსიტეტის სხვა წევრებს გაუზიარებს.

ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალურმა სამსახურმა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა კოორდინირება გაუწიონ იმ მონაცემებსა და ინფორმაციას, რომელთაც თითოეული მათგანი აგროვებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ უნივერსიტეტმა მაქსიმალური სარგებელი ნახოს თითოეული გამოკითხვიდან ან სხვა კვლევითი აქტივობიდან, რომელსაც იგი ატარებს პროგრამების, პერსონალისა და სტუდენტების საქმიანობის შესაფასებლად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა საკუთარ თავზე უნდა აიღონ უნივერსიტეტის მასშტაბით ხარისხის კულტურის განვითარების პასუხისმგებლობა. ეს კულტურა დაფუძნებული უნდა იყოს სამსახურების, პერსონალისა და სტუდენტების საერთო აღქმაზე, რომ ხარისხის უზრუნველყოფა არის გამოყენებითი სოციალურ-სამეცნიერო, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის პროცესი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს უნივერსიტეტის შესახებ იმ ინფორმაციის მოპოვება, რომელიც შემდგომ შესაძლებელს გახდის სტუდენტებისა და პერსონალისთვის უკეთესი საგანმანათლებლო და კვლევითი შესაძლებლობების უზრუნველყოფას და სარგებელს მოუტანს უნივერსიტეტის რეპუტაციას.

რომ ის ინდუქციური მეთოდები და გავრცელების სხვა პროცედურები, რომლებიც განათლების ფაკულტეტმა შეიმუშავა, რათა სტუდენტებისთვის ესწავლებინა ეთიკური პრაქტიკა და კვლევის მეთოდები, ახლა უნდა გაფართოვდეს უნივერსიტეტის მასშტაბით, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის ასევე დოქტორანტურის სტუდენტებზე.

უნივერსიტეტის მიერ მეთოდოლოგიების შემდგომი განხილვისას დარწმუნდეს, რომ ტერმინი „დაინტერესებული მხარე“ მოიცავს სტუდენტებსაც.

უნივერსიტეტისთვის შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს, თუკი საბუნებისმეტყველო მეცნიერების პროგრამებისთვის გამოიყენებს პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას და განიხილავს, თუ რომელ გარემოებებში შეიძლება უფრო შესაფერისი იყოს პროგრამის ელემენტის მთავარ შეფასების კომპონენტად არა-წერილობითი დავალების გამოყენება.

მომავალ წელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს პროგრამის დოკუმენტების აუდიტი უნივერსიტეტის მასშტაბით და შეიმუშავოს პროცესი იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროგრამის დოკუმენტები ყველა ფაკულტეტიდან აკმაყოფილებდეს საუკეთესო სტანდარტებს.

სტუდენტებისთვის უმჯობესი იქნება, თუკი გარკვევით ეცოდინებათ თუ როგორ იყენებს უნივერსიტეტის სწავლის შედეგებს, როდესაც შეიმუშავებს კურიკულუმს ან გამოცდებს..

მისაღები სტუდენტების რაოდენობის გაზრდასთან ერთად, უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს სრულ განაკვეთზე მომუშავე აკადემიური პერსონალის რაოდენობა , რომლებიც სტუდენტებს ასწავლიან და შეამციროს მოწვეული პერსონალის საჭიროება, ასევე მეტი პროფესორი უნდა წაახალისოს, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში.

უნივერსიტეტმა განიხილოს ის, თუ როგორ წაახალისოს მეტი აკადემიური პერსონალი, რომ მიიღონ აფილირებულის სტატუსი. გამოაქვეყნოს ის უპირატესობები, რასაც აფილირების შემთხვევაში შესთავაზებს, მაგალითად უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობების და მათი კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის კუთხით.

უნივერსიტეტმა სტუდენტურ თვითმმართველობასთან ერთად და პროფესიონალი ექსპერტების დახმარებით, შეიმუშავოს საჩივრების განხილვის პოლიტიკა და პროცედურა მათი გადაწრისთვის, რომელსაც გასახილველად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

უნივერსიტეტმა განიხილოს საუკეთესო ვარიანტი იმისა, თუ როგორ შექმნის კერძო სივრცეს პერსონალსა და სტუდენტებს შორის საკონსულტაციო საათებისთვის, იმ აკადემიური პერსონალისთვის, რომელსაც არ აქვს ოფისები.

უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს აკადემიური კონსულტაციების საერთო პირობების ეფექტურობას, განიხილოს სტუდენტებისთვის მენტორული დახმარების უზრუნველყოფა და ამის შესახებ ანგარიში რეკომენდაციებით წარუდგინოს წარმომადგენლობით და აკადემიურ საბჭოებს გაუმჯობესების მიზნით.

სადოქტორო ნაშრომის პრეზენტაციისთვის უნივერსიტეტმა უნდა აამოქმედოს საკუთარი მოთხოვნები, რომ ნაშრომის ფორმატში დაცული იყოს სტანდარტული სტილი (ფონტი, გაფორმება, ციტირების სტანდარტი).

რამდენადაც უნივერსიტეტი სასწავლო სივრცის მოდერნიზებაზე მუშაობს, უნდა გაითვალისწინოს სასწავლო მეთოდების ის მრავალფეროვნება, რომელიც სხვადასხვა პროგრამებში გამოიყენება და შესაბამისად გაუწიოს სასწავლო სივრცეებს ორგანიზება.

ბიბლიოთეკამ რეგულარულად მოამზადოს ანგარიში იმ მონაცემების შესახებ, თუ რა მასშტაბით სარგებლობენ აკადემიური პერსონალის წევრები იმ ონლაინ მონაცემთა ბაზებით, რომლის გამომწერიცაა უნივერსიტეტი და წარუდგინოს ეს ანგარიში აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს.

საუკეთესო პრაქტიკები

ამომწურავი და კოლეგიალური წესი, რომლითაც უნივერსიტეტი ატარებს არჩევნებს მაღალი თანამდებობებისთვის, როგორც ეს მაგალითადაა მოყვანილი, ამჟამინდელი რექტორის არჩევის დროს დაცული პროცედურების სახით.

ის, თუ როგორ უწყობს ხელს უნივერსიტეტის საეთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურათაშორისი კავშირების სამსახური ინტერნაციონალიზაციის პროცესს მობილობის სქემებით, კვლევის გაცვლითი პროგრამებითა და ერთობლივი სასწავლო პროგრამებით და ის, რომ მისი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ეხმარება მობილობიდან დაბრუნებულ სტუდენტებს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში რეინტეგრაციაში.

ინდუქციის მექანიზმები, რომელსაც უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტი იყენებს აკადემიური პერსონალისთვის და მათ გადასამზადებლად.

უნივერსიტეტის სურვილი მოიძიოს სტუდენტების მოსაზრებები მათი სასწავლო სივრცეების ადეკვატურობის შესახებ და რომ ამ ინფორმაციას იყენებს სასწავლო და სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების დასაგეგმად.

ის, რომ უნივერსიტეტმა მისი ციფრული ძირითადი ციფრული სასწავლო და ადმინისტრაციული სერვისების ჰოსტინგი კომერციულ მომწოდებელს დაავალა, უსაფრთხო დაწესებულებაში, რომელიც უნივერსიტეტის შენობიდან შროს მდებარეობს.

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.	**უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება**	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ს მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
2.	**უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**	☐	☐	☒	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☐	☒	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☐	☒	☐
3.	**საგანმანათლებლო პროგრამები**	☐	☒	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☒	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐
4	**უსდ-ის პერსონალი**	☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5	**სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**	☐	☒	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☒	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
6	**კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**	☐	☒	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☒	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☒	☐	☐

7	**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**	☐	☒	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. დევიდ კაირნსი (თავმჯდომარე)
2. ელენა ჩერქეზია (წევრი)
3. სალომე ძაგნიძე (სტუდენტი წევრი) ს. ძაგნიძე
4. დიმიტრი გეგენავა (წევრი)
5. ავთანდილ თავხელიძე (წევრი)
6. ლევან ცაგარელი (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

1. უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წინამდებარე ანგარიშში, ტერმინები „უნივერსიტეტი“ და „სსუ“ გამოიყენება შემოკლებით და აღნიშნავს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც ალტერნატიული მნიშვნელობა არ არის გამოხატული. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია არის მიზანსწრაფული, ყოვლისმომცველი და შესაძლებლობების მომცემი. ექსპერტთა ჯგუფმა მისიის განაცხადი გააანალიზა „საქართველოში უმაღლესი განათლების უმთავრეს მიზნებთან“ მიმართებაში, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად (უმთავრესი მიზნები). ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ უნივერსიტეტის მისია შეესაბამება უმთავრეს მიზნებს და ევროპის უმაღლესი განათლების სფეროს მიზნებს. უნივერსიტეტის მისია მნიშვნელობას ანიჭებს დიპლომატიური კულტურული და საგანმანათლებლო ხიდების აშენებას ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის და ხელს უწყობს მშვიდობიან თანაარსებობას მათ შორის და უფრო ზოგად მასშტაბებშიც. უნივერსიტეტის მისიის განაცხადში ასევე მითითებულია ძალისხმევა ცოდნის გაუმჯობესებისადმი; სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაცვა; ღია და ინკლუზიური განათლების მინიჭება ყველასთვის, მიუხედავად მათი ეთნიკურობისა, სოციალური მდგომარეობისა, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებებისა; ასევე ძალისხმევა მიაწოდოს განათლება პირებს შრომის ბაზრისათვის. ასევე საუბარია ძალისხმევებზე, შემუშავდეს ინტერდისციპლინარული სწავლებები. მისიის განაცხადში არ არის მითითებული მხარდაჭერა უმაღლეს განათლებაზე ჩასარიცხად იმ სტუდენტებისადმი, რომელთაც შესაძლოა ამით სარგებელი ნახონ, თუმცა აქვთ ფიზიკური ან გონებრივად შეზღუდული შესაძლებლობები (თუმცა იხილეთ ქვემოთ).

ადგილზე ვიზიტის განხორციელებამდე, ექსპერტთა ჯგუფმა გააანალიზა უნივერსიტეტის მისიის განაცხადი, მისი წესდებები და რეგულაიცები და მონაცემები მის მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების შესახებ. აღნიშნულია, რომ მისიის განაცხადი ახლახანს მიიღო აკადემიურმა საბჭომ, 2018 წლის ივლისში. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა არსებობდა თუ არა უნივერსიტეტის მისია, რომელიც შეესაბამებოდა ავტორიზაციის სტანდარტებს და რამდენად ემსახურებოდა იგი უნივერსიტეტის ხასიათს, ღირებულებებს და წინასწარგანსაზღვრულ გზას, სამომავლო განვითარებისთვის.

პერსონალთან და სტუდენტებთან გამართული შეხვედრების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი დააკვირდა უნივერსიტეტის მისიის მნიშვნელობას პერსონალისა და სტუდენტებისთვის, მათ ყოველდღიურ საქმიანობაში და იმას, თუ რამდენად ეძლევათ პერსონალსა და სტუდენტებს შესაძლებლობა, მიიღონ მონაწილეობა მისიის განაცხადის ფორმირებაში. ამ შეხვედრებიდან ექსპერტთა ჯგუფისთვის ნათელი გახდა, რომ პერსონალისა და სტუდენტებისთვის ფართოდ არის გაზიარებული უნივერსიტეტის ძალისხმევა, ხელი შეუწყოს დიალოგსა და იყოს ხიდი ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის, და რომ განავითაროს ინტერდისციპლინარული სწავლება (როგორიცაა მშვიდობის კვლევები), რაც უფრო მეტად შეუწყობს ხელს კონფლიქტის მოგვარებასა და შერიგებას. დაინტერესებულმა მხარეებმა, რომლებიც შეხვდნენ ექსპერტთა ჯგუფს, დაადასტურეს, რომ მათ კონსულტაციები გაიარეს უნივერსიტეტთან მისიის განაცხადის შემუშავების პროცესში და რომ მათი დაკვირვებით უნივერსიტეტი მჭიდროდ ინარჩუნებს ღირებულებებსა და მისიის განაცხადის მთავარ მიზნებს.

უნივერსიტეტში ვიზიტისას, ექსპერტთა ჯგუფს აცნობეს, რომ სსუ-ს ცოტა ხნის წინ მიანიჭეს დაფინანსება, რათა განავითაროს ცენტრი მშვიდობის კვლევებისთვის და საბაკალავრო პროგრამა აფხაზურ კვლევებში. ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება უნივერსიტეტის მიერ გადადგმულ ამ კონკრეტულ ნაბიჯებს, რათა მან მისიის განაცხადი აამოქმედოს.

მსგავსად ამისა, ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა, თუ რამდენად არის პრაქტიკაში გადატანილი მისიის განაცხადში მითითებული უნივერსიტეტის მისწრაფებები, რომ უზრუნველყოს ინკლუზიური უმაღლესი საგანმანათლებლო შესაძლებლობები, რაც შესაძლებლობას მისცემს დაბალი სოციალური და მატერიალური პირობების მქონე სტუდენტებს, მიიღონ უმაღლესი განათლება: მაგალითად სპეციალური კურსების, დაწესებულებებისა და ფინანსური დახმარების გზით , სპეციალური ან დამატებითი საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე ვიზიტისას ნახა იმის მტკიცებულება, რომ სსუ ხელს უწყობს ინკლუზიურ განათლებას, მაგალითად, განათლების ფაკულტეტის შიგნით და ასევე დაადასტურა, რომ გამოყოფილია ფინანსები იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც იძულებით გადაადგილებული პირები არიან 1990-იანი წლების დასაწყისიდან და ასევე სხვა ღარიბი სტუდენტებისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა მოისმინა, რომ მართალია შშმ სტუდენტებისათვის მხარდაჭერა არ არის მისიის განაცხადში ნახსენები, თუმცა უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დახმარებას სპეციალური საწიროების მქონე სტუდენტებისთვის, მისი ამჟამინდელი შენობების

შეზღუდული განლაგების ფარგლებში, მატერიალური და ადამიანური რესურსების გამოყენებით (იხილეთ სტანდარტი 7.1). საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფი მივიდა იმ აზრამდე, რომ უნივერსიტეტის მისიის მოცულობა და ყოვლისმომცველობა დასაფასებელია, თუმცა შესაძლოა, რომ იგი იყოს უფრო მკაფიოდ და ლოგიკურად გამოხატული, რათა შეაჯამოს უნივერსიტეტის პრიორიტეტები და, რომ რეორგანიზებული მისიის განაცხადი დაეხმარება პერსონალს, სტუდენტებსა და უნივერსიტეტში სწავლის მსურველებს შეიტყოს მეტი უნივერსიტეტის შესახებ, მის ვებ-გვერდზე. ექსპერტთა ჯგუფი ასევე მივიდა იმ აზრამდე, რომ მისიის განაცხადის შემდგომი განახლებისას, უნივერსიტეტისთვის სასურველი იქნება, თუკი მკაფიოდ ჩამოაყალიბებს, რომ მისი ძალისხმევა ინკლუზიური განათლებისადმი მოიცავს ფიზიკურად და გონებრივად სპეციალური სასწავლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის სწავლების შესაძლებლობის უზრუნველყოფას, რათა მათ მიიღონ უმაღლესი განათლება, იმდენად რამდენადაც ეს უნივერსიტეტის რესურსებიდან არის შესაძლებელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში; მისიის განაცხადი; სტრატეგიული განვითარების გეგმა; შეხვედრები რექტორთან და კანცლერთან და მათ პერსონალთან; შეხვედრა ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან (მათ შორის მოწვეულ პერსონალთან); შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დაინტერესებულ მხარეებთან; Erasmus+საგრანტო პროექტი DARE-ს (პროგრამების განვითარება სოციალურად დაუცველი პირებისა და რეგიონებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით) ანგარიში; Erasmus +საგრანტო პროექტის „ უმაღლესი სასწავლო გეგმის შექმნა საქართველოს მშვიდობის კვლევებში“ ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები: ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ მისიის განაცხადის შემდეგი ვერსიისთვის უნივერსიტეტმა უფრო მკაფიო და ლოგიკური ორგანიზება გაუწიოს მის შინაარს ისე, რომ იგი მკითხველს ნათლად აცნობდეს განაცხადის მთავარ თეზისებსა და მის პრიორიტეტებს, მათ შორის იმის შესახებ, რომ იგი ხიდის ფუნქციას ასრულებს ქართველთა და აფხაზთა თემებს შორის და, როდესაც საუბარია ინკლუზიურ განათლებაზე, უნივერსიტეტმა უნდა გამოხატოს მზაობა, შშმ სტუდენტების მხარდასაჭერად, საკუთარი რესურსების ფარგლებში.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
1.2 სტრატეგიული განვითარება
○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს შვიდ წელს (2018-2025), საიდანაც მან შეიმუშავა ექვსი სამწლიანი სამოქმედო გეგმა 2018-2020, რათა შეასრულოს სტრატეგიული გეგმის ამოცანები. სტრატეგიული განვითარების გეგმა ცოტა ხნის წინ დაამტკიცა უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ, 2018 წლის ივლისში. პერსონალმა და დაინტერესებულმა მხარეებმა ექსპერტთა ჯგუფს უთხრეს, რომ სტრატეგიული გეგმისა და სამწლიანი სამოქმედო გეგმების განვითარების ფარგლებში, უნივერსიტეტმა ჩაატარა ფართო, მთელი დაწესებულების მასშტაბის კონსულტაციები, მათ შორის ფაკულტეტებთან და უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოსა და აკადემიურ საბჭოს შეხვედრებზე. უნივერსიტეტის მიდგომა სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას მოიცავდა მისი არსებული მდგომარეობის ანალიზს „ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები, საფრთხეები“ SWOT ტექნიკის გამოყენებით. საავტორიზაციო შეფასებისთვის დაგროვილი მტკიცებულებებით, ექსპერტთა ჯგუფმა დააფასა ის გულწრფელობა, რომლითაც უნივერსიტეტმა შეაფასა საკუთარი სუსტი მხარეები და საფრთხეები, მისი უწყვეტი განვითარებისთვის. უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა მოიცავს ექვს ძირითად მიმართულებას: სწავლების ხარისხის გაუმჯობესება; საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება; სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობა; ინტერნაციონალიზაცია და კავშირების გაფართოება; სტუდენტური სერვისები; მენეჯმენტის შემდგომი გაუმჯობესება;

ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფა ექსპერტთა ჯგუფმა შეძლო დაედასტურებინა, რომ ექვსივე მიმართულება ეფუძნება სსუ-ს მისიას. სტრატეგიული გეგმის გაშლისას, თითოეული ეს მიმართულება მოცემულია დამატებითი აღწერითა და ანალიზით, რომ დაიყოს მთელ რიგ ცალკეულ, თუმცა ერთმანეთთან დაკავშირებულ ამოცანებად. ეს ამოცანები უზრუნველყოფენ საფუძველს უნივერსიტეტის „საქმიანობის ლოგიკური ჩარჩოსთვის“, სადაც თითოეული 26 ამოცანა ქმნის საფუძველს სამწლიანი სამოქმედო გეგმისთვის (2018-2020, ამოცანები ჩაშლილია „აქტივობებად“. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ამოცანებისა და აქტივობების შესრულების პასიხისმგებლობები ეკისრებათ მხოლოდ უნივერსიტეტის ცენტრალურ დეპარტამენტებსა და სამსახურებს, და მის შვიდ ფაკულტეტს არ აკისრია არანაირი როლი რომელიმე სამოქმედო გეგმის განხორციელებაში.

საერთაო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ დაგეგმვის პროცესი, რომელიც უნივერსიტეტმა გამოიყენა, აშკარად უკავშირდება მის საკუთარ პრიორიტეტებს, როგორც ეს გამოხატულია მისიის განაცხადში და რომ ისინი აკმაყოფილებენ ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. უფრო ნაკლებ გასაგებია, თუ როგორ არის განზრახული ფაკულტეტების მხრიდან წვლილის შეტანა უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შესრულებაში. მსგავსად ამისა, ბუნდოვანია ექსპერტთა ჯგუფისთვის, თუ როგორ გეგმავს უნივერსიტეტი მისთვის სამოქმედო გეგმებში მითითებული ამოცანების შესრულების პროგრესის მონიტორინგს მაშინ, როცა ძალიან ზოგადი პირობებია მოცემული, რომლებშიც დასახელებულია აქტივობები კონკრეტული ამოცანების შიგნით. მაგალთად, „შემდგომი გაუმჯობესება, სასწავლო სივრცეებში აღჭურვილობის მუდმივი განვითარება“. ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ სამოქმედო გეგმების შესრულების პროგრესის მონიტორინგი მოხდება უნივერსიტეტის სახელზე, წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. ექსპერტთა ჯგუფს სჯერა, რომ წარმომადგენლობითი საბჭო მონიტორინგისას იქნება მკაცრი, თუმცა ამისათვის საჭირო იქნება უნივერსიტეტმა საბჭოს მიაწოდოს კონკრეტული ზომები თითოეული სამოქმედი გეგმის ფარგლებში მიღწეული პროგრესის შესაფასებლად, ასევე მონაცემები, რომლითაც განსაზღვრავენ აღნიშნული პროგრესის ადეკვატურობას სტრატეგიული გეგმის მოთხოვნებთან მიმართებაში.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი გასცემს რეკომენდაციას, რომ უნივერსიტეტმა თითოეული სამოქმედო გეგმისთვის უნდა დააკონკრეტოს შესრულების მაჩვენებლები, რომლებიც წარმომადგენლობით და აკადემიურ საბჭოს შესაძლებლობას მისცემს, კვარტალში ერთხელ, შეაფასოს ის თუ რამდენად ხდება სამოქმედო გეგმების ამოცანების მიღწევა და რომ სამოქმედო გეგმები უნდა განახლდეს, რათა მათში ნაჩვენები იყოს ფაკულტეტების როლი გეგმების ამოცანების განხორციელებაში.

ამ რეკომენდაციის მხარდასაჭერად, ექსპერტთა ჯგუფი ასევე ურჩევს უნივერსიტეტს, რომ განიხილოს დაგეგმვის ოფიცერის მოძიება, რომელსაც ექნება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევისა და ანალიზის ჩატარების უნარები, რომელიც დაეხმარება უნივერსიტეტს სტრატეგიულ დაგეგმარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში; მისიის განაცხადი; სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-25 და სამოქმედო გეგმები; წესდებები წარმომადგენლობითი საბჭოსთვის; აკადემიური საბჭო; შეხვედრები: წარმომადგენლობით საბჭოსთან; აკადემიურ საბჭოსთან; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან; დეკანებთან.
რეკომენდაციები: უნივერსიტეტმა თითოეული სამოქმედო გეგმისთვის უნდა დააკონკრეტოს შესრულების მაჩვენებლები, რომლებიც წარმომადგენლობით და აკადემიურ საბჭოს შესაძლებლობას მისცემს, კვარტალში ერთხელ, შეაფასოს ის თუ რამდენად ხდება სამოქმედო გეგმების ამოცანების მიღწევა და რომ სამოქმედო გეგმები უნდა განახლდეს, რათა მათში ნაჩვენები იყოს ფაკულტეტების როლი გეგმების ამოცანების განხორციელებაში.
რჩევები: უნივერსიტეტმა უნდა განიხილოს დაგეგმვის ოფიცერის მოძიება, რომელსაც ექნება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევისა და ანალიზის ჩატარების უნარები, რომელიც დაეხმარება უნივერსიტეტს სტრატეგიულ დაგეგმარებაში. სამოქმედო გეგმები უნდა განახლდეს ისე, რომ მათში მკაფიოდ ჩანდეს ფაკულტეტებში აკადემიური და დამხმარე პერსონალისგან შეტანილი წვლილი.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს აქვს „ბრტყელი“ ორგანიზაციული სტრუქტურა ცენტრალური სერვისებითა და ცენტრებით, რომელიც მხარს უჭერს ადმინისტრაციულ საქმიანობასა და შვიდ ფაკულტეტს, რომელთა მეშვეობითაც ახორციელებს საგანმანათლებლონ საქმიანობას, თითოეულ ფაკულტეტს ჰყავს გარკვეული ადგილობრივი ადმინისტრაციული მხარდაჭერა. ფაკულტეტები: მათემატიკის და კომპიუტერულ მეცნიერებათა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, განათლების, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების, იურიდიული, ეკონომიკისა და ბიზნესის. უნივერსიტეტმა ასევე დაარსა მოლეკულური დიაგნოსტიკისა და ბიოტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმასა და მასთან დაკავშირებულ სამოქმედო გეგმებში ნაჩვენებია, თუ სად დაეკისრათ პასუხისმგებლობები სერვისებსა და ცენტრებში ამოცანებისა და აქტივობების შესასრულებლად, თუმცა არ არის მითითებული თუ როგორ შეიტანენ ფაკულტეტები თავიანთ წვლილს სამოქმედო გეგმებში მითითებული ამოცანების მისაღწევად (იხილეთ ზემოთ). უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა უპირატესობას ანიჭებს სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას, ასევე ინტერნაციონალიზაციას და ურთიერთობების გაფართოებას. ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ თითოეულ ამ სფეროში პროგრესის მიღწევა საჭიროებს არსებით ინვესტიციას ახალ კეთილმოწყობასა და პარტნიორობაში არსებულ კვლევით ცენტრებთან, ინსტიტუტებთან და დაწესებულებებთან საქართველოში, საუბარია ისეთ პარტნიორობაზე, როგორიც უკვე არსებობს ფიზიკის ინსტიტუტთან. პროგრესი ასევე დამოკიდებული იქნება აკადემიური და ადმინისტრაციული ერთეულების სრულ ჩართულობაზე უნივერსიტეტის თითოეულ ფაკულტეტზე, ასევე უნივერსიტეტის მხრიდან აქტიურ ხელშეწყობაზე აკადემიური პერსონალის კვლევით საქმიანობის მნიშვნელობისთვის და მათი ჩართულობისთვის საერთაშორისო დონეზე მიმდინარე სწავლა, სწავლების პროცესებში და მათი დარგობრივი საგნის სფეროს განვითარებაში. იმავდროულად, უნივერსიტეტმა უნდა

წაახალისოს პერსონალი, რომ ისწავლოს ინგლისური ენა და მოძებნოს გზები აკადემიური პერსონალისთვის, რომ ისინი თანამშრომლობდნენ უცხოელ კოლეგა სპეციალისტებთან კვლევასა და საგანმანათლებლო პრაქტიკაში.

საავტორიზაციო შეფასებისთვის წარდგენილი ინფორმაციის ფარგლებში, უნივერსიტეტმა მოგვაწოდა ინფორმაცია მისი მართვის პრაქტიკების შესახებ; თუ როგორ შეირჩევა უფლებამოსილი პირი გადაწყვეტილებების მისაღებად; როგორ იმართება და კონტროლდება ფინანსები; როგორ ხდება წარმომადგენლობითი და უფლებამოსილი თანამდებობების დაკავება არჩევნებისა და დანიშვნის გზით. ამ უკანასკნელზე, უნივერსიტეტის დოკუმენტაცია აღწერს, თუ როგორ ტარდება არჩევნები აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს პოზიციების დასაკავებლად. თუმცა აქვე აღნიშნულია, რომ დეკანების არჩევის წესი აუცილებლად არ მოითხოვს, რომ დეკანის თანამდებობისთვის კანდიდატი აკადემიკოსი იყოს და არც საკვალიფიკაციო ხარისხია განსაზღვრული. თუკი ეს განხრახ არის გაკეთებული და არა უბრალოდ გამოტოვებული, მაშინ გონივრული იქნება, თუკი კონკრეტულად დასახელდება ასეთი განზრახვის მიზეზი.

ადგილზე ვიზიტის დროს, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების წევრებმა აუხსნეს ექსპერტთა ჯგუფს ის პროცესი, რომლითაც ამჟამინდელი რექტორი დაინიშნა მის თანამდებობაზე, როგორც გარე კანდიდატი, აკადემიური საბჭოს კენჭისყრის საფუძველზე. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე მოიკვლია მტკიცებულება ამ სტანდარტისთვის და დაასკვნა, რომ მართალია უნივერსიტეტის მიერ აღწერილი პირობები შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას უმაღლესი განათლებისთვის, თუმცა შესაძლებელია ზოგიერთი თანამდებობისთვის არჩევის წესების დაკონკრეტება. თუმცა, იმავდროულად ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ის ამომწურავი პროცედურა, რომლითაც უნივერსიტეტმა ჩაატარა გასაუბრება და არჩევის პროცესები ამჟამინდელი რექტორის შესარჩევად, აჩვენებს ძალისხმევას კოლეგიალობისადმი, რაც გასცდა კანონის მოთხოვნებს და შეესაბამება მსგავსი საკითხების ჩატარების საუკეთესო პრაქტიკას.

ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა რამდენიმე საფეხურზეა, თითოეული დეკანი პასუხისმგებელია საკუთარი ფაკულტეტის აკადემიურ მართვაზე, რითაც ისინი ანგარიშვალდებული არიან რექტორისა და ადმინისტრაციის/კანცელარიის ხელმძღვანელის წინაშე, რომელიც მართავს უნივერსიტეტის ცენტრალური სერვისებისა და დეპარტამენტების სამუშაოსა და პერსონალს. აკადემიური საბჭო და წარმომადგენლობითი საბჭო იზიარებენ პასუხისგმებლობას რექტორთან და კანცლერთან კოლეგიალურ დონეზე, რაც მოიცავს უნივერსიტეტის მართვის ზედამხედველობას მის საერთო საკითხებზე. რექტორი იწვევს აკადემიური საბჭოს შეხვედრებს და წარმომადგენლობით საბჭოს იწვევს მისი სამდივნოს ხელმძღვანელი. წარმომადგენლობითი საბჭოს საქმიანობას წარუძღვება მისი სპიკერი.

უნივერსიტეტის დოკუმენტების წაკითხვიდან და პერსონალთან და სტუდენტებთან ადგილზე ვიზიტისას განხორციელებული შეხვედრებიდან, ექსპერთა ჯგუფმა სცადა

უკეთ გაეგო თუ კონკრეტულად ვის ეკისრება მენეჯერული პასუხისმგებლობა უნივერსიტეტში ინიციატივების გამოჩენისა და გადაწყვეტილებების მიღების კუთხით. როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა ამ საკითხზე კითხვა დაუსვა უნივერსიტეტის წევრებს, მათ დაადასტურეს, რომ წარმომადგენლობითი საბჭო პასუხისმგებელია ადმინისტრაციულ და ფინანსურ საკითხებზე, ხოლო აკადემიური საბჭო საგანმანათლებლო საკითხებზე. ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს ორივე საბჭოს კეთილსინდისიერებას მათი შესაბამისი პასუხისმგებლობების შესრულებისას. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საჭიროა უნივერსიტეტის დანიშნულმა და არჩეულმა მენეჯერებმა უფრო ენერგიულად აიღონ მართვის სადავეები, რათა უზრუნველყონ, რომ უნივერსიტეტის ფაკულტეტის ორგანიზაცია, რომელიც მან გადმოიტანა სოხუმში მდებარე წინამორბედი დაწესებულებისგან, შეესაბამება დღევანდელი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჭიროებებს და არ კარგავს რესურსებს და რომ უნივერსიტეტს შეუძლია დროულად მოახდინოს რეაგირება გარემოებებსა და მის გარე პირობებში მიმდინარე ცვლილებებზე.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაზე თანდართული სამოქმედო გეგმების პროგრესის შესახებ ინფორმაციისა და მონაცემების არარსებობის ფონზე, ექსპერტთა ჯგუფს გაუჭირდა იმის განსაზრვრა, თუ რამდენად დროულად და ეფექტურად იღებენ გადაწყვეტილებებს აკადემიურ სამეცნიერო და ადმინისტრაციულ საკითხებზე. ზოგადად, უნივერსიტეტი ბევრს მუშაობს კონსესუსის მისაღწევად, როდესაც გადაწყვეტილებებს იღებს, ეს დაადასტურეს წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოს წევრებმა, რომლებიც შეხვდნენ ექსპერტთა ჯგუფს, რამაც შესაძლოა გაჭიანურება გამოიწვიოს. არსებობს კონკრეტული მტკიცებულებები, რომლებიც მიუთთებს, რომ უნივერსიტეტის შიგნით მიმდინარე პროცესები, რომლებიც სარგებლიანია სტუდენტებისა და პერსონალისთვის, როგორიცაა, მაგალითად ახალი გათბობის სისტემები და კეთილმოწყობა სტუდენტთა სამედიცინო მომსახურებისთვის, მკაცრად კონტროლდება რექტორის ზედამხედველობით. თუმცა, უნივერსიტეს უნდა აღელვებდეს ის, რომ მისი საგანმანათლებლო და ფინანსური საქმიანი შესრულების მონაცემებისა და მაჩვენებლების არარსებობის ფონზე, რაც მათ შესაძლებლობას მისცემდა კვარტალში ერთხელ (სულ მცირე) გაეკონტროლებინათ სამოქმედო გეგმების პროგრესი, უნივერსიტეტმა შესაძლოა მხოლოდ ის იცოდეს აღწევს თუ ვერ აღწევს საკუთარ ამოცანებს ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც უკვე ძალიან გვიანია ნაბიჯების გადადგმა მათ მისაღწევად ან წარუმატებლობის გამოსასწორებლად.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა უნივერსიტეტის ცენტრალური სერვისებისა და დეპარტამენტების წესდებები და განიხილა მათი საქმიანობა პერსონალთან, რათა შეეფასებინა ის, თუ რამდენად მკაფიოდაა განსაზრვრული მათი ფუნქციები და რამდენად ეძლევათ მათ ერთობლივად ეფექტური მუშაობის საშუალება. უმეტეს შემთხვევებში, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ სერვისები ერთად ეფექტურად მუშაობენ: მაგალითად საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახური და საერთაშორისო ურთიერთობისა და კულტურათაშორისი კავშირების სამსახური ერთად კარგად მუშაობენ უნივერსიტეტისა და მისი საქმიანობის მსოფლიო მასშტაბით ხელშესაწყობად. აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევებშიც კი, სადაც

დეპარტამენტებისა და სერვისების წესდებებით მინიჭებული როლები ერთამანეთს ემთხვევა, თანამშრომლობა და კეთილი ნება დეპარტამენტებსა და სერვისებსა და მათ პერსონალს შორის იძლევა პოტენციური სირთულეების გამარტივების საშუალებას და ავსებს მოცემულ პირობებში არსებულ სიცარიელეს. მაგალითად, წესდებები, რომლებიც განსაზღვრავენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის როლებსა და ფუნქციებს, ქმნიან თანაკვეთას ამ ორ შორის. ორივე ორგანო ჰარმონიულად თანამშრომლობს, თუმცა ზოგიერთი აქტივობა, რომელიც სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს აქვს ნაკისრი, როგორიცაა პროგრამების შესრულების შეფასება და სტუდენტთა მოსაზრებების გამოკითხვის კითხვარები მათი საგანმანათლებლო გამოცდილების შესახებ, როგორც წესი უნივერსიტეტებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციას წარმოადგენს. მსგავსად ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ნაკისრი ზოგიერთი აქტივობა, როგორიცაა აკადემიური მხარდაჭერის უზრუნველყოფა სტუდენტებისათვის კურსების არჩევის პროცესში, სცილდება ამ სამსახურის ფარლგებს, როგორც წესდებებშია მითითებული და უფრო მეტად ფაკულტეტებში თუ ცენტრალურ დონეზე მოქმედი აკადემიური მხარდაჭერის პერსონალის ფუნქციაა. იხილეთ ასევე 2.2.

უნივერსიტეტი პროგრესს განიცდის თანამედროვე ციფრული მეთოდების გამოყენების კუთხით, მთელი დაწესებულების მასშტაბით და მის ყველა აქტივობაში. უნივერსიტეტი ამჟამად გადის მისი არსებული სტუდენტური და სხვა ადმინისტრაციული სისტემების გადატანის პროცესს, პროგრამა „ELGON“-დან, უფრო ახალ პლატფორმაზე სახელად „StudLab“. როგორც ზემოთ აღინიშნა, უნივერსიტეტს დასჭირდება ისეთი ზომების შემუშავება, რომელიც დროულად მოაგროვებს მონაცემეს მისი საქმიანობის შესახებ, რათა განხორციელდეს მონიტორინგი სამოქმედო გეგმების ამოცანების შესრულებაზე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის ინფორმაციული სისტემები კარგად იმართება, უსაფრთხოა და განვითარების პროცესშია, რათა უნივერსიტეტს საკუთარი საკითხების ეფექტურად მართვის შესაძლებლობა მისცეს .

უნივერსიტეტმა შეიმუშავა ბიზნეს უწყვეტობის გეგმა, როგორც მისი რისკის მართვის სტრატეგიის ნაწილი. ორი დოკუმენტის ასლი, ერთად შეკრული, წარმოდგენილია, როგორც უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშის მხარდამჭერი მტკიცებულების ნაწილი. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის ბიზნეს უწყვეტობის გეგმა და მისი რისკების მართვის სტრატეგიები, რომლებიც დამტკიცდა 2018 წლის ივლისში. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ერთად აღებული, ისინი წარმოაჩენენ მკაფიო მოცულობას უნივერსიტეტის ვითარებისა და მისი საქმიანობისთვის არსებული რისკების ანალიზისთვის. ექსპერტთა ჯგუფი ისურვებდა, მეტი დრო ჰქონოდა ადგილზე ვიზიტისას, რომ გაერკვია, თუ როგორ მიიღო უნივერსიტეტმა ეს დოკუმენტები და როგორ გეგმავს მათ შენარჩუნებას.

ამასთან ერთად, მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტი აკვირდება უნივერსიტეტის ბიუჯეტს და პერიოდულად ანგარიშს აბარებს უფროს

ხელმძღვანელებს, მათ შორის რექტორსა და კანცლერს და წარმომადგენლობით საბჭოს, უნივერსიტეტის ფინანსური საქმიანობის შესახებ. უნივერსიტეტის რისკების მართვის სტრატეგიის დოკუმენტი ფინანსური რისკების მართვის შესახებ მიდგომას აღწერს, როგორც „მუდმივ მონიტორინგს“ და „ალტერნატიული წყაროების უზრუნველყოფას(შემოსავლების)“. ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ უნივერსიტეტის ამჟამინდელი ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია, და რომ მისი წინასწარ დაგეგმვის ფუნქცია უნივერსიტეტს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს მართოს სამომავლო ცვლილებები მის ფინანსებში.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა განსაზრვრავს „ინტერნაციონალიზაციას“ როგორც უმთავრეს პრიორიტეტს. თვითშეფასების ანგარიშში იგი ინტერნაციონალიზაციას უკავშირებს პერსონალისა და სტუდენტების გაცვლითი პროგრამების განვითარებას სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, კონფერენციებზე დასწრებას, საველე მოგზაურობის მოწყობას საქართველოს საზღვრებს გარეთ.

ავტორიზაციის შეფასების დროს, უნივერსიტეტს ჰქონდა 60-ზე მეტი კავშირი უნივერსიტეტებთან საქართველოს საზრვრებს გარეთ, ამ კავშირებს მხარს უჭერს თანამშრომლობისა და შეთანხმების მემორანდუმები. უნივერსიტეტი ასევე აქტიურად იღებდა მონაწილეობას პერსონალისა და სტუდენტების მობილობის საერთაშორისო პროექტებში გაეროს ეგიდით, ევროკავშირის TEMPUS-ისა და ERASMUS+ პროგრამების ფარგლებში. საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურატაშორისი კავშირების სამსახურის წევრებმა ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ უნივერსიტეტმა ცოტა ხნის წინ გამოიჩინა ძალისხმევა, შეიმუშავოს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა პოლონეთის უნივერსიტეტთან ერთად. ამის შესასრულებლად სამზადისი დაწყებულია.

ექსპერტთა ჯგუფს ეჭვი არ ეპარება, რომ უნივერსიტეტი ისწრაფვის თავისი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციისკენ და რომ ეს საქმე ენერგიულად მიიწევს წინ უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურათაშორისო კავშირების სამსახურის მეშვეობით, ხშირ შემთხვევაში ერთობლივი მუშაობით. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე მოისმინა, რომ მართალია უნივერსიტეტის სტუდენტებმა ERASMUS+-ის მეშვეობით მოიპოვეს ადგილები ესწავლათ ინგლისურენოვან პროგრამებზე ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში, თუმცა ზოგიერთმა მათგანმა აღმოაჩინა, რომ ინგლისური ენის ცოდნის მათი დონე, არ იყო საკმარისი. სხვა პერსონალმა კი ექსპერტთა ჯგუფს განუმარტა, რომ რამდენადაც ამჟამად უნივერსიტეტში არ მოქმედებს ინლისურენოვანი პროგრამები, ევროპის უმაღლესი განათლების სივრციდან სხვა სტუდენტების მიღება უნივერსიტეტში არ ხდება. ექსპერტთა ჯგუფს გაუკვირდა, რომ უნივერსიტეტს არ აქვს სასწავლო გეგმის ინტერნაციონალიზებული ვერსიები მისი ძირითადი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ უნივერსიტეტმა მეტი პრიორიტეტი მიანიჭოს ინგლისურ ენაზე სწავლებას ყველა სტუდენტისა და პერსონალისთვის, მათ შორის მათთვის ვინც კვლევით პროექტებშია.

მართალია უნივერსიტეტი აცნობიერებს, რომ საჭიროა სწავლის, სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციისთვის ამჟამინდელი ძალისხმევის გაფართოება, თუმცა მისი საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურათაშორისი კავშირების სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობა სტუდენტებთან, სასწავლო პერსონალთან და მკვლევარებთან, რომ განსაზღვროს მობილობისა და კვლევის შესაძლებლობები, დაეხმაროს საგრანტო და სხვა განაცხადების გაკეთებაში, მხარი დაუჭიროს და კონტაქტებით უზრუნველყოს მობილობის სტუდენტები, როდესაც ისინი საზღვარგარეთ არიან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მეშვეობით ხელი შეუწყოს დაბრუნებული სტუდენტების რეინტეგრაციას უნივერსიტეტის სწავლების პროცესში, შესაბამისობაშია საუკეთესო პრაქტიკასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში; მისიის განაცხადი; წესდება; პერსონალის პოლიტიკა; სტრატეგიული გეგმა- ინტერნაციონალიზაცია; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანის არჩევის წესი; კვლევის განვითარების სტრატეგია; ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია; ბიზნეს უწყვეტობის გეგმალ რისკების მართვის სტრატეგიები, შეხვედრები წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერთან და წევრებთან; რექტორთან; აკადემიური საბჭოს წევრებთან; კვლევისა და განვითარების სამსახურთან; პროგრამის ხელმძღვანელებთან; ცენტრალური დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან; ფაკულტეტის დეკანებთან.
რეკომენდაციები: უნივერსიტეტმა მეტი პრიორიტეტი მიანიჭოს ინგლისურ ენაზე სწავლებას ყველა სტუდენტისა და პერსონალისთვის, მათ შორის მათთვის ვინც კვლევით პროექტებშია.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ამომწურავი და კოლეგიალური წესი, რომლითაც უნივერსიტეტი ატარებს არჩევნებს მაღალი თანამდებობებისთვის, როგორც ეს მაგალითადაა მოყვანილი, ამჟამინდელი რექტორის არჩევის დროს დაცული პროცედურების სახით. ის, თუ როგორ უწყობს ხელს უნივერსიტეტის საეთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურათაშორისი კავშირების სამსახური ინტერნაციონალიზაციის პროცესს მობილობის სქემებით, კვლევის გაცვლითი პროგრამებითა და ერთობლივი სასწავლო პროგრამებით და ის, რომ მისი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ეხმარება მობილობიდან დაბრუნებულ სტუდენტებს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში რეინტეგრაციაში..

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტმა დაამკვიდრა ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, არჩეული სამსახურის უფროსით, და თითოეულ ფაკულტეტში ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურით, რომელთაც ხელმძღვანელობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი, რომელიც შერჩეულია შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ. უნივერსიტეტის წესდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის, რომელიც განსაზრვრავს მის როლებსა და ფუნქციებს, დაამტკიცა სსუ-ს წარმომადგენლობითმა საბჭომ 2018 წლის მარტში.

ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისათვის მინიჭებული ფუნქციები მოიცავს: სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესება; სხვა ქვეყნებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან მჭიდრო კავშირების დამყარება; ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება უნივერსიტეტის ფარგლებში; სასწავლო და კვლევითი საქმიანობის, ასევე უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის შეფასება და სისტემატური შეფასებების ჩატარება. ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია თვითშეფასების პროცესების ორგანიზებაზე პროგრამის გარე აკრედიტაციებისა და ინსტიტუციონალური ავტორიზაციებისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ თვითშეფასების ანგარიში, რომელსაც უნივერსიტეტისთვის ორგანიზება გაუწია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, შეიცავდა ზოგიერთ თვით-კრიტიკულ შეფასებებს, თუმცა უმეტესად აღწერითი ხასიათის იყო. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის კარგი იქნება, თუკი რჩევას მიიღებს

განათლების ხარისხის გაუმჯობესების ეროვნული ცენტრისგან იმის თაობაზე, თუ როგორ გამოიმუშავოს უკეთესად იმის უნარი, რომ იკისროს თვით-კრიტიკული ანალიზები, რომელსაც უნივერსიტეტის სხვა წევრებს გაუზიარებს.

ადგილზე ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა თავის ფუნქციებს დაამატა და სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს აკადემიურ კონსულტაციებს, რათა დაეხმაროს მათ შემდგომი კურსებისა და შესასწავლი საგნების არჩევაში. ეს ღირებული ფუნქციაა და სასარგებლო მომსახურება სტუდენტებისთვის, თუმცა ექსპერტთა ჯგუფისთვის თავიდანვე ნათელი არ იყო, თუ რატომ უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამ მომსახურებას.

ფაკულტეტებში, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის მინიჭებული როლები მოიცავს მუშაობას აკადემიურ პერსონალთან ,როდესაც ისინი შეიმუშავებენ ახალ საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამებს, ამოწმებენ, რომ პროგრამა შეესაბამება კრედიტების ტრანსფერსა და დაგროვების ევროპული სისტემის მოთხოვნებს, და რომ ახლადშემუშავებული პროგრამები შეესაბამება უნივერსიტეტის რეგულაციებსა და მოთხოვნებს მანამ, სანამ ისინი გაეგზავნება ჯერ ფაკულტეტის საბჭოს და შემდეგ აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

როგორც დადგინდა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად მუშაობს უნივერსიტეტის ყველა დონეზე, ფაკულტეტების მასშტაბით. თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია გარკვეული ინფორმაცია სუტდენტთა მოსაზრების გამოკითხვებზე, რომლებიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსაუხრმა ჩაატარა. ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს სტუდენტების წარმომადგენლობით ორგანოსთან, სტუდენტთან თვითმმართველობასთან, რომელიც ავრცელებს გამოკითხვის კითხვარებს და აგროვებს სტუდენტების მიერ შევსებულ კითხვარებს, შემდეგ კი უბრუნებს ხარისხის უზრუნვლყოფის სამსახურს. ექსპერტთა ჯგუფს ისეთი შთაბედილება დარჩა, რომ გამოკითხვის კითხვარები ცუდად იყო შედგენილი.

თავად თვითშეფასების ანგარიშში მცირე ანალიზია იმ გამოკითხვის შედეგების, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა, ასევე მცირე ანალიზა იმაზე, თუ როგორ გამოიყენებენ გამოკითხვის მიგნებებს. ასევე გაურკვეველია ექსპერტთა ჯგუფისთვის, თუ რას სთავაზობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საგანმანათლებლო პროგრამების პროგრესის მონიტორინგისთვის. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ცენტრალური და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ეფექტურობა ჯერ კიდევ სრულად წარმოსაჩენია, თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ნაკისრი საქმიანობა განათლების ფაკულტეტისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისთვის დამაიმედებელი ჩანს და ღირს მათი გაზიარება ხარისხის უზრუნველყოფის სხვა სამსახურებთან. მსგავსად ამისა, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამეტნის მიერ მოგროვილი მონაცემებისა და ინფორმაციის ნაწილი

ანალიზი შესაძლებელია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მხარდასაჭერად.

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ჩანდა, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყო საკმარისი რაოდენობის ადამიანური და მატერიალური რესურსები ცენტრალური და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების შესაქმნელად და ახლა ცენტრალური და ფაკულტეტის სამსახურების გამოწვევას წარმოადგენს გამოიყენოს შესაძლებლობები, რათა შეასრულოს მათზე ნაკისრი როლები.

უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ განხილვის დროს უნივერსიტეტმა დანერგა უნივერსიტეტის საქმიანობების უწყვეტი შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის ზომები. ექსპერტთა ჯგუფს შეუძლია დაადასტუროს, რომ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის გაუმჯობესების ხელშემწყობი ზოგიერთი მექანიზმი ოფიციალურად მიიღეს, როგორიცაა თვითშეფასების ანგარიშები და გამოკითხვები; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლების და ფუნქციების გაოფიცილურება ცოტა ხნის წინ მოხდა, თუმცა ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფისთვის არასაკმარისი მტკიცებულება იყო ხელმისაწვდომი, რომ დასკვნა გამოეტანა იმაზე, თუ რამდენად გამოიწვევს გაუმჯობესებას უნივერსიტეტის მიერ მიღებული ხარისხის უზრუნველყოფის პირობები.

იხილეთ ზემოთ. მართალია უნივერსიტეტის წესდებაში ნათქვამია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მოეთხოვება ანგარიში ჩააბაროს წარმომადგენლობით საბჭოსა და აკადემიურ საბჭოს, ბუნდოვანი იყო ექსპერტთა ჯგუფისთვის, თუ რა სიხშირით სთავაზობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანგარიშებს თითოეულ საბჭოს და რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს მისი ანგარიშები და შეფასებები.

იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში მნიშვნელობა ენიება განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმომადგენლობით საბჭოსა და აკადემიურ საბჭოს შეუთანხდმეს წლიურ ნაგრიგზე, რათა ანგარიში ჩააბაროს თითოეულ საკითხზე , როგორებიცაა: გარე აკრედიტაციებისა და ავტორიზაციების შედეგები; ახალი პროგრამები, რომელიც დაემატა უნივერსიტეტის ორტფოლიოს ან რომელიც გამოაკლდა; ხარისხის უზრუნველყოფის ახალი პოლიტიკა და პროცედურები; სამსახურის მიერ შესრულებული ანალიზები, მაგალითად სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვების, რომელიც თავად ჩაატარეს; სტუდენტებისა და მესამე პირების (ყველა საერთო თემითა და გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციებით)მიერ შეტანილი საჩივრების ხასიათი ; აკადემიური გადაწყვეტილებების წინააღმდეგ შეტანილი სარჩელები (აქაც საერთო თემებით და გაუმჯობესებისთვის რეკომენდაციებით); სტუდენტების მიერ უზრუნველყოფილი შეფასების შედეგები; პლაგიატისა და არაეთიკური ქცევის აღმოჩენის რაოდენობა და ასეთი შემთხვევების ხასიათი (აქაც ყველა საერთო თემით და გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციებით).

თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ მართალია აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასების სისტემა 2012 წლიდან მოქმედებს, თუმცა უნივერსიტეტმა ჯერ კიდევ უნდა შეიმუშავოს სისტემა მისი ადმინისტრაციული პერსონალისთვის (იხილეტ ასევე ქვემოტ, სტანდარტი 4).

თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ უნივერსიტეტს არ ჰქონდა სისტემა მისი სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგისთვის, მაგრამ უახლოეს მომავალში გეგმავს ამ მიზნით საჭირო ზომების მიღებას. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ უნივერსიტეტმა შემოიღოს სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის, ანალიზისა და შემდგომ წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოებისთვის ანგარისის ჩაბარების ზომები, თითოეულ სესიაზე სატანადო დროს, როგორც სასწრაფო საკითხი, მიღებული ზომები უნდა მოიცავდეს ანგარიშის ჩაბარებას მაგისტრატურისა და კვლევის სტუდენტები აკადემიური მოსწრების შესახებაც.

თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ 2012 წელს აკადემიურმა საბჭომ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, მოსამზადებელი აქტივობებისთვის, სამეცნიერო საქმისა და პერსონალის შეფასებისთვის დაამტკიცა განაცხადი „მექანიზმები განათლების ხარისხის განვითარების შეფასებისთვის“ და რომ ეს მექანიზმები მოიცავდა თვითშეფასებას, გამოკითხვებს, შიდა და გარე შეფასებებს, მათ შორის კურსდამთავრებულებისა და გარე დაინტერესებული პირების მხრიდან. გარდა იმის აღნიშვნისა, რომ უნივერსიტეტის მიერ მიღებული ზომები „იდეალურად არ მუშაობდა“, თვითშეფასების ანგარიშში ცოტა დამატებითი ინფორმაციაა მოცემული. თუმცა აღნიშნულია, რომ ფაკულტეტებზე, სასწავლო გეგმის განმავითარებელმა ჯგუფმა, რომელიც მართავს ახალი პროგრამების შემუშავების პროცესს, შეაფასა პროგრამები და წამოაყენა მათი გაუმჯობესების

შესაძლებლობები. სტუდენტებმა ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ უნივერსიტეტმა მათგან უკუკავშირი მიიღო კითხვარების მეშვეობით, რომლებიც გავრცელდა და შემდეგ შეგროვდა სტუდენტური თვითთმართველობის მიერ. უნივერსიტეტის ახალი პლატფორმა StudLab შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს შეავსონ უკუკავშირის კითხვარების ციფრული ვერსია.

თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ განახლებები იგეგმება უახლოესი მომავლისთვის. დამატებითი ინფორმაციის არარსებობის ფონზე, ექსპერტთა ჯგუფი ვერ აკეთებს კომენტარს სტანდარტის ამ ქვე-ელემენტზე.

საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები განვითარების ადრეულ ეტაპზე არიან და საჭიროებენ პრიორიტეტების შეფასებას, როგორც ცენტრალურ ასევე ფაკულტეტების დონეზე. პირველი ნაბიჯი შეიძლება იყოს აღნიშნული სამსახურების ამჟამინდელი მოლოდინების გადახედვა, როგორც ექსპერტთა ჯგუფს გაუზიარეს, უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფა საჭიროებს დაელოდოს პერსონალსა და სტუდენტებს შორის ხარისხის კულტურის ჩამოყალიბებას და გაითვალისწინოს, რომ ამ სამსახურების პასიხისმგებლობაა აქტიურად იმუშავოს ასეთი კულტურის ჩამოყალიბებაზე და გადაწყვიტოს, ამისათვის რა იქნება საჭირო მათი მხრიდან, ასევე მთლიანად უნივერსიტეტის, პერსონალისა და სტუდენტების მხრიდან. ექსპერტთა ჯგუფი შიშობს, რომ თუკი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები განაგრძობენ ამჟამინდელი მიმართულებით მუშაობას, მაშინ თვითონაც და უნივერსიტეტის სხვა წევრებიც ჩათვლიან, რომ ხარისხის უზრუნველყოფის უპირველესი ფუნქციაა შეაფასოს საუნივერსიტეტო პროცედურები შიდა და გარე მარეგულირებელ მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, ეს მცდარი მიმართულება იქნება და იგი მოუწოდებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს (და უნივერსიტეტს), რომ სსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილონ, როგორც გამოყენებითი სოციალურ-სამეცნიერო, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის ფორმა, რომელიც ჩატარდება ცენტრში სათანადოდ კვალიფიციური პერსონალის მიერ , მათი ამ საქმისთვის გამოყენების მკაცრი გადაწყვეტით იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათი მოსაზრებები არ არის მისასალმებელი.

სსუ-ში უნივერსიტეტი თავად საჭიროებს, რომ იყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების კვლევის უპირველესი საგანი, რისი საერთო მიზანიც უნდა იყოს უნივერსიტეტის და მისი საქმიანობის შინაარსის უკეთესი აღქმისა და განცობიერების მიღწევა (ასევე სხვა უნივერსიტეტებთან და შესაბამის სოციალურ და ეკონომიკურ ორგანიზაციებთან შედარებით); რათა შეფასდეს თუ რითი შეიძლება უნივერსიტეტის, როგორც სტუდენტებისათვის უმაღლესი განათლების მიმწოდებლისა და კვლევითი ცენტრის საქმიანობის გაუმჯობესება და, რომ გაუმჯობესდეს მისი რეპუტაციაც. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ასეთი საქმე გადაუდებლად უნდა გაკეთდეს ყველა დაინტერესებული მხარის მიერ და მას აქტიურად მიჰყვნენ რექტორი, დეკანები, წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოები.

როგორც სტრატეგიული განვითარების გეგმიდან ჩანს, უნივერსიტეტს ბევრი გადაუდებელი პრიორიტეტი აქვს. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, მათგან ყველაზე უპირველესია ის, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, სადაც საჭიროა, იმუშავოს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტთან და განათლების ფაკულტეტის ექსპერტებთან, რათა გამოიკვლიოს პლაგიატისა და სხვა არაეთიკური ქცევების მასშტაბი და ხასიათი უნივერსიტეტში და მოაგროვოს ინფორმაცია პლაგიატისა და არაეთიკური ქცევის წინააღმდეგ არსებული კარგი პრაქტიკის შესახებ საქართველოს სხვა უნივერსიტეტებიდან თუ უმაღლესი განათლების ევროპული სივრციდან (იხილეთ ქვემოთ). ამ კვლევის მიგნებები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს მისცემს შესაძლებლობას წარადგინოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროცედურები აკადემიური პერსონალის გადასამზადებლად, რათა შეამოწმონ და აღმოფხვრან პლაგიატი მათ სტუდენტებში, გამოიყენონ რა ამისთვის უნივერსიტეტის ამჟამინდელი რესურსები და ის დისციპლინარული ზომები, რომელთა დაკისრებაც საუკეთესო იქნება უნივერსიტეტის მიერ არაეთიკური ქცევის აღმოსაფხვრელად. ეს მიდგომა აჯობებს ლოდინს საკუთარი ონლაინ სერვისების მიღებამდე (იხილეთ ქვემოთ).
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში; სტრატეგიული გეგმა; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წესდება; შეხვედრები შემდეგ პირებთან: წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები და სპიკერი; აკადემიური საბჭოს წევრები; პროგრამის ხელმძღვანელები; ცენტრალური და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელები და წევრები; სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წევრები და აკადემიური პერსონალის წევრები; მოწვეული პერსონალის წევრები; სტუდენტები; კურსდამთავრებულები და სხვა დაინტერესებული პირები; თვითშეფასების გუნდი; დეკანები. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიშები (2017); ხარისხის უზრუნველყოფის კითხვარები.
რეკომენდაციები: უნივერსიტეტმა წარმომადგენლობით საბჭოსა და აკადემიურ საბჭოს, თითოეულ სესიაზე, შესაბამის მონაკვეთში, გადაუდებელი საკითხის საკით უნდა წარუდგინოს თავისი სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის, ანალიზისა და ანგარიშგებისთვის საჭირო ზომები; მიღებული პირობები უნდა მოიცავდეს ანგარიშის ჩაბარებას უნივერსიტეტში ნასწავლი კურსდამთავრებულებისა და კვლევის სტუდენტების აკადემიურ მოსწრებაზე; პროგრესისა და სწავლის გაგრძელების მაჩვენებელს პროგრამისა და სასწავლო სფეროს მიხედვით; არაეთიკური ქცევის, მათ შორის პლაგიატის სიხშირეს; სტუდენტების ოფიციალურ და არაოფიციალურ საჩივრებზე; აკადემიური გადაწყვეტილების მიღების წინააღმდეგ მათ მიერ შეტანილ საჩივრებზე.
რჩევები: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის კარგი იქნება, თუკი რჩევას მიიღებს განათლების ხარისხის გაუმჯობესების ეროვნული ცენტრისგან იმის თაობაზე, თუ

როგორ გამოიმუშავოს უკეთესად იმის უნარი, რომ ჩაატაროს თვით-კრიტიკული ანალიზები, რომელსაც უნივერსიტეტის სხვა წევრებს გაუზიარებს.

ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალურმა სამსახურმა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა კოორდინირება გაუწიონ იმ მონაცემებსა და ინფორმაციას, რომელთაც თითოეული მათგანი აგროვებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ უნივერსიტეტმა მაქსიმალური სარგებელი ნახოს თითოეული გამოკითხვიდან ან სხვა კვლევითი აქტივობიდან, რომელსაც იგი ატარებს პროგრამების, პერსონალისა და სტუდენტების საქმიანობის შესაფასებლად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა საკუთარ თავზე უნდა აიღონ უნივერსიტეტის მასშტაბით ხარისხის კულტურის განვითარების პასუხისმგებლობა. ეს კულტურა დაფუძნებული უნდა იყოს სამსახურების, პერსონალისა და სტუდენტების საერთო აღქმაზე, რომ ხარისხის უზრუნველყოფა არის გამოყენებითი სოციალურ-სამეცნიერო, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის პროცესი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს უნივერსიტეტის შესახებ იმ ინფორმაციის მოპოვება, რომელიც შემდგომ შესაძლებელს გახდის სტუდენტებისა და პერსონალისთვის უკეთესი საგანმანათლებლო და კვლევითი შესაძლებლობების უზრუნველყოფას და სარგებელს მოუტანს უნივერსიტეტის რეპუტაციას.

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტმა შეიმუშავა ეთიკის კოდექსი, რომელიც შეიცავს სახელმძღვანელოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, ასევე სტუდენტებისთვის, ეთიკურ ქცევებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მოთხოვნების შესახებ. კოდექსი

დაამტკიცა უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ და აკადემიურმა საბჭომ. კოდექსის ასლი წარმოდგენილი იყო ქართულ ენაზე, როგორც უნივერსიტეტის დამხმარე მტკიცებულება განხილვისთვის, მას თანახლდა განაცხადი იმ პროცედურების შესახებ, რომელსაც ატარებენ არაეთიკური ქცევის აღმოჩენის შემთხვევაში. ეს პროცედურები მოიცავს ეთიკის კომიტეტს, რომელიც დაარსდა იმისათვის, რომ განიხილოს უნივერსიტეტის მიერ აღმოჩენილი არაეთიკური ქცევის შემთხვევები. სსუ-მ ექსპერტთა ჯგუფს განუმარტა, რომ ადგილზე ვიზიტის დროს, ეთიკის კომიტეტის მიერ მიმდინარეობდა ეთიკის კოდექსის დარღვევის სამი შემთხვევის განხილვა.

ექსპერტთა ჯგუფისთვის არ იყო ნათელი, თუ რა კეთდება პრაქტიკაში იმისათვის, რომ ამაღლდეს პერსონალისა და სტუდენტების ცნობიერება იმ კუთხით, თუ რა რისკების ქვეშ აყენებს უნივერსიტეტის რეპუტაციას არაეთიკური ქცევები და თუ რამდენად მნიშნელოვანია მსგავსი ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლა (იხილეთ ქვემოთ).

უნივერსიტეტმა ცოტა ხნის წინ შეიმუშავა და მიიღო დოკუმენტი, რომელიც აღწერს პლაგიატის პრევენციის, მისი აღოჩენისა და პლაგიატის შემთხვევების გამკლავების ზომებს. აღნიშნული დოკუმენტის ასლი მოგვაწოდეს ქართულ ენაზე, იგი თან ახლდა განხილვისთვის დამხმარე მტკიცებულებებს.

ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა შეძლო აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან განეხილა აკადემიური კეთილსინდისიერების, ეთიკისა და პლაგიატის და მისი პრევენციის საკითხები. ასევე განიხილა მცირე თვალსაჩინო ნიმუშები სტუდენტთა ნამუშევრებიდან, რომლებიც შეირჩა უნივერსიტეტის მიერ ექსპერტთა ჯგუფისთვის. ექსპერტთა ჯგუფს ამცნობეს, რომ განათლების ფაკულტეტის სტუდენტებმა მიიღეს ოფიციალური ინსტრუქტაჟი ეთიკური პრაქტიკისა და კვლევის მეთოდების შესახებ. მცირე მტკიცებულებები იყო იმისა, რომ სხვა ფაკულტეტებმაც მსგავსად მოამზადეს სტუდენტები აღნიშნულ საკითხებზე. აკადემიურ პერსონალსა და დოქტორანტებს, რომელთაც ესაუბრა ექსპერტთა ჯგუფი, გაცნობიერებული აქვთ არაეთიკური ქცევისა და პლაგიატის შეკავების მნიშვნელობა, ზოგიერთმა მათგანმა ისიც აღწერა, თუ როგორ წარმოუდგენიათ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არაოფიციალური ტრენინგების ჩატარება. თუმცა ექსპერტთა ჯგუფისთვის ბუნდოვანი იყო, რამდენად დაიწყო თუ არა უკვე უნივერსიტეტმა სისტემატური ბრიფინგები და მოსამზადებელი სესიები პერსონალისა და სტუდენტებისთვის, არაეთიკური ქცევისა და პლაგიატის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ ის ინდუქციური მეთოდები და გავრცელების სხვა პროცედურები, რომლებიც განათლების ფაკულტეტმა შეიმუშავა, რათა სტუდენტებისთვის ესწავლებინა ეთიკური პრაქტიკა და კვლევის მეთოდები, ახლა უნდა გაფართოვდეს უნივერსიტეტის მასშტაბით, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის ასევე კვლევის სტუდენტებზე.

ექსპერტთა ჯგუფმა საგანგაშოდ ჩათვალა, აქამდე გამოუვლენელი პლაგიატის ორი მკაფიო შემთხვევა, რომლებიც შენიშნეს უნივერსიტეტის მიერ მათთვის შერჩეული

სტუდენტების ნამუშევართა პატარა ნიმუშში. ის ფაქტი, რომ ეს ნიმუშები უნივერსიტეტის მიერ შეირცა და, რომ აქამდე ვერ გამოავლინეს მათში პლაგიატის არსებობა, მკაფიოდ მიანიშნებს ექსპერტთა ჯგუფს, რომ უნივერსიტეტის მცდელობა აღმოაჩინოს და ებრძოლოს პლაგიატს, არაეფექტურია.

ექსპერტთა ჯგუფი ძალიან სერიოზულ საკითხად მიიჩნევს მის მიერ გამოვლენილი პლაგიატის ამ შოკისმომგვრელ შემთხვევებს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პლაგიატის წინააღმდეგ ბრძოლა უნივერსიტეტის მხრიდან დაუყოვნებლივ ყურადღებას საჭიროებს, თუკი მას სურს რომ მართოს იმის რისკი, რომ მუდმივად გამოუვლენელი პლაგიატის ფაქტები ზიანს მიაყენებენ უნივერსიტეტის რეპუტაციას და ნაკლებად ღირებულს გახდიან მის კვალიფიკაციებს კოლეგებსა და სხვა ქართული უნივერსიტეტებისა თუ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სხვა დამსაქმებლების თვალში. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, როგორც გადაუდებელი საკითხი, უნივერსიტეტმა პირველ რიგში შეიმუშავოს და ჩაატაროს ინტენსიური მოსამზადებელი პროგრამა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, შემდეგ კი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის იმის თაობაზე თუ რას წარმოადგენს პლაგიატი და როგორ შეიძლება მისი გამოვლენა. ტრენინგზე დამსწრეთათვის, ამას თან უნდა ახლდეს რჩევა იმის შესახებ, თუ რა ზიანს მიაყენებს უნივერსიტეტის რეპუტაციასა და მათ მომავალ კარიერას პლაგიატის შეუმოწმებლობა. (ასევე იხილეთ სტანდარტი 6.1). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეკომენდაციის ფარგლებში არ მოიაზრებიან დოქტორანტურის სტუდენტები, რადგანაც ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ დოქტორანტები უკვე გადიან მომზადებას აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ, მათ შორის ეთიკურ პრაქტიკას კვლევაში.

უნივერსიტეტის წესდებაში ხაზგასმულია ძალისხმევა, რომ დაიცავს აკადემიურ თავისუფლებას და მართალია თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ უნივერსიტეტის მისიის განაცხადში ასევე ნახსენებია აკადემიური თავისუფლება, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნულ დოკუმენტში ვერ იპოვა მითითება უმაღლესი განათლების ამ ფუნდამენტალურ პრინციპზე. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა აკადემიური თავისუფლების მნიშვნელობა უნივერსიტეტის უფროს ხელმძღვანელობასთან და წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების წევრებთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან, უნივერსიტეტში განხორციელებული ვიზიტისას შემდგარ შეხვედრებზე.

იმის გათვალისწინებით, რაც უნივერსიტეტის პერსონალმა და სტუდენტებმა თქვეს, ექსპერტთა ჯგუფისთვის ნათელი გახდა, რომ აკადემიური თავისუფლების პრინციპი და ის, როგორც იგი გამოიყენება უნივერსიტეტის უმაღლეს განათლებასა და კვლევაში, საწიროებს ყურადღებითა და აქტიურად განხილვას და განსაზღვრას უნივერსიტეტის ყველა დონეზე, საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის მასშტაბით არსებულ უნივერსიტეტებში დამკვიდრებული პირობების გათვალისწინებით. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ „აკადემიური თავისუფლება“ აღარ წარმოადგენდეს აბსტრაქტულ ცნებას და გახდეს სსუ-ს აკადემიური და

ადმინისტრაციული პერსონალის, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისა და მკვლევარების საერთო აღქმის ნაწილი იმის თაობაზე, რომ აუცილებელია უმაღლესი განათლების აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის, საქართველოს კანონის ფარგლებში, „დასვნა კითხვა და შეამოწმონ მიღებული სიბრძნე და ცოდნა და გამოთქვან ახალი იდეები და საკამათო და არაპოპულარული მოსაზრებები უნივერსიტეტში თანამდებობისა თუ პრივილეგიების დაკარგვის რისკის გარეშე“.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ უნივერსიტეტმა კონსულტაცია უნდა გაიაროს პერსონალთან და სტუდენტებთან, როდესაც იგი შეიმუშავებს „აკადემიური თავისუფლების“ სამუშაო განსაზღვრებას, მისი გამოყენების მაგალითებით, წესდებაში ამ განსაზღვრების შეტანა უნდა განიხილოს და გაიაროს (ყველა საჭირო ცვლილების შეტანით) წარმომადგენლობითმა საბჭომ და აკადემიურმა საბჭომ და ამ წესდების ოფიციალურად მიღების შემდეგ, იგი უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქარტია/წესდება; მისიის განაცხადი; შეხვედრები წარმომადგენლობით საბჭოსთან, აკადემიურ საბჭოსთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

როგორც გადაუდებელი საკითხი, უნივერსიტეტმა პირველ რიგში შეიმუშავოს და ჩაატაროს ინტენსიური მოსამზადებელი პროგრამა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, შემდეგ კი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის იმის თაობაზე თუ რას წარმოადგენს პლაგიატი და როგორ შეიძლება მისი გამოვლენა. ტრენინგზე დამსწრეთათვის, ამას თან უნდა ახლდეს რჩევა იმის შესახებ, თუ რა ზიანს მიაყენებს უნივერსიტეტის რეპუტაციასა და მათ მომავალ კარიერას პლაგიატის შეუმოწმებლობა.

უნივერსიტეტმა კონსულტაცია უნდა გაიაროს პერსონალთან და სტუდენტებთან, როდესაც იგი შეიმუშავებს „აკადემიური თავისუფლების“ სამუშაო განსაზღვრებას, მისი გამოყენების მაგალითებით, უნივერსიტეტის წესდებაში ამ განსაზღვრების შეტანა უნდა განიხილოს და გაიაროს (ყველა საჭირო ცვლილების შეტანით) წარმომადგენლობითმა საბჭომ და აკადემიურმა საბჭომ და ამ წესდების ოფიციალურად მიღების შემდეგ, იგი უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

რჩევები:

რომ ის ინდუქციური მეთოდები და გავრცელების სხვა პროცედურები, რომლებიც განათლების ფაკულტეტმა შეიმუშავა, რათა სტუდენტებისთვის ესწავლებინა ეთიკური პრაქტიკა და კვლევის მეთოდები, ახლა უნდა გაფართოვდეს უნივერსიტეტის მასშტაბით, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის ასევე დოქტორანტურის სტუდენტებზე.

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის რწმუნებით მას არაქვს პოლიტიკა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დაგეგმვის და განვითარრებისთვის, თუმცა მისი მიდგომა გამოხატულია სამ მეთოდოლოგიაში, რომელიც დამტკიცდა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შესამუშავებლად. ეს მეთოდოლოგიები უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ 2017 (საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები) და 2018 (სადოქტორო პროგრამები) წლებში დაამტკიცა. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიები მოიცავს დეტალურად გაწერილ დებულებებს უნივერსიტეტის თანამშრომლობისთვის სხვა უნივერსიტეტებთან და პარტნიორებთან, რათა სტუდენტებს შესთავაზონ ერთობლივი პროგრამები. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ უნივერსიტეტმა ახლა უნდა გადახედოს პროგრამის შემუშავების სამ მეთოდოლოგიას, ამოიღოს მათ საფუძვლად არსებული მთავარი პრინციპები და გამოსცეს ერთიანი საპროგრამო განაცხადი, სადაც გაწერილი იქნება უნივერსიტეტის მიდგომა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და

განვითარებისათვის, რათა იგი წარედგინოს აკადემიურ საბჭოსა და წარმომადგენლობით საბჭოს.

პროგრამის შემუშავების თითოეული საუნივერსიტეტო მეთოდოლოგია მოითხოვს, რომ ახალი პროგრამის დაგეგმვისას, შემუშავების პროცესში, კონსულტაციები გაიარონ დაინტერესებულ მხარეებთან. ექსპერტთა ჯგუფის დაკვირვებით, მართალია უნივერსიტეტი ძალისხმევას არ იშურებს სტუდენტზე ორიენტირებული უმაღლესი განათლების განვითარებისთვის, თუმცა სსუ-ს მიერ სტუდენტის, როგორც დაინტერესებულ მხარეთა ყველაზე მსხვილი ჯგუფის აღიარება, თანამშრომლებთან და პროფესიულ სუბიექტებთან ერთად, ყოველთვის არ იკვეთება უნივერსიტეტის დოკუმენტებში. იხილეთ ასევე ავტორიზაციის სტანდარტი 5.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა სამივე მეთოდოლოგიის დოკუმენტი და განიხილა შესაბამისი პროცესები პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. იმ მტკიცებულების საფუძველზე, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა მოაგროვა და გააანალიზა, ჯგუფი კმაყოფილია, რომ უნივერსიტეტი ახალი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას პროგრამის ხელმძღვანელებისგან მოელის, რომ იგი კონსულტაციებს გაივლის სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის დამსაქმებლებთან და რომ სტუდენტები და სხვა დაინტერესებული მხარეები მონაწილეობას მიიღებენ პროგრამის სამუშაო პროცესში.ლ მსგავსად ამისა, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგიები მოიცავს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფას დაინტერესებული მხარეების (მათ შორის სტუდენტებისა და დამსაქმებლების) ჩართულობის გზითა და შიდა შეფასების შედეგების გამოყენებით. იხილეთ ასევე 3.2.

უნივერსიტეტის წევრებთან, კერძოდ მის აკადემიურ პერსონალთან განხილვის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ ამჟამად მოქმედი პროგრამების მონიტორინგი ხორციელდება ადგილობრივად, პროგრამის ხელმძღვანელობის და მათთან მომუშავე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ და, რომ სასწავლო გეგმაში გაუმჯობესების შეტანა ხდება ასეთი მონიტორინგისა და სტუდენტთა უკუკავშირის (ხშირად ზეპირი) საპასუხოდ. ექსპერტთა ჯგუფისთვის საინტერესო იყო იმის გაგება, რომ აკადემიური და ადმინ ისტრაციული პერსონალი ისწრაფვის, სადაც შეუძლია, რომ დანერგოს პროგრამის ინგლისურ ენაზე განხორციელება, რათა ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის სასწავლო გეგმის ინტერნაციონალიზაციას, გააცნოს ეს პროცესი ქართველ და სხვა სტუდენტებს და შესაძლებელი გახადოს საერთაშორისო სტუდენტებისთვის მის პროგრამებზე სწავლა.

თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ უნივერსიტეტმა მიიღო რეგულაციები სტუდენტთა ინტერესების დასაცავად იმ შემთხვევებისთვის, როდესაც იცვლება პროგრამის შინაარსი ან უქმდება მისი მოთხოვნები. ექსპერტთა ჯგუფი ამას ადასტურებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში; მეთოდოლოგიები (3) საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემუშავებისთვის; სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის რეგულაცია, 2014 წლის მაისი; შეხვედრები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან და აკადემიურ საბჭოსთან;

რეკომენდაციები:

უნივერსიტეტმა, პროგრამების შემუშავებისა და განვითარებისთვის არსებული სამი მეთოდოლოგიის დოკუმენტებიდან, უნდა ამოიღოს მათ საფუძვლად არსებული მთავარი პრინციპები და გამოსცეს საპროგრამო განაცხადი, სადაც გაწერილი იქნება უნივერსიტეტის მიდგომა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარებისათვის, რათა იგი წარედგინოს აკადემიურ საბჭოსა და წარმომადგენლობით საბჭოს.

რჩევები:

უნივერსიტეტის მიერ მეთოდოლოგიების შემდგომი განხილვისას დარწმუნდეს, რომ ტერმინი „დაინტერესებული მხარე“ მოიცავს სტუდენტებსაც.

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ უნივერსიტეტის მეთოდოლოგიები პროგრამის განვითარებისთვის და მისი რეგულაციები მოითხოვს სწავლის შედეგების შეთანხმებას და შესაბამისობას ეროვნულ მოთხოვნებთან, მათ შორის საქართველოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან და რომ პროგრამებისთვის მისანიჭებელი კრედიტები და მათი კომპონენტები შეესაბამებოდეს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას. ასეთი შესაბამისობა საჭიროა, რათა ახალი პროგრამების დამტკიცება შეძლოს სსუ-ს აკადემიურმა საბჭომ. ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა აკრედიტებული სამეცნიერო, სოციალური მეცნეირებების, ჰუმანიტარული და განათლების პროგრამების ნიმუშები. ექსპერტთა ჯგუფი გაოცდა იმით, თუ რამდენად განსხვავდებოდა ფაკულტეტების მიხედვით პროგრამის დოკუმენტების ფორმა და მათი დეტალები. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ მომავალ წელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს პროგრამის დოკუმენტების აუდიტი უნივერსიტეტის მასშტაბით და შეიმუშავოს პროცესი იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროგრამის დოკუმენტები ყველა ფაკულტეტიდან აკმაყოფილებდეს უნივერსიტეტის საპრეზენტაციო მოთხოვნებს.

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული პროგრამის ნიმუშის დოკუმენტების შესწავლისას, ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა მითითებები სწავლებისა და დამხმარე სწავლების სხვადასხვა მიდგომებზე, მათ შორის იმიტირებულ სასამართლო პროცესზე სამართალში და შემთხვევის ანალიზებზე სწავლების სხვა სფეროებში. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებისთვის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების უფრო ფართოდ შემოღება მეტად მომგებიანი იქნება. როგორც 7.3 პარაგრაფშია მითითებული, სწავლების ერთ-ერთდარგში, ზოგიერთი პროგრამისთვის ჩამოთვლილი ძირითადი მასალები მხოლოდ რუსულ ენაზე იყო ხელმისაწვდომი და მოძველებული და ზოგიერთ სილაბუსში მითითებული ლინკი, რუსულენოვან ვებ-გვერდს ეკუთვნოდა. ექსპერტთა ჯგუფმა შევე შენიშნა, რომ რამდენიმე სილაბუსში არ იყო განმარტებული თუ როგორ იყო გამოთვლილი შესაბამისი სასწავლო კომპონენტისთვის მინიჭებული კრედიტის საათები.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, უნივერსიტეტმა გადახედოს მის სილაბუსებში ჩამოთვლილ სასწავლო რესურსებს და დარწმუნდეს, რომ ძირითადი ლიტერატურა არის ქართულ ენოვანი და შეამოწმოს თავისი პროგრამების თითოეულ სილაბუსში, თუ როგორ არის გამოთვლილი კრედიტებით განსაზღვრული საათები და, რომ ეს შეესაბამება ეროვნულ და საერთაშორისო ნორმებსა და მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ ლაბორატორიაზე დაფუძნებული პროგრამებისთვის, უნივერსიტეტმა შესაძლოა სასარგებლოდ მიიჩნიოს პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების უპირატესობები.

უნივერსიტეტის პროგრამების კატალოგი სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილებით ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი სპეციალური საჭიროებისა და შშმ სტუდენტებისთვის შესაძლებელს ხდის ინდივიდუალიზებული პროგრამების შექმნას. .
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში; ვებ-გვერდი; კატალოგი; შეხვედრები აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: უნივერსიტეტმა გადახედოს მის სილაბუსებში ჩამოთვლილ სასწავლო რესურსებს და დარწმუნდეს, რომ ძირითადი ლიტერატურა არის ქართულ ენოვანი და შეამოწმოს თავისი პროგრამების თითოეულ სილაბუსში, თუ როგორ არის გამოთვლილი კრედიტებით განსაზღვრული საათები და, რომ ეს შეესაბამება ეროვნულ და საერთაშორისო ნორმებსა და მოთხოვნებს.
რჩევები: უნივერსიტეტისთვის შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს, თუკი საბუნებისმეტყველო მეცნიერების პროგრამებისთვის გამოიყენებს პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას და განიხილავს, თუ რომელ გარემოებებში შეიძლება უფრო შესაფერისი იყოს პროგრამის ელემენტის მთავარ შეფასების კომპონენტად არა-წერილობითი დავალების გამოყენება.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ○ ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
3.3 სწავლის შედეგების შეფასება
უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის შეფასების პირობები გაწერილია მის რეგულაციებში. ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ ისინი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ თითოეული შეფასების არსებითი კომპონენტია „წერილობითი დავალება“, თუმცა უნივერსიტეტის დოკუმენტებიდან და აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრებიდან, ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ შეფასების სხვა ფორმებითაც (როგორიცაა პრაქტიკული სამუშაო და შემთხვევის ანალიზი) შესაძლებელია სტუდენტთა მუშაობის შეფასება პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებაში. თვითშეფასების ანგარიშში მცირე ინფორმაცია იყო იმის თაობაზე, თუ როგორ გადააქვს პროგრამის სწავლის შედეგები შეფასების იმ დავალებებში, რომლებიც ამოწმებს სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების დაკმაყოფილებას. მსგავსად ამისა, უნივერსიტეტის „განათლების პროცესის რეგულაციები“ არ განსაზღვრავენ სწავლის შედეგებს და მათ როლს საგანმანათლებლო პროცესსა და სტუდენტთა მიღწევების შეფასებაში. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ სტუდენტებისთვის უმჯობესი იქნება, თუკი გარკვევით ეცოდინებათ თუ როგორ იყენებს უნივერსიტეტის სწავლის შედეგებს, როდესაც შეიმუშავებს კურიკულუმს ან გამოცდებს.

ექსპერტთა ჯგუფმა სტუდენტებს კითხა იმ უკუკავშირისა და კომენტარების შესახებ, რომელიც მათ მიიღეს თავიანთ მუშაობაზე, აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. როგორც გაირკვა, უნივერსიტეტები იღებენ წერილობით კომენტარებს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოზე, რასაც ემატება ზეპირი უკუკავშირი, თკი ისინი აირჩევენ რომ დაესწრონ ლექტორებისა და პროფესორების უმრავლესობის მიერ ორგანიზებულ სესიებს. ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილებას ამოთქვა,ს რომ უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა შეფასების პირობები შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა თუ რამდენად აძლევენ პროგრამები სტუდენტებს არჩევითი კომპონენტების შერჩევის შესაძლებლობას სავალდებულო საგნებთან ერთად და ჯგუფი ადასტურებს ამის შესაძლებლობას. ეს შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის 3.2 მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა სწავლის შედეგების განაცხადები პროგრამის დოკუმენტებში და შეაფასა ისინი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციების აღმწერთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ უმეტეს შემთხვევებში სათანადო შესაბამისობაა კვალიფიკაციების აღმწერებსა და სწავლის შედეგებს შორის. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევებში, ექსპერტთა ჯგუფს დარჩა შთაბეჭდილება, რომ სწავლის შედეგებსა და კვალიფიკაციის აღმწერებს შორის შესაბამისობა ეროვნულ დონეზე არ იყო ისეთი მჭიდრო, როგორც მოსალოდნელია. ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს უნივერსიტეტს, რომ სწორი იქნება თუკი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი, განათლების ფაკულტეტის ექსპერტების რჩევით, შეამოწმებენ მეორე საფეხურის პროგრამების (მათ შორის დისერტაციების) სწავლის შედეგების შესაბამისობას ამავე საფეხურის კვალიფიკაციების აღწერებთან უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში. ექსპერთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს თავისი პროგრამების სილაბუსებს, რათა შეამოწმოს, რომ მათში დასახელებული

სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგიები უზრუნველყოფენ სტუდენტებს, მიაღწიონ შესაბამის სწავლის შედეგებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში; ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო; განათლების რეგულაციები; შეხვედრები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, დეკანებთან.
რეკომენდაციები: უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს თავისი პროგრამების სილაბუსებს, რათა შეამოწმოს, რომ მათში დასახელებული სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგიები უზრუნველყოფენ სტუდენტებს, მიაღწიონ შესაბამის სწავლის შედეგებს.
რჩევები: მომავალ წელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს პროგრამის დოკუმენტების აუდიტი უნივერსიტეტის მასშტაბით და შეიმუშავოს პროცესი იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროგრამის დოკუმენტები ყველა ფაკულტეტიდან აკმაყოფილებდეს საუკეთესო სტანდარტებს. სტუდენტებისთვის უმჯობესი იქნება, თუკი გარკვევით ეცოდინებათ თუ როგორ იყენებს უნივერსიტეტის სწავლის შედეგებს, როდესაც შეიმუშავებს კურიკულუმს ან გამოცდებს..
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ○ ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული

პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტმა მიიღო და იცავს პერსონალის მართვის იმ წესებს, რომლებიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის მიერ სრულ განაკვეთზე მომუშავე აკადემიური პერსონალის არჩევის პროცედურები გამჭვირვალეა და ობიექტური. ექსპერტთა ჯგუფი ასევე დარწმუნებულია, რომ ადმინისტრაციული და ხელმძღვანელი პერსონალი ინიშნება და ირჩევა ისეთი წესით, რომელიც სრულად შეესაბამება უმაღლესი განათლების შესახებ კანონს. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ მოწვეული აკადემიური პერსონალის დანიშვნის პირობები უნივერსიტეტში ნაკლებად მკაფიოა სრულ-განაკვეთზე მომუშავე მათი კოლეგების დანიშვნის პროცედურებისგან განსხვავებით. შეუძლებელი აღმოჩნდა იმის დადგენა, აქვს თუ არა უნივერსიტეტს მკაცრი და მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკა მოწვეული პერსონალის დასასაქმებლად და მათი დანიშვნისთვის, რომელიც განსაზღვრავს იმ პირობებს, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს მანამ სანამ შესაბამის პოზიციაზე დაინიშნება მოწვეული თანამშრომელი. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ უნივერსიტეტის მასშტაბით სამართლიანობის დასაცავად, უნივერსიტეტმა უნდა მიიღოს საკუთარი პოლიტიკა მოწვეული პერსონალის დანიშვნის შესახებ, დააწესოს წესები იმის გასაანგარიშებლად, თუ როდის არის საჭირო მოწვეული პერსონალის დანიშვნა და ასევე პროცედურები მოწვეული პერსონალის დანიშვნისთვის ფინანსების გამოსაყოფად. უნივერსიტეტი იცავს სამთავრობო მოთხოვნებს აკადემიური პერსონალის აფილირებისთვის და აწესებს საკუთარ მოთხოვნებს. უნივერსიტეტის წევრებთან შეხვედრების დროს, ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის აფილირების პროცედურები და მოთხოვნები. წევრებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნული პროცედურები მათთვის ცნობილია. თუმცა ნაკლებად მკაფიო იყო ის, თუ როგორ იყენებს უნივერსიტეტი აფილირების პროცედურებს და როგორ მოწმდება მათთან შესაბამისობა. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტი უნდა დააკვირდეს

იმას იცავს თუ არა და როგორ იცავს პერსონალი აფილირების პირობების მოთხოვნებს და ამ მონტორინგის შედეგების ანგარიში უნივერსიტეტმა პერიოდულად უნდა წარუდგინოს წარმომადგენლობით და აკადემიურ საბჭოებს. ექსპერტთა ჯგუფი ასევე მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტმა უნდა განსაზღვროს საკუთარი მოლოდინები იმის თაობაზე, თუ რას უნდა მიაღწიოს (სამიზნე ნიშნულები) აფილირებულმა პერსონალმა მაგალითად სწავლებაში, დისერტაციებისა და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობაში, კვლევაში და კვლევით საქმიანობაში და თუ როგორ შეიძლება აკადემიური პერსონალის და კერძოდ აფილირებული პროფესორების წახალისება, რომ ამ სამიზნეებს მიაღწიონ.

უნივერსიტეტს ამჟამად არ აქვს ოფიციალური საუნივერსიტეტი პოლიტიკა აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის, რომელიც განსაზღვრავს მოლოდინებს და მხარდაჭერას მათი, როგორც მასწავლებლებისა და მკვლევარების განვითარებისთვის. იგი რუტინულად არ უზრუნველყოფს აკადემიურ შვებულებას აკადემიური პერსონალისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია კადრების უზრუნველყოფის შესახებ და დამხმარე მტკიცებულებები. მან ასევე განიხილა საუნივერსიტეტო პირობები აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ უნივერსიტეტს არ აქვს გამოხატული პოლიტიკა ან სტრატეგია თავისი აკადემიური პერსონალის სასწავლო და კვლევითი უნარების გაუმჯობესებისთვის და, რომ ამ დრომდე უნივერსიტეტი არ უზრუნველყოფდა აკადემიურ (მათ შორის მოწვეულ) თუ ადმინისტრაციულ პერსონალს მათი პროფესიული განვითარებისა და გადამზადების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციით. თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ განათლების ფაკულტეტი თავისი აკადემიური პერსონალისთვის ატარებს ტრენინგს პედაგოგიკასა და კვლევის მეთოდებში. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ განათლების ფაკულტეტის ექსპერტიზაზე დაყრდნობით, უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს პოლიტიკა და სტრატეგია მთელი თავისი პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარეფისთვის. ეს პოლიტიკა განსახილველად უნდა წარედგინოს წარმომადგენლობით და აკადემიურ საბჭოებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აკადემიური პერსონალის განვითარების საჭიროებებს და ხაზი გაესვას თუ როგორ გეგმავს უნივერსიტეტი წაახალისოს სწავლებისა და შეფასების უნარები, უფრო მეტად კი გადაამზადოს ისინი კვლევით უნარებსა და მეთოდებში. მსგავსად ამისა, რამდენადაც უნივერსიტეტი განაგრძობს თავისი აკადემიური პერსონალის წახალისებასა და მხარდაჭერას, რათა ჩაატარონ კლვევები, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია იქნება, რომ უნივერსიტეტმა გააფართოვოს მხარდაჭერა, ისე, რომ უზრუნველყოს ანაზღაურებადი შვებულება აკადემიური პერსონალისთვის კვლევის ჩასატარებლად, რათა მათ შეძლონ უფრო მასშტაბური ან სხვაგვარად არსებითი კვლევის პროგრამები. იხილეთ ასევე სტანდარტი 7.4.

საავტორიზაციო განხილვისთვის უნივერსიტეტმა წარმოადგინა მტკიცებულება თავისი თანამშრომლების მახასიათებლების შესახებ, რაც მოიცავს გენდერულ ბალანსს, პერსონალის ასაკობრივ პროფილს, სადაც ასაკით უფროსი აკადემიური პერსონალის რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ახალბედებისას. უნივერსიტეტს

სრულად აქვს გააზრებული ის სირთულეები, რასაც ამჟამინდელი ასაკობრივი პროფილი შეუქმნის მის აკადემიურ საქმიანობას უახლოეს მომავალში, თუმცა ექსპერტთა ჯგუფისთვის არ იყო ნათელი , რომ უნივერსიტეტს აქვს პოლიტიკა და სტრატეგია უფრო დაბალანსებული ასაკობრივი პროფილის მისაღწევად თავისი აკადემიური სამუშაო ძალისთვის. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტმა უნდა დაიწყოს უფრო აქტიურად ფიქრი იმაზე, თუ როგორ შეიძლება მოიზიდოს მეტი დოქტორი მკვლევარი, რომელიც შეუერთდება მის სასწავლო და კვლევით პერსონალს, მოიზიდოს ისინი უნივერსიტეტის არსებულ და ახლად შექმნილ , ასევე კარგად დამკვიდრებულ აკადემიურ სფეროებში.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პერსონალის სტუდენტებთან თანაფარდობის შესახებ მონაცემები. აღმოაჩინა, რომ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა ადეკვატურია იმ სწავლების პირობებში, ასაც უნივერსიტეტი ამჟამად უზრუნველყოფს. თუმცა სამომავლოდ, მისაღები სტუდენტების რაოდენობის გაზრდასთან ერთად, ექსპერტთა ჯგუფის რჩევა იქნება, რომ უნივერსიტეტმა გაზარდოს სრულ განაკვეთზე მომუშავე აკადემიური პერსონალის რაოდენობა , რომლებიც სტუდენტებს ასწავლიან და შეამციროს მოწვეული პერსონალის საჭიროება, ასევე მეტი პროფესორი უნდა წაახალისოს, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში.

უნივერსიტეტმა განსაზრვრა ის კვალიფიკაციები, რომლებიც მოეთხოვებად აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს სამუშაო პოზიციების დასაკავებლად. შეიმუშავა სამუშაოს აღწერები პოზიციებისთვის, რომლებიც განსაზღვრავენ დაკავებული თანამდებობის მქონე პირის ფუნქციებს. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ აღნიშნული პირობები შეესაბამება ეროვნულ მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება იმ ფაქტს, რომ ცოტა ხნის წინ, უნივერსიტეტმა 18%-ით გაუზარდა ხელფასები აკადემიურ პერსონალს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში გვ26; სტრატეგიული გეგმა; მიღების წესი; შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს პოლიტიკა და სტრატეგია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ყველა წევრის უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით. ეს პოლიტიკა განსახილველად უნდა წარედგინოს წარმომადგენლობით და აკადემიურ საბჭოებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აკადემიური პერსონალის განვითარების საჭიროებებს და ხაზი გაესვას თუ როგორ გეგმავს უნივერსიტეტი წაახალისოს სწავლებისა და შეფასების უნარები, უფრო მეტად კი გადაამზადოს ისინი კვლევით უნარებსა და მეთოდებში.

უნივერსიტეტმა უნდა განსაზღვროს საკუთარი მოლოდინები იმის თაობაზე, თუ რას უნდა მიაღწიოს (სამიზნე ნიშნულები) აფილირებულმა პერსონალმა მაგალითად სწავლებაში, დისერტაციებისა და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობაში, კვლევაში და კვლევით საქმიანობაში და თუ როგორ შეიძლება აკადემიური პერსონალის და კერძოდ აფილირებული პროფესორების წახალისება, რომ ამ სამიზნეებს მიაღწიონ. უნივერსიტეტმა უნდა განსაზღვროს და ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს მოწვეული პერსონალის დანიშვნის პოლიტიკა, იმის გამოთვლის წესები, თუ როდის არის საჭირო მოწვეული პერსონალის დანიშვნა, მოწვეული პერსონალისთვის გამოსაყოფი ფინანსების დამტკიცების პროცედურები და მოწვეული პერსონალის დანიშვნის პროცედურები. უნივერსიტეტი უნდა დააკვირდეს იმას იცავს თუ არა და როგორ იცავს პერსონალი აფილირების პირობების მოთხოვნებს და ამ მონტორინგის შედეგების ანგარიში უნივერსიტეტმა პერიოდულად უნდა წარუდგინოს წარმომადგენლობით და აკადემიურ საბჭოებს.
რჩევები: მისაღები სტუდენტების რაოდენობის გაზრდასთან ერთად, უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს სრულ განაკვეთზე მომუშავე აკადემიური პერსონალის რაოდენობა , რომლებიც სტუდენტებს ასწავლიან და შეამციროს მოწვეული პერსონალის საჭიროება, ასევე მეტი პროფესორი უნდა წაახალისოს, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ინდუქციის მექანიზმები, რომელსაც უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტი იყენებს აკადემიური პერსონალისთვის და მათ გადასამზადებლად.
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
4.2. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა
უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო

პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის აქვს სამუშაო დატვირთვის სქემა, რომელსაც იგი სემესტრულად განაახლებს და განსაზღვრავს მათ ფუნქციებსა და მოვალეობებს. ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ „აკადემიური პერსონალის დატვირთვის წესი“ ითვალისწინებს იმას, რომ აკადემიური პერსონალი სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც ასწავლის და ეს შესაძლოა ჩასწორებას საჭიროებდეს უნივერსიტეტის იმ პერსონალისთვის, ვინც აფილირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული მტკიცებულების და აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამჟამად, აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის ოდენობა ადეკვატურია იმისათვის, რომ უნივერსიტეტმა განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამები. აკადემიურ პერსონალთან და წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოს წევრებთან შეხვედრისას, ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის ან არსებული პროგრამების განვითარებისას, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მომავალში შესაძლო სტუდენტების ჩარიცხვას და პროგრამის კონკრეტულ საჭიროებებსა და კონკრეტულ დარგებს. თვითშეფასების ანგარიშიდან, ასევე პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებიდან, ექსპერტთა ჯგუფმა დააკვნა, რომ უნივერსიტეტი ცდილობს, სადაც საჭიროა, მისი პროგრამები დაამთხვიოს ბაზარზე არსებულ საჭიროებებსა და ეროვნულ ეკონომიკას, მუშაობს რა უნივერსიტეტის, მისი მისიის, საერთო საჭიროებებისა და ინდივიდუალური აკადემიკოსების სასწავლო და კვლევითი ძლიერი მხარეების დაბალანსებაზე. აფილირების პირობების, აფილირების პროცედურისა და უნივერსიტეტის მიერ განსახილველად მოწოდებული მონაცემების თანახმად, სსუ-ს აკადემიური პერსონალის აბსოლუტური უმრავლესობა აფილირებულია. აფილირების პირობები გაწერილია ოფიციალურ ხელშეკრულებაში, რომელსაც უნივერსიტეტი აფორმებს ყველა იმ აკადემიურ თანამშრომელთან, რომელიც მიიღებს აფილირებას. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის მიდგომა აფილირებისადმი და მისი დადებითი მხარეები ერთის მხრივ პერსონალის, მეორეს მხრივ კი უნივერსიტეტისათვის. ექსპერტთა ჯგუფმა მკაფიოდ დაინახა ის დადებითი მხარეები, რაც უნივერსიტეტისთვის მოაქვს სსუ-სადმი აფილირებული აკადემიური პერსონალის არსებობას. თუმცა ნაკლებად გასაგები იყო ის თუ რა დადებითი მხარეები აქვს ინდივიდუალური აკადემიური თანამშრომლისთვის უნივერსიტეტთან აფილირებას. ექსპერტთა ჯგუფის რჩევა იქნება, უნივერსიტეტმა განიხილოს ის, თუ როგორ წაახალისოს მეტი აკადემიური პერსონალი, რომ მიიღონ აფილირებულის სტატუსი. გამოაქვეყნოს ის უპირატესობები, რასაც აფილირების შემთხვევაში შესთავაზებს,

მაგალითად უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობების და მათი კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის კუთხით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები დატვირთვის წესები; თვითშეფასების ანგარიში; შეხვედრები აკადემიურ, ადმინისტრაციულ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ლიდერებთან და სტუდენტებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები: უნივერსიტეტმა განიხილოს ის, თუ როგორ წაახალისოს მეტი აკადემიური პერსონალი, რომ მიიღონ აფილირებულის სტატუსი. გამოაქვეყნოს ის უპირატესობები, რასაც აფილირების შემთხვევაში შესთავაზებს, მაგალითად უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობების და მათი კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის კუთხით.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები.

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს დამკვიდრებული აქვს სტუდენტთა ჩარიცხვისა და რეგისტრაციის წესები, ასევე წესები მათი სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ. უნივერსიტეტმა ასევე დაამკვიდრა სტუდენტთა მობილობის მარეგულირებელი წესები, ასევე სერთიფიკატების და Europass განაცხადების მინიჭების რეგულაციები. ესენი გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში , რაც გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, სადაც იგი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და სხვა პირებისთვის. უნივერსიტეტს ასევე აქვს ჩარიცხვამდე სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების აღიარების წესები, თუმცა ეს ჯერ ვებ-გვერდზე არ არის გამოქვეყნებული. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, ასევე კრედიტების აღიარების პირობები და მიიჩნევს, რომ ისინი არის გამჭვირვალე, სამართლიანი და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

უნივერსიტეტის მიერ თვითშეფასების ანგარიშში მოწოდებული მონაცემებიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტს ჰყავს შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ექსპერტთა ჯგუფმა მოიკვლია მონაცემები შეჩერებული სტუდენტების რაოდენობის შესახებ და განიხილა ეს საკითხი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წევრებთან, ადგილზე ვიზიტის დროს. ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ ბევრმა სტუდენტმა მოითხოვა, რომ შეეჩერებინათ მათთვის სტატუსი, ფინანსური, სამუშაო თუ საოჯახო გარემოებებში მიმდინარე ცვლილებების გამო , თუმცა სხვა სტუდენტებს სტატუსი შეუჩერდათ იმის გამო, რომ ვერ გაიარეს შეფასებები. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანი იქნება უნივერსიტეტისთვის, თუკი უკეთესად დაადგენს სტუდენტების სტატუსის შეჩერების გამომწვევ მიზეზებს, რათა დაადგინოს თუ რა იქნება საუკეთესო გამოსავალი სტუდენტების დასახმარებლად.

შეფასებისთვის წარმოდგენილ მტკიცებულებებში, უნივერსიტეტმა წარმოადგინა იმ ხელშეკრულებების ნიმუშები, რომლითაც იგი ოფიციალურად აფორმებს ურთიერთობას ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებთან. თითოეულ შემთხვევაში, გაწერილია სტუდენტებისა და უნივერსიტეტის ვალდებულებები ერთმანეთისადმი, განსაზღვრულია უნივერსიტეტში სწავლის საფასურიც. როგორც წესი, უნივერსიტეტი სტუდენტებისგან სწავლის საფასურის ერთიანად გადახდას მოითხოვს და აფრთხილებს, რომ გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუჩერდებათ სწავლის

შესაძლებლობა. ექსპერტთა ჯგუფმა სტუდენტებისა და მათ მიერ არჩეული წარმომადგენლებისგან მოისმინა, რომ რექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე, უნივერსიტეტს შეუძლია სტუდენტს დართოს ნება, რომ სწავლის საფასური რამდენიმე ნაწილად გადაიხადოს, თუმცა ამ ვარიანტის არსებობის შესაზებ საზოგადოდ არ არის ცნობილი. ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ სტუდენტებს, რომლებიც ვერ ახერხებენ სწავლის საფასურის ერთიანად გადახდას და რჩევისა და დახმარებისთვის არ მიმართავენ სტუდენტურ თვითმმართველობას, უჩერდებათ სტატუსი, როდესაც სხვაგვარად მათი სწავლების გაგრძელება შესაძლებელი იქნებოდა. ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ მას შემდეგ, რაც StudLab სრულად ამოქმედდება, სტუდენტები შეძლებენ ინფორმაციის, მათ შორის სწავლის საფასურის შესახებ, ნახვას საკუთარ პირად გვერდზე.

ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტს კითხა, თუ როგორ აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას ორმხრივი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ არაერთი ცენტრალური და ფაკულტის ადმინისტრაციული სამსახურები ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს სტუდენტებთან, სადაც აცნობენ აღნიშნულ ინფორმაციას. სტუდენტებმა, რომლებიც შეხვდნენ ექსპერტთა ჯგუფს, ვერ გაიხსენეს უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრები ასეთ საკითხებზე (იხილეთ ზემოთ, საჩივრები). ზოგიერთმა მათგანმა ექპსერტთა ჯგუფს განუმარტა, რომ უნივერსიტეტისადმი თავიანთი ვალდებულებების შესახებ შეიტყვეს გამოცდილების შედეგად (მათ შორის მოლაპარაკებების წარმოებით სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით) და მათი წარმომადგენლობითი ორგანოსგან - სტუდენტური თვითმმართველობისგან.

უნივერსიტეტი თავისი რეგულაციებისა და მუშაობის შესახებ ინფორმაციას სტუდენტებსა და სხვებს აწვდის მისი ვებ-გვერდის მეშვეობით და ინფორმაციას სტუდენტებში ავრცელებს მოკლე ტექსტური შეტყობინებების დაგზავნითა და საჯარო საინფორმაციო დაფებით. უნივერსიტეტს ასევე შექმნილი აქვს „ხშირად დასმული კითხვების) განყოფილება თავის ვებ-გვერდზე, სადაც, განხილვის დროს, მხოლოდ სამი შეკითხვა იყო განთავსებული. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ უნივერსიტეტისთვის ახლა დროული იქნება თუკი სტუდენტურ თვითმმართველობასთან ერთად იმუშავებს „ხშირად დასმული კითხვების“ სიის გაფართოვებაზე, რაათა მოიცვას ის საკითხები, რომელთაც სტუდენტები ყველაზე ხშირად წამოჭრიან სტუდენტურ თვითმმართველობასთან და განაგრძოს „ხშირად დასმული კითხვების“ გაფართოება.

ექსპერტთა ჯგუფი გაოცდა, როდესაც შეიტყო, რომ უნივერსიტეტი არ აქვეყნებს „სტუდენტურ ცნობარს“ ან „სტუდენტურ სახელმძღვანელოს“ ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის; არც „პერსონალის ცნობარს“ აქვეყნებს. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ უნივერსიტეტმა სტუდენტებთან და პერსონალთან ინფორმაციის გაზიარების მექანიზმების განვითარებასთან ერთად დაუყოვნებლივ უნდა განიხილოს ცნობარების შემუშავების საკითხი.

თითეული ფაკულტეტის საბჭოსა და უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში მანდატი და ხმის მიცემის უფლება აქვს სტუდენტების არჩეულ წარმომადგენელს. როგორც ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, სტუდენტების მხრიდან ამ ორგანოებისადმი მოსაზრებების წარდგენის პირობები ჯერ კიდევ განვითარების ადრეულ ეტაპზეა. მაგალითად, ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ის პირობები, თუ როგორ გაუზიარებენ სტუდენტთა წარმომადგენლები დღის წესრიგის თემებს მათ ვისაც წარმოადგენენ და ვინც მათგან რჩევას ელის, მანამ სანამ საბჭოს შეხვედრებზე ისაუბრებენ და კენჭისყრაში მიიღებენ მონაწილეობას. თუმცა, სტუდენტთა არჩეულმა წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფს განუმარტა, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა სტუდენტური ინიციატივები წარუდგინონ უნივერსიტეტს მხარდაჭერის მისაღებად.

თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ თუკი სტუდენტს სურს გაასაჩივროს აკადემიური გადაწყვეტილება, აღნიშნული საკითხი უნდა მოისმინოს საჩივრების კომიტეტმა. ეს შეესაბამება უნივერსიტეტის წესდებას, თუმცა უნივერსიტეტის მიერ საჩივრის მოსმენის დროს დაცული პროცედურების შესახებ სხვა ინფორმაცია არ არის მოწოდებული. პერსონალის წევრებმა ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ როდესაც სტუდენტები ჩაირიცხნენ უნივერსიტეტში, საინფორმაციო შეხვედრები, რომელიც მათ ჩაუტარდათ, მოიცავდა ინფორმაციას უნივერსიტეტის გასაჩივრების სიტემის შესახებ, რომლის თანახმადაც სტუდენტმა ჯერ საჩივარი უნდა შეიტანოს ფაკულტეტის დეკანთან. თუმცა, სტუდენტებმა, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფს შეხვდნენ (მათ შორის ახლადჩარიცხულები), ვერ გაიხსენეს ინფორმაციის მიღება იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება საჩივრის შეტანა შეფასების ან აკადემიური გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ექსპერტთა ჯგუფს ასევე განუმარტეს, რომ შეფასების შედეგების გასაჩივრება შესაძლოა რთული და დამღლელი იყოს ინდივიდუალური სტუდენტითვის, ისე, რომ ფაკულტეტის დეკანთან, ან უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრთან საჩივრის შეტანის შემთხვევები და საქმის განხილვის დაწყება მათთვის, ვისაც არ ეხმარებოდა სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი, რთული აღმოჩნდა. (იხ. სტანდარტი 5.2) ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ უნივერსიტეტმა უნდა შეამოწმოს საჩივრების პროცედურები სამართლიანობისა და გონივრულობის მიზნით და ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს გასაჩივრების პროცედურები, განახლებული სახით, ისე რომ უზრუნველყოს სამართლიანობა ყველა მხარისთვის.

თვითშეფასების ანგარიშში არ არის აღწერილი, თუ როგორ შეძლებს რაიმე კომპენსაციის მიღებას ის სტუდენტი, რომელმაც არადამაკმაყოფილებელი სწავლება ან სხვა სერვისი მიიღო. როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა სტუდენტებს კითხა, როგორ მოიპოვებდნენ დადებით ცვლილებებს არადამაკმაყოფილებელი სწავლების ან ხელმძღვანელობის შემთხვევაში, მათ განმარტეს, რომ პირველ რიგში მიმართავდნენ აკადემიური პერსონალის წევრს, რომელსაც უშუალოდ ეხება საკითხი და თუკი პრობლემა არ გამოსწორდებოდა, მაშინ საჩივრით მიმართავდნენ დეკანს. თუკი დეკანი ვერ გადაწყვეტდა პრობლემას, მაშინ, როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, ისინი საპროტესტო აქციებს დაიწყებდნენ. ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ უნივერსიტეტს ამჟამად არ აქვს ოფიციალური პროცედურა, რომლის მეშვეობითაც გადაჭრის სტუდენტების მიერ შეტანილ საჩივრებს არასრულფასოვანი მომსახუების შესახებ, იქნება ეს სასწავლო თუ ადმინისტრაციული მომსახურება. (მსგავსად ამისა, ექსპერტთა

ჯგუფმა ვერ გამოავლინა უნივერსიტეტის პოლიტიკა ან პროცედურა, რომლითაც იგი უმკლავდება იმ მესამე პირისგან მიღებულ საჩივრებს, რომელმაც მომსახურება შეიძინა უნივერსიტეტისგან).

ექსპერტთა ჯგუფი უნივერსიტეტს ურჩევს, რომ არც სტუდენტების, არც პერსონალის და ზოგადად არც უნივერსიტეტის ინტერესებში არ შედის, რომ უსდ-ს არ ჰქონდეს ოფიციალური, წესებზე დაფუძნებული პროცედურა, რომლის მეშვეობითაც სტუდენტები წამოჭრიან პრობლემებს, გაასაჩივრებენ და შესაბამის რეაგირებას მიიღებენ არადამაკმაყოფილებელი მომსახურების შემთხვევაში. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ უნივერსიტეტმა სტუდენტურ თვითმმართველობასთან ერთად და პროფესიონალი ექსპერტების დახმარებით, შეიმუშავოს საჩივრების განხილვის პოლიტიკა და პროცედურა მათი გადაწრისთვის, რომელსაც გასახილველად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; შეხვედრები სტუდენტთა წარმომადგენლობასთან, სტუდენტებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის საკითხთა დეპარტამენტთან;

რეკომენდაციები:

უნივერსიტეტმა უნდა შეამოწმოს საჩივრების პროცედურები სამართლიანობისა და გონივრულობის მიზნით და ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს გასაჩივრების პროცედურები, განახლებული სახით.

რჩევები:

უნივერსიტეტმა სტუდენტურ თვითმმართველობასთან ერთად და პროფესიონალი ექსპერტების დახმარებით, შეიმუშავოს საჩივრების განხილვის პოლიტიკა და პროცედურა მათი გადაწრისთვის, რომელსაც გასახილველად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

გადაუდებელი წესით, უნივერსიტეტმა უნდა გამოაქვეყნოს „სტუდენტური ცნობარი“ ან „სტუდენტური სახელმძღვანელო“ ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის; და პერსონალის ცნობარი, როგორც სტუდენტებთან და პერსონალთან ინფორმაციის გაზიარების მექანიზმის ნაწილი. თითოეული მათგანის შინაარსი უნდა შემუშავდეს სტუდენტურ თვითმმართველობასთან და პერსონალის წარმომადგენლებთან კონსულატციის გზით.

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში უნივერსიტეტმა სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები ასე ჩამოთვალა: სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდულ საკითხთა დეპარტამენტი; სტუდენტური თვითმმართველობა; საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურათაშორისი კავშირების სამსახური; სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახური; უცხო ენების ცენტრი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. აღნიშნულია ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც ეთმობათ იძულებით გადაადგილებული და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტების კეთილდღეობას, ასევე შშმ და დამატებითი სასწავლო საჭიროების მქონე სტუდენტებს. თვითშეფასების ანგარიშში ასევე ხაზგასმულია ის ფინანსური დამხარება, რომელსაც უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მოწყვლადი სტუდენტებისთვის, 1990-იანი წლების კონფლიქტებში დაობლებულებისთვის და იძულებით გადაადგილებული ოჯახის წევრი სტუდენტებისთვის (იხ.5.1).

ადგილზე ვიზიტის დროს, პერსონალთან და სტუდენტებთან შეხვედრისას, ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა აკადემიური კოსნულტაციების ის პირობები, რომელსაც უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის. როდესაც სტუდენტი იღებს ნაშრომის შეფასებას (ფორმირებადსა თუ შემაჯამებელს), თითქმის ყველა აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს საკონსულტაციო საათებს, სადაც სტუდენტს შეუძლია მიიღოს დამატებითი უკუკავშირი და აკადემიური რჩევა. უნივერსიტეტი საოფისე სივრცეს არ გამოყოფს აკადემიური პერსონალის იმ წევრებისთვის, რომელთაც არ აქვთ

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობები. შესაბამისად, აკადემიური კონსულტაციების დიდი ნაწილი მიმდინარეობს აუდიტორიებში ან სხვა საერთო სივრცეებში, რაც სტუდენტებსა და მათ აკადემიურ მრჩეველებს არ აძლევთ პირადი დისკუსიების შესაძლებლობას. ეს უსარგებლო გარემობაა, რადგან სტუდენტები, როცა საჭიროა, ვერ შეძლებენ კონფიდენციალურად საუბარს საკუთარი აკადემიური მოსწრების შესახებ ან ნებისმიერ პირადულ საკითხზე, რომელიც მათ სასწავლო პროგრესს შეეხება. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ უნივერსიტეტმა განიხილოს საუკეთესო ვარიანტი იმისა, თუ როგორ შექმნის კერძო სივრცეს პერსონალსა და სტუდენტებს შორის საკონსულტაციო საათებისთვის, იმ აკადემიური პერსონალისთვის, რომელსაც არ აქვს ოფისები.

როგორც უკვე აღინიშნა, სტუდენტები ასევე იღებენ სპეციალისტის რჩევას და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მათ აძლევს მიმართულებას, თუ რომელი კურსი აირჩიონ სწავლის პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ასევე ურჩევს სტუდენტებს თუ როგორ დაიცვას მობილობის სქემით მიღებული სწავლებისას დაგროვილი კრედიტი , საუბარია ისეთ პროგრამებზე როგორიცაა Erasmus+ და როგორ შეიტანოს ეს კრედიტები თავის ანგარიშზე, უნივერსიტეტში დაბრუნებისას. სტუდენტებმა ექსპერტთა ჯგუფთან დადებითად ისაუბრეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან მსგავს საკითხებზე მიღებულ რჩევებსა და მხარდაჭერაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა თვითშეფასების ანგარიშში ცოტა ინფორმაციას მიაკვლია მენტორულ მხარდაჭერზე, რასაც უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის, რათა მათ მხარდაჭერა და რჩევა მიიღონ სოციალური, ფინანსური ან სხვა პრობლემების დროს. თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდულ საკითხთა დეპარტამენტის პასუხისმგებლობები მოიცავს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, „შეისწავლონ კონფლიქტური და პრობლემური საკითხები, რომლებიც სტუდენტებში წარმოიშვება და გადაწრან ისინი“. მართალია სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდულ საკითხთა დეპარტამენტს ღირებული წვლილი შეაქვს უნივერსიტეტში მყოფი სტუდენტების კულტურული და სპორტული შესაძლებლობების გამდიდრების კუთხით, თუმცა მის მიერ გაწეული ნებისმიერი მენტორული მხარდაჭერა და კონსულტაცია შემთხვევითია და არ წარმოადგენს მის მთავარ საქმიანობას; სტუდენტებმა განმარტეს, რომ როგორც წესი დახმარებისთვის ისინი სტუდენტურ თვითმმართველობას მიმართავენ.

ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილებით აღიარებს იმ კარგ საქმეს, რომელსაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სტუდენტების მხარდასაჭერად მათ მიერ აკადემიური გადაწყვეტილებების მიღების კუთხით და ასევე აფასებს იმ გარემოებას, რომ სამსახური ეხმარება სტუდენტებს შეიტანონ მობილობის შედეგად დაგროვილი კრედიტები უნივერსიტეტში დაბრუნების შემდეგ, საკუთარ აკადემიურ ანგარიშზე. ექსპერტთა ჯგუფი ასევე კმაყოფილებას გამოთქვამს სტუდენტური თვითმმართველობის მიერ სტუდენტებისადმი გაწეული მხარდაჭერის კუთხით. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დახმარებისა და რჩევების მხრივ, ამჟამად უნივერსიტეტის სტუდენტები უფრო მეტს საჭიროებენ, ვიდრე უნივერსიტეტი მათ

სთავაზობს - აქვე არანაკლებ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიმდინარეობს ძალისხმევა შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობის შესამცირებლად. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს აკადემიური კონსულტაციების საერთო პირობების ეფექტურობას, განიხილოს სტუდენტებისთვის მენტორული დახმარების უზრუნველყოფა და ამის შესახებ ანგარიში რეკომენდაციებით წარუდგინოს წარმომადგენლობით და აკადემიურ საბჭოებს გაუმჯობესების მიზნით.

უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშში მცირე ინფორმაცია იყო „სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახურის“ საქმიანობის შესახებ. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, სტუდენტთა აზრის ერთ-ერთი გამოკითხვის შედეგები, რომელიც უნივერსიტეტმა ჩაატარა ამ შეფასებისთვის მოსამზადებლად. შედეგებმა აჩვენა, რომ სტუდენტების დიდი ნაწილი (60%) არ ფლობდა ინფორმაციას სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახურის შესახებ და იმის თაობაზე თუ რა წვლილი შეიძლება მან შეიტანოს მათ კარიერულ განვითარებაში.

ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახურის წევრებს. გაირკვა, რომ აღნიშნული სამსახური ორგანიზებას უწევს სტუდენტების განთავსებას კომერციულ, სამრეწველო და სამთავრობო ოფისებსა და სხვა სამუშაო ადგილებზე, თუმცა უშუალო კონტაქტი არ აქვს სტუდენტებთან და ინფორმაციას აწვდის პროგრამის ხელმძღვანელებისა და ფაკულტეტის დეკანატების გავლით. ამ სამსახურის წევრებმა ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ იგი ყოველ წელს ატარებს კარიერის შესახებ რამდენიმე საინფორმაციო ბრიფინგს უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის და რომ მან მოიწვია ადამიანური რესურსების/დასაქმების კონსულტანტები უნივერსიტეტში სტუდენტებთან შესახვედრად.

ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებმა ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ როდესაც დასაქმების შესახებ ინფორმაციას ეძებენ, ისინი რჩევისთვის უფრო მეტად მიმართავენ პროგრამის ხელმძღვანელებსა და დეკანატებს (ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტები და ნაშრომის ხელმძღვანელებს (დოქტორანტები), ვიდრე სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახურს. კურსდამთავრებულებმა, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფს ესაუბრნენ, დაადასტურენს, რომ სტუდენტობის დროს ისინიც პროგრამის ხელმძღვანელებსა და უშუალო ხელმძღვანელებს მიმართავდნენ რჩევებისთვის და მათთან კონტაქტი სწავლის დასრულების შემდეგაც განაგრძეს.

მის ხელთარსებული ინფორმაციის განხილვის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახურის მუშაობის პრინციპი არ იძლევა სტუდენტებთან ახლო და უშუალო ურთიერთობის შესაძლებლობას, სტუდენტები კი მათ უმთავრეს მომხმარებლებლად უნდა განიხილებოდნენ. ეს გარემოება წამგებიანია, როდესაც სტუდენტთა ჩართულობაზე და კარიერისთვის მოსამზადებლად მათ მხარდაჭერაზეა საუბარი. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ უნივერსიტეტმა, პროგრამის ლიდერებთან, დეკანებთან და სტუდენტურ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით, გადახედოს სტუდენტთა

პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახურის მუშაობას, რათა განსაზღვროს რა დამატებითი ადამიანური რესურსი და ტრენინგი შეიძლება იყოს საჭირო იმისათვის, რომ ამ სამსახურმა შეძლოს სტუდენტებისთვის უშუალო მხარდაჭერის უზრუნველყოფა. ამ განხილვის დროს, სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახურის საქმიანობა უნდა შეადაროთ საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის წევრ ქვეყნებში არსებულ უნივერსიტეტებში მოქმედი მსგავსი სამსახურების საქმიანობასთან, სადაც მსგავსი კარიერული მხარდაჭერის სამსახურები რეგულარულად ატარებენ ახლად კურსდამთავრებულთა გამოკითხვებს იმისათვის, რომ შეაფასონ თუ როგორ შეიძლება უკეთ დაეხმარონ მოქმედ სტუდენტებს. მსგავსი სამსახურები ასევე ატარებენ ტრენინგებს სტუდენტებისთვის კერძოდ: დასაქმების უნარების; ვაკანსიების მოძიების; რეზიუმეს წერისა და ვაკანსიაზე განაცხადის შევსების შესახებ; დამსაქმებელთან გასაუბრებისთვის მომზადების თაობაზე; იმის შესახებ თუ როგორ უნდა მოხდეს წარმატებული გადასვლა უნივერსიტეტიდან დასაქმების სფეროში და როგორ მართონ კარიერული განვითარება უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ. ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ უნივერსიტეტის სხვა სამსახურები (როგორიცაა მაგალითად საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურათაშორისი კავშირების სამსახური- იხ ზემოთ) სტუდენტებს სთავაზობენ რამდენიმე ზემოთხსენებულ მომსახურებას და ასევე სთავაზობენ საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრებს, რომელთაც ყოფილი სტუდენტები ატარებენ, რაც შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახურისთვის, რომ სამუშაო მიდგომა უფრო სტუდენტზე ორიენტირებული გახადოს.

თვითშეფასების ანგარიშში მოკლედ არის ღწერილი თუ როგორ ეხმარება უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურათაშორისი კავშირების სამსახური სტუდენტებსა და პერსონალს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად, მათ შორის მობილობის პროგრამებში, როგორიცაა Erasmus+.

ამ სამსახურის წევრებთან შეხვედრისას ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ 2013 წლის შემდეგ იგი უნივერსიტის 22 სტუდენტს დაეხმარა, მონაწილეობა მიეღო Erasmus+-ის გაცვლით პროგრამებში ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში და ასევე ხელი შეუწყო Erasmus+-ით შემოსულ 21 სტუდენტს. ადგილზე ვიზიტის დროს, აღნიშნულმა სამსახურმა ექსპერტთა ჯგუფს განუმარტა, რომ იგი უნივერსიტეტში და პოლონეთში კოლეგებთან მუშაობს სამაგისტრო საფეხურის ერთობლივი პროგრამის ორგანიზებისთვის. სამსახურის წევრებმა ხაზი გაუსვეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინგლისური ენის წერითი და სამეტყველო უნარები საერთაშორისო აკადემიური საქმიანობის ყველა ასპექტზე (სწავლება და კვლევა) და რომ სტუდენტებისა და პერსონალისთვის ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესების შესაძლებლობის მიცემა გადამწყვეტია მათთვის საზგვარგარეთ არსებული შესაძლებლობების გაზრდაში.

სტუდენტები, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფს შეხვდნენ, დადებითად საუბრობდნენ საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურათაშორისი კავშირების სამსახურისგან მიღებულ მხარდაჭერაზე. ეს მოიცავდა ინფორმაცის გაცვლით

პროგრამებზე; მობილობის განაცხადების შევსებას; ლოგისტიკური პირობების შექმნას. მათ ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ სსუ-ში დაბრუნებისას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურათაშორისი კავშირების სამსახურმა ერთობლივად იმუშავეს მათ დასახმარებლად, რათა გაეგრძელებინათ სწავლება უნივერსიტეტში. ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ გაცვლითი პროგრამით წასული და შემოსული სტუდენტების რაოდენობა დაბალია და რომ ისინი იღებენ მაღალი დონის ინდივიდუალურ მხარდაჭერას როგორც საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურათაშორისი კავშირების სამსახურისგან ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისგან.

სტუდენტთა წარმომადგენლებმა და სტუდენტური თვითმმართველობის წევრებმა ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ, როდესაც მათ მიითანეს შეთავაზებები რექტორთან ან ადმინისტრაციის კანცლერთან/ხელმძღვანელთან, დარწმუნებული იყვნენ რომ მათ ყურადღებითა და პატივისცემით მოუსმინეს. მაგალითად მოიყვანეს ცოტა ხნის წინ მომხდარი შემთხვევა, როდესაც უნივერსიტეტი დათანხმდა დაეფინანსებინა სტუდენტური დელეგაცია, რათა ის დასწრებოდა სტუდენტურ კონფერენციას პოლონეთში. $

სტუდენტებმა, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფს შეხვდნენ, დაადასტურეს თვითშეფასების ანგარიშში მითითებული განაცხადი, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ფინანსურ დახმარებას ზოგიერთი სოციალურად და ეკონომიკურად დაუცველი სტუდენტებისთვის. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ სტუდენტთა ინტერესების, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის დასაცავად, უნივერსიტეტმა გამოაქვეყნოს ის პირობები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს ფინანსური დახმარების მისაღებად სოციალურად და ფინანსურად რთულ მდგომარეობაში მყოფი სტუდენტებისთვის და ვებ-გვერდზე უნდა გამოაქვეყნოს ის პირობები, რომლის შემთხვევაშიც უნივერსიტეტი მზადაა გამოყოს დისკრეციული ფინანსები სტუდენტებისთვის საერთაშორისო კონფერენციების დასასწრებად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში და განსაკუთრებით ახალგაზრდული ანგარიში, დანართი 5.3; უნივერსიტეტის წესდება; სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახურის წესდება; შეხვედრები სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახურის წევრებთან; ბაკალავრიატისა და დოქტორანტურის სტუდენტებთან; სტუდენტური თვითმმართველობის წევრებთან.

რეკომენდაციები:

უნივერსიტეტმა, პროგრამის ლიდერებთან, დეკანებთან და სტუდენტურ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით, გადახედოს სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახურის მუშაობას, რათა განსაზღვროს რა დამატებითი ადამიანური რესურსი და ტრენინგი შეიძლება იყოს საჭირო იმისათვის, რომ ამ სამსახურმა შეძლოს სტუდენტებისთვის უშუალო მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

სტუდენტთა ინტერესების, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის დასაცავად, უნივერსიტეტმა გამოაქვეყნოს ის პირობები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს ფინანსური დახმარების მისაღებად სოციალურად და ფინანსურად რთულ მდგომარეობაში მყოფი სტუდენტებისთვის და ვებ-გვერდზე უნდა გამოაქვეყნოს ის პირობები, რომლის შემთხვევაშიც უნივერსიტეტი მზადაა გამოყოს დისკრეციული ფინანსები სტუდენტებისთვის საერთაშორისო კონფერენციების დასასწრებად.
რჩევები: უნივერსიტეტმა განიხილოს საუკეთესო ვარიანტი იმისა, თუ როგორ შექმნის კერძო სივრცეს პერსონალსა და სტუდენტებს შორის საკონსულტაციო საათებისთვის, იმ აკადემიური პერსონალისთვის, რომელსაც არ აქვს ოფისები. უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს აკადემიური კონსულტაციების საერთო პირობების ეფექტურობას, განიხილოს სტუდენტებისთვის მენტორული დახმარების უზრუნველყოფა და ამის შესახებ ანგარიში რეკომენდაციებით წარუდგინოს წარმომადგენლობით და აკადემიურ საბჭოებს გაუმჯობესების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში უნივერსიტეტი მოკლედ მიუთითებს ჯგუფს აფხაზეთში მდებარე მისი წინამორბედის საქმიანობაზე, როგორც სამეცნიერო კვლევის ცენტრზე, რომელსაც მჭიდრო კავშირები ჰქონდა სოხუმის ფიზიკურ-ტექნიკურ ინსტიტუტთან. ეს კავშირები მას შემდეგ განხლდა ინსტიტუტთან, რომელმაც ადგილმდებარეობა შეიცვალა და არაოკუპირებულ ტერიტორიაზე გადმოინაცვლა. ინსტიტუტმა და უნივერსიტეტმა ერთობლივად დანერგეს ერთობლივი სადოქტორო სწავლების პროგრამა ფიზიკის მეცნიერებებში, სადაც მკვლევარი სტუდენტები, თუმცა არა ბაკალავრები, სარგებლობენ წვდომით ინსტიტუტის ლაბორატორიაზე.

უნივერსიტეტი ამჟამად საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ოთხო პრეოქტის გრანტის მფლობელია. ყველა მათგანი მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების დარგში. უნივერსიტეტმა საგრანტო დაფინანსება მიიღო მოლეკულური დიაგნოსტიკისა და მიკრობიოლოგიის ცენტრის დასაარსებლად „ვოლკსვაგენის“ ფონდისგან.

ცოტა ხნის წინ, უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო და გამოყენებითი მეცნიერებების კვლევამ მეორე ადგილი აიღო ჰუმანიტარული და სოციელური მეცნიერებების კვლევის შემდეგ (მათ შორის სამართალი), სადაც აფხაზეთის კვლევები და სამომავლოდ მშვიდობის კვლევების წახალისება ხდება, როგორც უნივერსიტეტის მისიის ნაწილი.

საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მართალია უნივერსიტეტი ხელს უწყობს მისი მისიის ცენტრალურ დარგებში კვლევებს, თუმცა მისი პერსონალის კვლევითი პუბლიკაციები რეცენზირებად საერთაშორისო ჟურნალებში მაინც მცირეა და უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობასთან მიმართებაში, ძალიან ცოტა არის ჩაბმული კვლევაში, ვიყენებთ რა უნივერსიტეტის განმარტებას. კვლევითი საქმიანობის სამომავლო განვითარების მიზნით სტრატეგიული განვითარების 2018-25 წლების გეგმაში უნივერსიტეტის განზრახვების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის უზუსტობები, ექსპერტთა ჯგუფისთვის რთულს ხდის თავდაჯერებით შეაფასოს თუ სად აყენებს უნივერსიტეტი კვლევის განვითარებას, სხვა მრავალ პრიორიტეტებს შორის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობით, საერთაშორისო კვლევით საქმიანობაში ჩართული აკადემიური პერსონალის პროპორცია დაბალია. თუმცა მიმდინარეობს კვლევები აფხაზურ ენებსა და კულტურაზე. უნივერსიტეტმა დანერგა აფხაზეოლოგიის ელექტრონული ბიბლიოთეკა, რომელიც გაეროსა და ევროკავშირის ერთობლივ ინიციატივას წარმოადგენს. პარტნიორული კვლევითი პროექტები ხორციელდება უნივერსიტეტსა და გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტს შორის (ალექსანდრ ვონ ჰუმბოლდტის ფონდი) და ოთხი საგრანტო პროექტი ხორციელდება

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით სოციალური და კულტურული განვითარების დარგში.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-25 ხაზს უსვამს სამეცნიერო კვლევისა და კვლევითი საქმიანობის წახალისების მნიშვნელობას, დამატებითი და დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრების შექმნით, რასაც უნივერსიტეტის პრიორიტეტად განიხილავს. გეგმა ასევე მოიცავს უნივერსიტეტის შიდა საგრანტო სისტემის შექმნას, რათა მეტი მხარდაჭერა ჰქონდეს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კვლევას; პოსტ-სადოქტორო სისტემის შემოღება იგეგმება, რათა დოქტორანტი მკვლევარები მოიზიდონ უნივერსიტეტში მასწავლებლად და კვლევის ჩასატარებლად; ასევე მოიცავს თანამშრომლობას და პარტნიორობას საერთაშორისო კვლევით ცენტრებთან საზღვარგარეთ; ჟურნალებისა და წლიური და პერიოდული გამოცემების გამოქვეყნებას. უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესების ეს მიზნები სასიკეთოა, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფის დაკვირვებით უნივერსიტეტს დასჭირდება არსებითი რაოდენობის და მდგრადი დამატებითი გარე ფინანსები, თუკი ამ მიზნების მიღწევა სურს. სამწლიან სამოქმედო გეგმაში, რომელიც 2018 წელს იწყება, რომლითაც ძალაში შედის სტრატეგიული განვითარების გეგმის ეს ასპექტი, არ არის გაწერილი შესრულებული სამუშაოს მაჩვენებლები, რათა უნივერსიტეტმა შეძლოს იმის შეფასება, მიაღწია თუ არა სასურველ შედეგებს კვლევითი საქმიანობის გაზრდის კუთხით, არც ისაა მითითებული და რა კვლევით შედეგებს ელოდება თითოეული ფაკულთეტისა და კვლევითი ცენტრისგან.

საერთო ჯამში უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა სამეცნიერო და კვლევითი საქმიანოის შესახებ არ იძლევა გადაუდებელი აუცილებლობის შეგრძნებას. იგი არ ითვალისწინებს 2018 წელს განსახორციელებელ კონკრეტულ ქმედებებს, მხოლოდ საცდელ ნაბიჯებს 2019 წელს, მაგალითად აფხაზეოლოგიისთვის კვლევითი ცენტრის დაარსებას და შიდა პოსტ-სადოქტორო სისტემის დანერგვას საპილოტე რეჟიმში. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ უნივერსიტეტმა გადახედოს აკადემიური და კვლევითი პერსონალის მიერ განსახორციელებელი კვლევის ხარისხისა და მოცულობის გაზრდის სტრატეგიებს, ასევე სტრატეგიებს კეთილმოწყობისა და პრაქტიკული განხორციელების უზრუნველსაყოფად. იხილეთ ქვემოთ 6.3, სამუშაოს შესრულების მაჩვენებლების შემოღების აუცილებლობაზე კვლევის შედეგებისთვის, რაც უნივერსიტეტს მისცემს საშუალებას შეაფასოს, აღწევს თუ არა კვლევის მიმართულებით განზრახულ ამოცანებს.

2018 წლის მარტში უნივერსიტეტმა დანერგა სამეცნიერო კვლევისა და განვითარების დეპარტამენტი, რომლის არსებითი მიზანია უნივერსიტეტის კვლევის კოორდინირება და უნივერსიტეტის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის სამოქმედო გეგმის პრაქტიკაში განხორციელება. შეფასების დროს, უნივერსიტეტი წარმატებით ახორციელებდა შვიდ სადოქტორო პროგრამას, რომლებიც აკრედიტებულია განათლების ხარისხის გაუმჯობესების ეროვნული ცენტრის მიერ, ესენია სადოქტორო პროგრამები: გამოყენებით მათემატიკაში; კომპიუტერულ მეცნიერებაში; ფიზიკაში; ქართველურ ენათმეცნიერებაში; თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში; საქართველოს ისტორიასა და არქეოლოგიაში.

ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ უნივერსიტეტის კვლევები აფხაზეთის ენის კულტურასა და ისტორიაში ინტეგრირებულია აფხაზური კვლევების სწავლების რამდენიმე ასპექტში და „ბიომედიცინის მეცნიერებებში მოლეკულური მეთოდების“ ლაბორატორია, რომელიც დაინერგა Volkswagen ფონდის მხარდაჭერითა და ჰანოვერის სამედიცინო სკოლასთან პარტნიორობით და ლაიბნიცის კვლევითი ბიოტექნოლოგიური და ხელოვნური ორგანოების ლაბორატორეიბთან თანამშრომლობით, ხელმისაწვდომი იყო მკვლევარი სტუდენტებისთვის. მსგავსად ამისა, სადოქტორო კლვევის სტუდენტები უნივერსიტეტსა და სოხუმის ფიზიკურ-ტექნიკური ინსტიტუტის ერთობლივი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, სარგებლობენ ინსტიტუტში არსებული კვლევითი კეთილმოწყობით (მათ შორის ლაბორატორიებით).

თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია არსებითი აღწერა უნივერსიტეტის იმ პირობების შესახებ, რომლითაც ხდება დოქტორანტურის სტუდენტების ხელმძღვანელობა და მათი დისერტაციების შეფასება, ეს მოიაცავს ინფორმაციას უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულაციის დოკუმენტიდან, აკადემიური საბჭოს მიერ 2014 წელს დამტკიცებული და შემდეგ 2015, 2016 და 2018 წლებში განახლებული ვერსიის..

ექსპერტთა ჯგუფი შევხდა დოქტორანტებსა და მათ ხელმძღვანელებს (ცალცალკე). დოქტორანტებმა ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ ისინი კმაყოფილები არიან ხელმძღვანელებთან შეხვედრების სიხშირითა და ხარისხით და მიიჩნევენ, რომ ხელმძღვანელები ბევრს მუშაობენ მათთან ერთად საკვლევი თემის განვითარებაში, ასწავლიან რა სტუდენტებს კვლევის მეთოდებსა და ეთიკას და ამზადებენ ნაშრომის შეფასებისა და დისერტაციის დაცვისთვის. ხელმძღვანელებმა ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ მათ ერთდროულად მხოლოდ ორი დოქტორანტის ხელმძღვანელობის უფლება აქვთ.

უნივერსიტეტმა მოგვაწოდა ცოტა ხნის წინ დასრულებული სადოქტორო დისერტაციებისა და სამაგისტრო ნაშრომების ნიმუშები განსახილველად. ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ სადოქტორო ნაშრომის კალიბრი უდავოდ კარგია , მაგრამ იყო უზუსტობები ნაშრომის გაფორმებაში და ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ უნივერსიტეტმა შემოუღოს საკუთარი გამოქვეყნებული მოთხოვნები სტანდარტული სტილისთვის (ფონდი, ფორმატი, ციტირების სტანდარტი). ამისგან განსხვავებით, ექსპერტთა ჯგუფმა პლაგიატის არმაშფოთებელი მაგალითი აღმოაჩინა მისთვის წარდგენილ სამაგისტრო ნაშრომის ნიმუშში. აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან საუბრისას, ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ დოქტორანტებისგან განსხვავებით მაგისტრატურის სტუდენტები (არც ბაკალავრიატის) არ იღებენ სისტემატურ ტრენინგებს კვლევის მეთოდებსა და ეთიკაში, გარდა განალთების ფაკულტეტის სტუდენტებისა. სტანდარტი 2.3-ის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, უნივერსიტეტმა დანერგოს სავალდებულო ტრენინგი აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის (ტრენინგი მოიცავდეს ეთიქკურ ქცევას). ექსპერტთა ჯგუფის

რეკომენდაციაა, რომ წინამორბედი რეკომენდაციის პასუხად, უნივერსიტეტმა უნდა დანერგოს სავალდებულო ტრენინგი კვლევის მეთოდებში მაგისტრატურის სტუდენტებისთვის. სასწავლო პროცესის რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს სადოქტორო სწავლების მინიმალურ სტანდარტს, დაამტკიცა აკადემიურმა საბჭომ (იხ.ზემოთ). ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხილული სხვა დოკუმენტები მოიცავს „სადოქტორო პროგრამების დაგეგმვის, შექმნის, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგიებს“. ეს უკანასკნელი იშველიებს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს და იყენებს კვალიფიკაციების აღმწერს მესამე საფეხურის პროგრამებისთვის, დოქტორის ხარისხის მისანიჭებლად შეფასების ჩარჩოს სახით. ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ იმისათვის რომ სადოქტორო ნაშრომი პრეზენტაციისთვის მიიღოს უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭომ, აუცილებელია რომ იგი ჯერ შეაფასოს შესაბამისი დარგის უცხოელმა ექსპერტმა. ეს მოთხოვნა უნივერსიტეტის მიერ მითითებულია, როგორც „ შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაცია“ სადოქტორო ნაშრომისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში; სტრატეგიული განვითარების გეგმა; სამეცნიერო კვლევისა და განვითარების დეპარტამენტის წესდება; მოლეკულური დიაგნოსტიკისა და ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო ცენტრის წესდება 2018; სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულაცია; სადოქტორო პროგრამების დაგეგმვის, შექმნის, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია; სასწავლო კომპონენტების განსაზღვრება და შეფასებები (დანართი 3.9); შეხვედრები დეკანთან; სამეცნიერო კვლევით და განვითარების დეპარტამენტთან; დოქტორანტების ხელმძღვანელებთან, დოქტორანტებთან; ლაბორატორიებისა და სასწავლო დაწესებულებების დათვალიერება; საგრანტო პროექტების ანგარიშები.
რეკომენდაციები: კვლევის მეთოდებში ტრენინგი უნდა ჩაუტარდეს მაგისტრატურის საფეხურის ყველა სტუდენტს. უნივერსიტეტმა გადახედოს აკადემიური და კვლევითი პერსონალის მიერ განსახორციელებელი კვლევის ხარისხისა და მოცულობის გაზრდის სტრატეგიებს, ასევე სტრატეგიებს კეთილმოწყობისა და პრაქტიკული განხორციელების უზრუნველსაყოფად.
რჩევები: სადოქტორო ნაშრომის პრეზენტაციისთვის უნივერსიტეტმა უნდა აამოქმედოს საკუთარი მოთხოვნები, რომ ნაშრომის ფორმატში დაცული იყოს სტანდარტული სტილი (ფონტი, გაფორმება, ციტირების სტანდარტი).

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია
○ უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. ○ ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში. ○ უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშში უნივერსიტეტი განმარტავს, რომ სამეცნიერო კვლევისა და განვითარების დეპარტამენტის დაარსების მთავარი მიზანია „ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის განვითარებას და თანამედროვე სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დაარსებას“. როგორც ზემოთ აღინიშნა, სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის სამოქმედო გეგმა 2020 წლამდე არ ითვალისწინებს კონკრეტულ პროგრესს გეგმის ამოცანების მიღწევის კუთხით. უნივერსიტეტის სტრატეგიული და განვითარების გეგმა განსაზღვრავს „ახალი პარტნიორებისა და თანამშრომლობის მოძიებას“ როგორც მისი სამოქმედო გეგმის ერთ მთავარ ფოკუსს ინტერნაციონალიზაციისთვის, რაც ეკისრება სამეცნიერო კვლევისა და განვითარების დეპარტამენტს, რომელიც თანამშრომლობს საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურათაშორისი კავშირების სამსახურთან ერთად, რაღა მიაღწიოს ერთობლივ პროექტებსა და თანამშრომლობის მემორანდუმებს. თუმცა, უფრო დაუყვოვნებლივ, უნივერსიტეტი მუშაობს კვლევით გრანტებზე განაცხადების შესატანად ქართულ ორგანიზაციებში, და უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურათაშორის სამსახურთან თანამშრომლობით ცდილობს უზრუნველყოს უნივერსიტეტის პერსონალისთვის საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობები და გააუმჯობესოს უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ გაკეთებული განაცხადები.

თვითშეფასების ანგარიშში მოცემული მონაცემები აჩვენებს, რომ 34 მოქმედი დოქტორი სტუდენტი და 25 დოქტორანტი მუშაობს ასისტენტად. მას შემდეგ რაც დოქტორანტების უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართულობა განიხილა პერსონალთან და სტუდენტებთან, ექსპერტთა ჯგუფი მივიდა იმ აზრამდე, რომ თუკი აკადემიური მიზნებისთვის ინგლისურ ენას თავდაჯერებით ვერ გამოიყენებენ, დოქტორანტებს გაუჭირდებათ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მიღება თუ კვლევების განხორციელება საერთაშორისო გუნდებში, საზღვარგარეთ. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ ინგლისური ენის სწავლების ხარისხი გააუმჯობესოს და ხელი შეუწყოს დოქტორანტებს, რომ უფრო მზად იყვნენ საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობის მისარებად. 2018-25 წლების უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც განსაზღვრავს მის განზრახვებს, რომ განვითარდეს როგორც კვლევითი ინსტიტუტი, 2018 წლის დასაწყისში დაადასტურა აკადემიურმა საბჭომ და წარმომადგენლობითმა საბჭომ. სამეცნიერო კვლევისთვის გათვალისწინებული ფინანსები უნივერსიტეტისთვის არ აღემატება მისი ამჟამინდელი ბიუჯეტის სამ პროცენტს. ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ სამეცნიერო კვლევისთვის დამატებითი ინვესტიციის მოსაპოვებლად, უნივერსიტეტი მუშაობს ახალი ბიზნეს კონტაქტების დამყარებაზე უცხოურ უნივერსიტეტებთან, არა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან, სახელმწიფო და კერძო ინვესტორებთან. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის მიზანი,განავითაროს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა, რისკის ქვეშ დადგება თუკი იგი არ უზრუნველყოფს დამატებით ფინანსებს სახელმწიფო ან სხვა გარე წყაროებიდან. ექსპერტთა ჯგუფმა ჩაინიშნა უნივერსიტეტის განაცხადი თვითშეფასების ანგარიშში ახალგაზრდა დოქტორანტი მკვლევარების და ხელოვნებისა და შემოქმედებით სფეროში ახალგაზრდა პრაქტიკოსების მოზიდვის შესახებ. ასეთი ინდივიდების უნივერსიტეტის საქმიანობაში ჩართვის სტრატეგია წარმოდგენილი იყო ქართულ ენაზე, თვითშეფასების დანართის სახით. უნივერსიტეტმა შეძლო სამგზის მოეპოვებინა პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტი ახალგაზრდა მეცნიერებისთვის, ერთი ლინგვისტიკასა და გენდერში; ერთი ფრაქტალურ მატრიცულ სტრუქტურებში და მესამე ინფორმაციულ სისტემებში. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პრაქტიკულ მომზადებას საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიული კვლევის მეთოდებში მისი პროგრამის ფარგლებში „მოლეკულური მეთოდები ბიომედიცინის მეცნიერებებში“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში, მათ შორის დანართი 6.11; სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-25 და სამოქმედო გეგმები; შეხვედრები დოქტორანტების ხელმძრვანელებთან; საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურათაშორისი კავშირების სამსახურთან; სამეცნიერო კვლევისა და განვითარების დეპარტამენტთან;
რეკომენდაციები:

ინგლისური ენის სწავლების ხარისხი გააუმჯობესოს და ხელი შეუწყოს დოქტორანტებს, რომ უფრო მზად იყვნენ საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობის მისარებად.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში აღნიშNულია, რომ უნივერსიტეტის „სწავლის ხარისხის განვითარების შეფასების მექანიზმების“ დამტკიცებისას, აკადემიურმა საბჭომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა სამეცნიერო მუშაობის შეფასებას, სადაც მთავარი კრიტერიუმები მოიცავს კვლევის შედეგების მოცულობას, რაც განისაზღვრება გამოცემების რაოდენობით, უნივერსიტეტის წევრების მიერ ჩატარებული კვლევითი სამუშაოს ციტირების რაოდენობით; უნივერსიტეტისთვის მინიჭებული პატენტების და მისი პერსონალის წევრების რაოდენობით და მოპოვებული საგრანტო დაფინანსების ოდენობით.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2025 და სამოქმედო გეგმები დამტკიცდა 2018 წელს. უნივერსიტეტის კრიტერიუმები კვლევითი შედეგების შესაფასებლად გაწერილია „სწავლის ხარისხის განვითარების შეფასების მექანიზმებში“. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის ამჟამინდელი პრაქტიკაა, ერთი ამომწურავი წლიური ანგარიშის შედგენა. მოგვაწოდესდ ასეთი

ანგარიშის 2013-2017 წლების პერიოდის ასლები (ქართულ ენაზე). ანგარიშები უფრო აღწერითია და ნაკლებად ანალიტიკური, მაგრამ მათში მოცემულია ინფორმაცია გამოქვეყნებებზე (საქართველოში და საზღვარგარეთ) და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობაზე.

უნივერსიტეტის წლიური ანგარიში კვლევითი საქმიანობის შესაზებ მოამზადა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა. იგი აღწერს შესაძლო შეფასების სქემას სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის ინდივიდების დონეზე, სამეცნიერო კვლევითი ერთეულების და მთლიანად უნივერსიტეტის დონეზე. თუმცა, გაუგებარი იყო ექსპერტთა ჯგუფისთვის უკვე გამოიყენეს თუ არა ეს სქემა პრაქტიკაში, თუ მას მიიღებენ რეგულარულად გამოსაყენებლად.

უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობისთვის ყურადრებას ამახვილებს საზღვარგარეთ არსებულ სამეცნიერო ცენტრებთან კავშირების გამყარებაზე, ყოველწლიური გამოცემების გამოქვეყლებაზე და პერიოდული გამოცემების გამოქვეყნებაზე, და ნაკლებად ამახვილებს ყურადღებას იდნივიდი აკადემიკოსებისა თუ ჯგუფების წახალისებასა და ხელშეწყობაზე, რომ მათი მიგნებები გამოაქვეყნონ რეცენზირებად საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ თუკი უნივერსიტეტს სურს წარმატებით შეუწყოს ხელი აკადემიურ პერსონალს კვლევებში ჩართვის მიზნით, მას დასწირდება ახალი და უფრო ანალიტიკური ტექნიკების შემუშავება რათა დაიანგარიშოს თუ რამდენად ეფექტურია მის მიერ კვლევაში ჩადებული ინვესტიცია ფულისა თუ დროის სახით იმისათვის, რომ მიაღწიოს სასურველ შედეგს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ უნივერსიტეტმა უნდა განსაზღვროს შესრულებული სამუშაოს მაჩვენებლები, როგორიცაა კვლევითი ნაშრომებისა და სხვა პუბლიკაციების ის რაოდენობა საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, რომელსაც იგი მოელის თითოეული ფაკულტეტისა და კვლევითი ცენტრისგან წლიურად და რომ გამოიყენოს ამასთან ერთად სხვა უკვე არსებული ზომები იმის დასადგენად თუ სად უნდა გაამახვილოს მეტი ყურადღება გაუმჯობესების მიზნით.

.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში მათ შორის დანართი 6.1; სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2025 და სამოქმედო გეგმა; სწავლის ხარისხის განვითარების შეფასების მექანიზმები; შეხვედრები აკადემიურ პერსონალთან, დოქტორანტების ხელმძღვანელებთან, დაინტერესებულ მხარეებთან, აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებთან;

რეკომენდაციები:

უნივერსიტეტმა უნდა განსაზღვროს შესრულებული სამუშაოს მაჩვენებლები, როგორიცაა კვლევითი ნაშრომებისა და სხვა პუბლიკაციების ის რაოდენობა საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, რომელსაც იგი მოელის თითოეული ფაკულტეტისა და კვლევითი ცენტრისგან წლიურად და რომ გამოიყენოს ამასთან ერთად სხვა უკვე არსებული ზომები იმის დასადგენად თუ სად უნდა გაამახვილოს მეტი ყურადღება გაუმჯობესების მიზნით.

რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსები
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შეფასების მომენტში, უნივერსიტეტს ჰქონდა ოთხი შენობა, აქედან ორი გამოიყენება საგანმანათლებლო მიზნებისთვის. ექსპერთა ჯგუფმა საჯარო რეესტრის დოკუმენტებიდან შეძლო დადასტურება, უნივერსიტეტის შენობის მიერ

უზრუნველყოფილი მოწყობა აკმაყოფილებს მისი ამჟამინდელი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებებს, როგორც ეს გაანგარიშებულია უნივერსიტეტის „სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის წესით“. წესის თანახმად, თითო სტუდენტზე გამოყოფილი უნდა იყოს 2-2.5 კვადრატული მეტრი. თუმცა, თუკი უნივერსიტეტი სტუდენტების რაოდენობას გაზრდის 2871-დან 3500-მდე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტს დასჭირდება იმის დადასტურება, რომ მის მიერ უზრუნველყოფილი სივრცე საკმარისია სასწავლო და სხვა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის, რათა მის მიერ „სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის წესით’ განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები დააკმაყოფილოს.

ექსპერტთა ჯგუფს უთხრეს, რომ უნივერსიტეტმა დეტალურად გამოიკვლია სტუდენტების დამოკიდებულება არსებული სტუდენტური ინფრასტრუქტურისადმი, თითოეულ ფაკულტეტზე. სტუდენტებს სთხოვდა კომენტარი გაეკეთებინათ იმაზე, თუ რამდენად ადეკვატურია ინფრასტრუქტურა სწავლისა და სწავლების უზრუნველსაყოფად. ამ გამოკითხვის შედეგები მოცემულია თვითშეფასების ანგარიშის დანართის სახით. ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ აკადემიურმა საბჭომ განიხილა უნივერსიტეტის გარემოს მოდერნიზების საჭიროება სწავლისა და სწავლების პროცესისთვის და რომ ამ საქმის განხორციელება უკვე დაწყებულია.

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის ორივე მთავარი შენობა, ადგილზე ვიზიტის დასაწყისში. დათვალიერების დროს ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ უნივერსიტეტის მთავარი შენობის განახლების კუთხით მიმდინარეობს სამუშაოები. მიმდინარეობს ყოველი სართულის გარემონტება, რათა დამონტაჟდეს თანამედროვე გათბობის ცენტრალური სისტემა და საჰაერო კონდიცირების სისტემები ყველა ოთახში და მოეწყოს თანამედროვე სველი წერტილები. უნივერსიტეტი ასევე მუშაობს დაამონტაჟოს თანამედროვე (ციფრული) სასწავლო მოწყობილობები უფრო მეტ აუდიტორიაში. იმავდროულად, ახალი სტუდენტური სასადილო იხსნება მთავარ შენობაში და მის 0 სართულზე განთავსებული ოთახები მზადდება მედიკოსისთვის, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას უნივერსიტეტის მთავარ შენობებში. ექსპერტთა ჯგუფს აცნობეს, რომ ეს უკანასკნელი ხორციელდება უნივერსიტეტის სამედიცინო დამზღვევის დაფინანსებით.

უნივერსიტეტის მთავარი შენობების დათვალიერებისას, ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის მიერ ლაბორატორიული სწავლების და კვლევის ამჟამინდელი მიმდინარეობა. უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშსა და თანმხლებ დოკუმენტებში არსებული ინფორმაციისა და საკუთარი დაკვირვების, ასევე აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან შეხვედრების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის მიერ ლაბორატორიული სწავლების უზრუნველყოფა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში შეზღუდულია და ის, რაც სამომავლო განვითარებისთვის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაშია გათვალისწინებული, სავარაუდოდ არ იქნება საკმარისი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დარგში სწავლის, სწავლებისა და კვლევის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ უნივერსიტეტმა

გადახედოს თუ რა არის საჭირო მდგრადი სწავლის, სწავლებისა და კვლევის უზრუნველსაყოფად და მხარდასაჭერად საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში და განახორციელოს შესაბამისი მიგნებები.

ადგილზე ვიზიტისას, სტუდენტებთან და პერსონალთან დისკუსიების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ თუკი აკადემიური პერსონალის წევრს აქვს აკადემიური ან სხვა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობები, მათ შეეძლოთ აკადემიური კონსულტაციების გაწევა სტუდენტებისთვის საკუთარ ოფისებში. თუმცა სხვა აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, კონსულტაციები ტარდება ღია სივრცეებში, როგორიცაა აუდიტორიები ან საერთო ოფისები. როგორც უკვე აღინიშნა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ისეთი სივრცის არარსებობა, სადაც აკადემიური პერსონალი და სტუდენტები თავისუფლად ისაუბრებენ აკადემიურ საკითხებზე მცირე ჯგუფებად ან პირისპირ, ხელს არ უწყობს სწავლების პროცესს.

ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს და მიესალმება უნივერსიტეტის განზღახვას უფრო თანამედროვე გახადოს გარემო, სადაც მისი სტუდენტები ისწავლიან და თანამშრომლები იმუშავებენ და კვლევებს ჩაატარებენ. უნივერსიტეტის საუკეთესო პრაქტიკად განიხილება მისი სურვილი მოიძიოს სტუდენტების მოსაზრებები მათი სასწავლო სივრცეების ადეკვატურობის შესახებ და რომ ამ ინფორმაციას იყენებს სასწავლო და სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების დასაგებმად. რამდენადაც უნივერსიტეტი სასწავლო სივრცის მოდერნიზებაზე მუშაობს, ექსპერტთა ჯგუფის რჩევა იქნება, რომ გაითვალისწინოს სასწავლო მეთოდების ის მრავალფეროვნება, რომელიც სხვადასხვა პროგრამებში გამოიყენება და შესაბამისად გაუწიოს სასწავლო სივრცეებს ორგანიზება.

ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება უნივერსიტეტის მიერ ახალი სტუდენტური სასადილოს შექმნას მის მთავარ შენობაში , ასევე იმ სამუშაოებს, რომლებიც შენობების გარემონტების მიზნით ამჟამად მიმდინარეობს. ამ სამუშაოების მსვლელობასთან ერთად, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს მეტი სოციალური სივრცე სტუდენტებისთვის, მათ შორის ჯგუფური სამუშაოებისთვის; უნდა გაზარდოს კერძო სივრცეებისა და ოფისების რაოდენობა, სადაც ლექტორები, პროფესორები და მოწვეული აკადემიური პერსონალი შეხვდებიან სტუდენტებს აკადემიური კონსულტაციებისთვის და ხელი არ შეეშლებათ და სადაც აკადემიური პერსონალი კვლევას ჩაატარებს; უნდა განაგრძოს სასწავლო ოთახების და სალექციო სივრცეების , ასევე ბიბლიოთეკებისა და სველი წეტილების მოდერნიზება, მათ შორის შშმ პირებისთვის; უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა ოთახსა და სამოძრაო სივრცეს აქვს გათბობა და კონდიცირება, და რომ თითოეული შენობისთვის გამოყოფილია ავტოსადგომი შშმ პირებისთვის.

უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და განვითარების გეგმა, რომელიც ხაზს უსვამს პრევენციული ზომების საჭიროებას უნივერსიტეტის IT ინფრასტრუქტურის დაცვის მიზნით კიბერ თავდასხმებისა და სხვა უარყოფითი მოვლენებისგან, როგორიცაა ადგილობრივი ელექტრო მომარაგების გაწყვეტა. თვითშეფასების ანგარიშიდან და თანმხლები დოკუმენტებიდან ასევე

უნივერსიტეტის შენობების დათვალიერებისა და პერსონალის წევრებთან ასაუბრების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტნა დაამონტაჟა ცალკეული გენერატორი, რომელიც ადგილობრივი ელექტრო მომარაგების შეწყვეტის შემთხვევაში უზრუნველყოფს უნივერსიტეტს, რათა დაცული იყოს ციფრული ჩანაწერები და ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სერვისები (მათ შორის სწავლა სწავლების). ამის უზრუნველყოფა ხდება კომერციული პროვაიდერის მიერ უსაფრთხო გარემოში, რომელიც მდებარეობს მთავარი შენობისგან შორს. ეს შეესაბამება უმაღლესი განათლების ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სერვისების უზრუნველყოფის საუკეთესო პრაქტიკას.

უნივერსიტეტის მთავარი შენობების დათვალიერებისას ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ უსაფრთხოების წესები და პროცედურები თვალსაჩინოდ არ არის გამოქვეყნებული ლაბორატორიებში, რომლებიც ჯგუფმა მოინახოლა, მათ შორის იმ ლაბორატორიებში, რომლებსაც უნივერსიტეტი იყენენბს, თუმცა სხვა დაწესებულებაში მდებარეობს. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს უსაფრთხოების წესების და პროცედურების თვალსაჩინოდ გამოქვეყნება პერსონალისა და სტუდენტებისათვის, რომლებიც მუშაობენ იმ ლაბორატორიებში, რომელაც მართავს, გირაობს ან ქირაობს უნივერსიტეტი და რომლებსაც მოიხმარენ მისი სტუდენტები. თუმცა, თვალსაჩინოდ არის გამოქვეყნებული ევაკუაციის გეგმა უნივერსიტეტის შენობების ყველა სართულზე, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა და ყველგან განთავსებულია ცეცხლსაქრობები. უნივერსიტეტმა ცოტა ხნის წინ განაახლა შენობების მასშტაბით წყლის მომარაგების შიდა სისტემა ხანძრის შემთხვევისთვის, და უნივერსიტეტის სახანძრო უსაფრთხოების ზომები დამკტიცებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ. პირველადი დახმარების მომსახურებას უზრუნველყოფს სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახური.

ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა ყოფილა თუ არა უნივერსიტეტში ხანძრის ან უსაფრთხოების დარღვევის ინციდენტები და თუ მომხდარა, როგორ მოაგვარეს ისინი. როგორც გაირკვა, წინა წლებში უნივერსიტეტში იყო მცირე ხანძარი, ერთ-ერთ ოფისში, სადაც მხოლოდ დოკუმენტები დაზიანდა და ხანძრის შემთხვევამ არ გამოიწვია უნივერსიტეტის პროცედურების შეცვლა. უნივერსიტეტს აქვს უსაფრთხოების პერსონალის გუნდი, რომელიც მუდმივად მობილიზებულია ადგილზე და აქვს საკუთარი საკაბელო მონიტორინგის სისტემა (CCTV). უნივერსიტეტის უსაფრთხოების პერსონალი სათვალთვალო სისტემას და პატრულირებას იყენებს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არასანქცირებული შეღწევის გასაკონტროლირებლად, ასევე უსაფრთხოებისა და ხანძრის პრევენციის მიზნით; ისინი ასევე ახორციელებენ უნივერსიტეტის აკრძალვას შენობების შიგნით მოწევასთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტში მცირე რაოდენობით შშმ და სპეციალური საწიროების მქონე სტუდენტი ირიცხება. მთავარ შენობაში ყველა სართულზე არის ლიფტი და იმისათვის, რომ გარემო აკმაყოფილებდეს სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტების მოთხოვნებს, მათი ლექციები ტარდება მათთვის ადვილად მისადგომ ოთახებში. ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაადასტურა აქვს თუ არა უნივერსიტეტს ცალკე გამოყოფილი ავტოსაფგომი შშმ პირებისთვის. უნივერსიტეტის განახლებასთან ერთად, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა გაითვალისწინონ შშმ სტუდენტებისთვის შესაბამისი საპირფარეშოების დამოტაჟება მთავარი შენობების ყველა სართულზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში, განსაკუთრებით დანართები 2.2; 7.4; 7.16; და7.13; ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის და განვითარების გეგმა; უნივერსიტეტის მთავარი შენობების დათვალიერება; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; შენობის შიდა ნახაზები; ლიკვიდური აქტივების ფლობის დამადასტურებელი მოწმობები; სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის წესი; შეთანხმებები გარე (პრაქტიკული და კვლევითი სამეცნიერო) დაწესებულებებთან; სადეზინფექციო სამსახურის ცნობა; საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ გაცემული უსაფრთხოების ცნობა; ხელშეკრულება სსუ-სა და სადაზღვეო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგს შორის; სსუ-ს უსაფრთხოების სამსახურის წესდება; ხელშეკრულება სსუ-სა და შპს მაგისტრს შორის. შეხვედრები რექტორთან და კანცლერთან; აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, IT პერსონალთან, ბიბლიოთეკისა და ელექტრონული ბიბლიოთეკის პერსონალთან, სტუდენტებთან და მათ არჩეულ წარმომადგენლებთან; ტექნიკური მხარდაჭერის პერსონალთან.
რეკომენდაციები: უნივერსიტეტმა გადახედოს და აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოს ანგარიში ჩააბაროს იმის თაობაზე თუ რა არის საჭირო მდგრადი სწავლის, სწავლებისა და კვლევის უზრუნველსაყოფად და მხარდასაჭერად საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში და განახორციელოს შესაბამისი მიგნებები. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს მეტი სოციალური სივრცე სტუდენტებისთვის, მათ შორის ჯგუფური სამუშაოებისთვის; უნდა გაზარდოს კერძო სივრცეებისა და ოფისების რაოდენობა, სადაც ლექტორები, პროფესორები და მოწვეული აკადემიური პერსონალი შეხვდებიან სტუდენტებს აკადემიური კონსულტაციებისთვის და ხელი არ შეეშლებათ და სადაც აკადემიური პერსონალი კვლევას ჩაატარებს; უნდა განაგრძოს სასწავლო ოთახების და სალექციო სივრცეების , ასევე ბიბლიოთეკებისა და სველი წეტილების მოდერნიზება, მათ შორის შშმ პირებისთვის; უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა ოთახსა და სამოძრაო სივრცეს აქვს გათბობა და კონდიცირება, და რომ თითოეული შენობისთვის გამოყოფილია ავტოსადგომი შშმ პირებისთვის. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს უსაფრთხოების წესების და პროცედურების თვალსაჩინოდ გამოქვეყნება პერსონალისა და სტუდენტებისათვის, რომლებიც

მუშაობენ იმ ლაბორატორიებში, რომელაც მართავს, გირაობს ან ქირაობს უნივერსიტეტი და რომლებსაც მოიხმარენ მისი სტუდენტები.

რჩევები:

თუკი უნივერსიტეტი სტუდენტების რაოდენობას 3500-მდე, მაშინ უნივერსიტეტს დასჭირდება იმის დადასტურება, რომ მის მიერ უზრუნველყოფილი სივრცე საკმარისია სასწავლო და სხვა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის, რათა მის მიერ „სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის წესით' განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები დააკმაყოფილოს.

რამდენადაც უნივერსიტეტი სასწავლო სივრცის მოდერნიზებაზე მუშაობს, უნდა გაითვალისწინოს სასწავლო მეთოდების ის მრავალფეროვნება, რომელიც სხვადასხვა პროგრამებში გამოიყენება და შესაბამისად გაუწიოს სასწავლო სივრცეებს ორგანიზება.

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უნივერსიტეტის სურვილი მოიძიოს სტუდენტების მოსაზრებები მათი სასწავლო სივრცეების ადეკვატურობის შესახებ და რომ ამ ინფორმაციას იყენებს სასწავლო და სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების დასაგეგმად.

ის, რომ უნივერსიტეტმა მისი ციფრული ძირითადი ციფრული სასწავლო და ადმინისტრაციული სერვისების ჰოსტინგი კომერციულ მომწოდებელს დაავალა, უსაფრთხო დაწესებულებაში, რომელიც უნივერსიტეტის შენობიდან შროს მდებარეობს.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს ყველა მთავარ შენობაში აქვს საბიბლიოთეკო წიგნები, პერიოდული გამოცემები და ჟურნალები სტუდენტებისა და პერსონალისთვის;. უნივერსიტეტმა

ასევე დანერგა ელექტრონული ბიბლიოთეკა, რომლის მეშვეობითაც სტუდენტები და პერსონალის წევრები შედიან ციფრული გამოცემების ლიცენზირებულ ასლებში, ონლაინ მომსახურების გამოყენებით. სალიცენზიო შეზღუდვები გულისხმობს, რომ ეს კონკრეტული მომსახურება ხელმისაწვდომია მხოლოდ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებული კომპიუტერებიდან და ტერმინალებიდან. ბიბლიოთეკებში არის სკანერები და ასლის გადამღები მოწყობილობები, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. ბიბლიოთეკა მკითხველებისთვის ღიაა დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე სამუშაო დღეებში. შაბათობით კი 09:00-14:00 დროის მონაკვეთში.

უნივერსიტეტმა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმი, რათა სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეს მისი მომსახურების გამოყენების შესაძლებლობა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას წვდომა აქვს ბიბლიოთეკათაშორის მომსახურებაზე, რომლის მეშვეობითაც, წიგნები, რომლებიც არ არის საცავში, შესაძლოა ითხოვონ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისგან.

ექსპერტთა ჯგუფმა ბიბლიოთეკის პერსონალთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან შეხვედრისას განიხილა უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო მომსახურება. დაადგინა, რომ ბიბლიოთეკის წიგნების საცავის ძირითადი ნაწილი შედგება სილაბუსებში ჩამოთვლილი მასალებისგან, და რომ სასწავლო პერსონალი რეგულარულად ურჩევს სტუდენტებს, რომ გამოიყენონ ბიბლიოთეკა დავალებების მოსამზადებლად. ასევე შევიტყვეთ, რომ ბიბლიოთეკის პერსონალი, როგორც ჯგუფი, სათანადოდ კვალიფიციურია, ზოგიერთ მათგანს მაღალი კვალიფიკაცია აქვს ინფორმაციის მართვაში და რომ ისინი სარგებლობენ უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობებითა და ტრენინგებით.

ბიბლიოთეკის პერსონალი გარკვეულ ტრენინგს უწევს ახლადჩარიცხულ ბაკალავრიატის სტუდენტებს იმის თაობაზე, თუ როგორ გამოიყენონ ბიბლიოთეკა და მისი ციფრული კატალოგი. თუმცა, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან შეხვედრის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ბიბლიოთეკის მიერ გაწეული ინსტრუქტაჟი ან არასაკმარისია ან არასაკმარისად კარგად არის გადმოცემული, რადგანაც პერსონალმა და სტუდენტებმა განმარტეს, რომ ისინი უპირატესობას ანიჭებენ ბიბლიოთეკის პერსონალს ანდონ წიგნების მოძებნა, ვიდრე თავად გამოიყენონ ბიბლიოთეკის ციფრული საძიებო სისტემა. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს იმ ინსტრუქტაჟის ეფექტურობა, რომელსაც სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს იმისათვის, რომ ბიბლიოთეკისა და სხვა ინფორმაციისა თუ მონაცემთა წყაროების დამოუკიდებლად მოხმარება შეძლონ, ამ დაკვირვების შედეგები, რეკომენდაციებთან ერთად გაუმჯობესების მიზნით წარუდგინონ აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოს.

თუმცა, როგორც აქამდე უკვე აღინიშნა, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები არ იღებენ სისტემატურ ტრენინგს კვლევის მეთოდებში (იხ. სტანდარტები 2.3 და 6.1), გარდა განათლების ფაკულტეტზე მყოფი სტუდენტებისა. სტუდენტებმა ექსპრტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ მათ არ იცნოდნენ თუ

უნივერსიტეტი ბიბლიოთეკათაშორისი მომსახურების მხარეს წარმოადგენდა: როდესაც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას არ აქვს საჭირო მასალა, ისინი მიმართავენ საჯარო ბიბლიოთეკებს.

უნივერსიტეტის მთავარი შენობების დათვალიერებისას, ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ტერიტორია, სადაცსტუდენტებისა და პერსონალისთვის უზრუნველყოფილია უსადენო ინტერნეტით წვდომა საუნივერსიტეტო ქსელებზე და წვდომა ინტერნეტზე. ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ ბიბლიოთეკის სივრცე, მათ შორის სამკითხველო დარბაზების სივრცე ამჟამად შეზღუდულია და დასაჯდომები -არაკომფორტული. მოწვეულმა ლექტორებმა და პროფესორებმა ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ როგორც წესი ისინი მთავარ შენობებში განლაგებული ბიბლიოთეკებით არ სარგებლობენ, თუმცა გამოიყენებენ ონლაინ ტექსტებს.

ბიბლიოთეკის პერსონალთან, აკადემიურ პერსონალთან, ხელმძღვანელებთან და დოქტორანტებთან შეხვედრების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა თუ რა მასშტაბით სარგებლობენ პერსონალი და სტუდენტები, მათ შორის დოქტორანტები, ინფორმაციის იმ ონლაინ წყაროებით, რომლის გამომწერიცაა უნივერსიტეტი, როგორებიცაა Thomson-Reuters, JSTOR და EBSCO. ექსპერტთა ჯგუფი იმედგაცრუებულია, რომ ამ ღირებული საინფორმაციო წყაროებით სარგებლობა აქტიური მკლვევარების მხრიდან შეზღუდულად ხდება და რომ მათ არც აკადემიური პერსონალის უმეტესობა მოიხმარს ხშირად. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ ბიბლითეკამ რეგულარულად მოამზადოს ანგარიში იმ მონაცემების შესახებ, თუ რა მასშტაბით სარგებლობენ აკადემიური პერსონალის წევრები იმ ონლაინ მონაცემთა ბაზებით, რომლის გამომწერიცაა უნივერსიტეტი და წარუდგინოს ეს ანგარიში აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს.

ბიბლიოთეკა რეგულარულად აგროვებს ინფორმაციას, მომხმარებელთა გამოკითხვებით და მოხმარების მონაცემებით, თუ როგორ მოიხმარს აკადემიური პერსონალი (მათ შორის მოწვეული) და სტუდენტები მის სერვისებს და როგორ ხედავენ სამომავლო საჭიროებების განვითარებას. ბიბლიოთეკის მომხმარებლებზე ჩატარებული კვლევის შედეგად მოგროვებული ინფორმაცია წარმოდგენილია უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშში. ნაჩვენებია, რომ სტუდენტი მომხმარებლების 44 პროცენტი კმაყოფილია ბიბლიოთეკის გარემოთი და 47% კმაყოფილია ბიბლიოთეკის მიერ გაწეული მომსახურებით. გამოკითხულთა მხოლოდ 24 პროცენტი ფიქრობს, რომ ბიბლიოთეკა სრულყოფილად აღჭურვილია. ასეთი შედეგები შემაშფოთებელია: ბიბლიოთეკა იმედს უნდა იტოვებდეს, რომ მისი მუშაობისადმი კმაყოფილება იმატებს, როდესაც ახალი საბიბლიოთეკო სივრცეები გახდება ხელმისაწვდომი მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის მთავარი შენობის პირველი სართული განახლდება. თუკი მომხმარებელთა კმაყოფილების დონე არ გაუმჯობესდება, ბიბლიოთეკას მოუწევს უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს სამეცადინო გარემოსა და მის მიერ მიწოდებული მომსახურების გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში; დანართი 2.2 (ბიბლიოთეკის წესები; ბიბლიოთეკის რეგულაცია); სტრატეგიული განვითარების გეგმა; საბიბლიოთეკო რესურსების საკუთრებაში ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ელექტრონული კატალოგი; სახელმწიფო შესყიდვის კონტრაქტი Clarivate Analytics-თან; სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; შეხვედრები ბიბლიოთეკის პერსონალთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და დოქტორანტებთან.

რეკომენდაციები:

უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს იმ ინსტრუქტაჟის ეფექტურობა, რომელსაც სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს იმისათვის, რომ ბიბლიოთეკისა და სხვა ინფორმაციისა თუ მონაცემთა წყაროების დამოუკიდებლად მოხმარება შეძლონ, ამ დაკვირვების შედეგები, რეკომენდაციებთან ერთად გაუმჯობესების მიზნით წარუდგინონ აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოს.

რჩევები:

ბიბლითეკამ რეგულარულად მოამზადოს ანგარიში იმ მონაცემების შესახებ, თუ რა მასშტაბით სარგებლობენ აკადემიური პერსონალის წევრები იმ ონლაინ მონაცემთა ბაზებით, რომლის გამომწერიცაა უნივერსიტეტი და წარუდგინოს ეს ანგარიში აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს.

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც ზემოთ აღინიშნა (სტანდარტი 7.1) უნივერსიტეტმა დაამკვიდრა უსაფრთხო კომპიუტერული ქსელები გარე სერვერებით, რომელიც ეხმარება მის ადმინისტრაციას; სტუდენტებისა და პერსონალისთვის განკუთვნილ მომსახურებებს; სწავლას, სწავლებასა და კვლევას. ექსპერტთა ჯგუფმა ჩაინიშნა, რომ სტუდენტებს აქვთ წვდომა პერსონალურ კომპიუტერებზე და ინტერნეტზე, ამისათვის განკუთვნილ ოთახებში და შეუძლიათ დაუკავშირდნენ ინტერნეტს უნივერსიტეტის უსადენო ინტერნეტზე წვდომის წერტილებში. ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის მთავარი შენობების დათვალიერებისას აღმოაჩინა, რომ კომპიუტერების ზოგიერთი ოთახი არ იყო ღია სტუდენტებისთვის.

უნივერსიტეტის საინფორმაციო სერვისი Elgoni მოქმედებს 2014 წლიდან და ხელს უყობს სასწავლო პროცესის მართვის სისტემას. არის მოდულები, რომლის მეშვეობითაც ხდება ტრენინგების, სტუდენტების რეგისტრაციის, სწავლის საფასურის გადახდის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მართვა.

Elgoni-ს შემდგომი პროგრამაა StudLab, ინტერნეტზე დაფუძნებული ინფორმაციული სისტემა, რომელიც ადგილზე ვიზიტის დროს განვითარების საბოლოო ეტაპებს გადიოდა. StudLab შექმნილია იმისათვის, რომ თავი ოუყაროს და უნივერსიტეტის ყველა ავტორიზებული მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი გახადოს მონაცემები და ინფორმაცია პერსონალის, სტუდენტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ.

უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს აქვს სარედაქციო პასუხისმგებლობა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის სისწორეზე; ვებ-გვერდი უზრუნველყოფს ინფორმაციას უნივერსიტეტის მისიაზე, ასევე იძლევა წვდომას უნივერსიტეტის რეგულაციების ონლაინ ვერსიებსა და მოახლოებულ ღონისძიებებზე. ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ ცოტა ხნის წინ უნივერსიტეტმა დაამატა ინგლოისურენოვანი გვერდები და ადგილზე განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე ასევე ადასტურებს, რომ ვებ-გვერდი განახლების პროცესში იყო როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენაზე. სამომავლოდ, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ სტუდენტების, პერსონალის, დაინტერესებული მხარეებისა და პარტნიორებისთვის სასარგებლო იქნება, თუკი წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების ოქმები და თანმხლები დოკუმენტაცია განთავსდება ვებ-გვერდზე უნივერსიტეტის წლიურ საფინანსო და შიდა აუდიტის ანგარიშებთან ერთად და ასევე განთავსდება დოკუმენტი რისკების მართვისადმი მიდგომის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ დოქტორანტურის მომავალი სტუდენტებისთვის, რომლებიც ეძებენ შესაძლო ხელმძღვანელებს კვლევისთვის, სასარგებლო იქნება, თუკი უნივერსიტეტი გამოაქვეყნებს ინფორმაციას იმ კვლევებზე, რომელთაც აკადემიური და კვლევითი პერსონალი ახორციელებს უნივერსიტეტში და ასევე მათ შედეგებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში; სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის წესი; ITმართვისა და განვითარების პოლიტიკა; ხელშეკრულება ინტერნეტის მომწოდებეთან Grena; უნივერსიტეტის ვებ-გვერდები, ადგილზე ვიზიტის დროს; ქართულ და ინგლისურ ენებზე; ციფრული ინფორმაციის მართვის სისტემები, ნიმუშად მოყვანილი ექსპერტთა ჯგუფისთვის ადგილზე ვიზიტისას (მათ შორის ბიბლოთეკის სისტემები); შეხვედრები ბიბლიოთეკისა და ელექტრონული ბიბლიოთეკის პერსონალთან, აკადემიურ პერსონალთან (მათ შორის მოწვეულთან), სტუდენტებთან (დოქტორანტებთანაც), საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან, IT სამსახურთან.
შეფასება გთხოვთ, მონიშნოთ უჯრედი, რომელიც ყველაზე უკეთ აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიური კომპონენტის მიმართ პროგრამის შესაბამისობასთან დაკავშირებით. ☐სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
რეკომენდაციები: სტუდენტების, პერსონალის, დაინტერესებული მხარეებისა და პარტნიორებისთვის სასარგებლო იქნება, თუკი წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების ოქმები და თანმხლები დოკუმენტაცია განთავსდება ვებ-გვერდზე უნივერსიტეტის წლიურ საფინანსო და შიდა აუდიტის ანგარიშებთან ერთად და ასევე განთავსდება დოკუმენტი რისკების მართვისადმი მიდგომის შესახებ. დოქტორანტურის მომავალი სტუდენტებისთვის, რომლებიც ეძებენ შესაძლო ხელმძღვანელებს კვლევისთვის, სასარგებლო იქნება, თუკი უნივერსიტეტი გამოაქვეყნებს ინფორმაციას უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევებსა და მათ შედეგებზე.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
7.4 ფინანსური რესურსები
○ უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. ○ უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას. ○ უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე. ○ უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.

- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია უნივერსიტეტის ფინანსების, მათ შორის, მისი ბიუჯეტისა და შემოსავლების სტატისტიკისა და მათი მართვის შესახებ. ამ ინფორმაციიდან , ექსპერტთა ჯგუფისთვის ნათელია თუ რამდენად ეყრდნობა უნივერსიტეტი სტუდენტების მიერ გადახდილ სწავლის საფასურს და რატომ ანიჭებს დიდ მნიშვნელობას შემოსავლების წყაროების გამრავალფეროვნებას.

ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ უნივერსიტეტის წლიური ბიუჯეტის განხილვის დიდი ნაწილი ეხება სტუდენტთა სწავლის საფასურიდან შემოსული შემოსავლების მიახლოებით განსაზღვრად და მიღებულ ინფორმაციას ინვესტიციის საჭიროებაზე, ასევე სხვა ხარჯებს, რომელიც უმეტესად ფაკულტეტებიდან მოდის. ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის ფინანსური მართვის საკითხი განიხილა რექტორთან და კანცლერთან, ასევე სასწავლო-სამეცნიერო პროცესის მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტის წევრებთან და წამომადგენლობითი საბჭოს წევრებთან და სხვა შეხვედრებზე აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან.

ამ ისკუსიების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ის პროცესები, რომლითაც უნივერსიტეტის წლიური ბიუჯეტი განისაზღვრება, უმეტესად კოლეგიალურია, სადაც წარმომადგენლობითი საბჭო, სპიკერის ხელმძღვანელობით, მუდმივად ცდილობს მიაღწიოს, რომ ფასი და ხარისხი შეესაბამებოდე სერთმანეტს თითოეულ ხარჯთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს ასევე დარჩა შთაბეჭდილება, რომ ამ სათატბირო პროცესის ნაწილია დაფინანსების შესახებ მოთოხვნებისა და საჭიროებების შესახებ განაცხადების შეგროვება და მათი ამომწურავად განხილვა, იმ გარიგების მისაღწევად რაც შეესაბამება უნივერსიტეტის გამოთვლილ შემოსაბალს და შემაჯამებელ შეხედულებას იმისა თაობაზე, თუ ამ შემოსავლის განაწილება რა სახით იქნება მისაღები. თუმცა, ბუნდოვანია ის თუ როგორ წყვეტს უნივერსიტეტი თუ საერთო შემოსავლის რა ნაწილი შეინახოს ხარჯებისთვის და ინვესტიციებისთვის, რომელიც უნივერსიტეტის ყველა წევრს წაადგება, როგორიცაა უნივერსიტეტის საკუთრებისა და კეთილმოწყობის გარემონტება, კვლევებისთვის, IT სამსახურისა და ბიბლიოთეკის მუშაობისთვის ან აკადემიური მუშაობისთვის ახალი სივრცეების გამოსაყოფად, როდესაც ჯერ არ არის შემოსავალი სწავლის საფასურიდან.

საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ უნივერსიტეტი საჭიროებს უზრუნველყოს, რომ ფინანსური და სხვა წყაროები, რომელსაც იგი გამოყოფს სამეცნიერო კვლევისთვის, ემთხვეოდეს ამ დარგში მის ამბიციებს და რომ ისინი თანმიმდევრული იქნება კვლევაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის შესაფერის პირობებთან. ეს უნდა მოიცავდეს აკადემიური

პერსონალისთვის ანაზღაურებადი შვებულების უზრუნველყოფას, რათა მათ ჩაათარონ ვრცელი ან სხვაგვარად არსებითან მნიშნელოვანი პროგრამების კვლევა.

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ფინანსური ინფორმაციისა და მონაცემების განხილვის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს უნივერსიტეტის პირად შეხედულებას, რომ ამჟამინდელ გარემოებებში მისი ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ უნივერსიტეტის 2019-25 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის და მასთან ასოცირებული სამოქმედო გეგმების შესრულება, ასევე უნივერსიტეტის შენობებში არსებული ხარვეზების გამოსწორება, მისი უზრუნველყოფა საბუნებისმეტყველო მეცნიერებისთვის და კვლევის გაუმჯობესებისთვის, ექსპერტთა ჯგუფის შეხედულებით, მნიშვნელოვან რესურსებს მოითხოვს. უნივერსიტეტის შემოსავლები 2013 და 2017 წლებში მზარდი იყო (5,048,455 ლარიდან 6,543,753 -მდე); თუმცა, მსგავსი გაუმჯობესება, სულ მცირე, უნდა შენარჩუნდეს მაინც უახლოეს წლებში, უკეთესი და უფრო სწრაფი პროგრესისთვის.

უნივერსიტეტმა ცოტა ხნის წინ დააარსა შიდა აუდიტის სამსახური, რათა გააუმჯობესოს მის ხელთ არსებული ფინანსური და სხვა მონაცემები და ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობისა და ეფექტიანობის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება ამ მოვლენას. შეფასების დროს, ამ ახალ სერვის ჯერ კიდევ არ ჰქონდა წარდგენილი მისი პირველი ანგარიშები უნივერსიტეტის რექტორის, კანცლერისა და წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოებისთვის. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია იქნება, რომ როდესაც შიდა აუდიტის სამსახურის თითოეული ანგარიში შესრულდება და მათ წარმომადგენლობითი საბჭო მიიღებს, ისინი უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რათა დაცული იყოს გამჭვირვალობის პრინციპი და გამოჩნდეს უნივერსიტეტის თავდაჯერებულობა მისი ფინანსური პროცედურების მართლზომიერებისადმი.

უნივერსიტეტმა წარმოდგინა განაცხადი რისკებისადმი მის მიდგომაზე ბუზნეს უწყვეტობის გეგმის დანართში. იმ პრინციპების გათვალისწინებით, რომელთა დაცვასაც უნივერსიტეტი გეგმავს თავის საქმიანობაში, ეს დოკუმენტები დამაკმაყოფილებელია. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია იქნება, რომ ახლა კარგი იქნებოდა უნივერსიტეტისთვის, თუკი მისი წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოები განიხილავენ უნივერსიტეტის რისკების მართვის სტრატეგიებს და შეთანხმდებიან „რისკის მიდრეკილების“ ხასოათზე თითოეული „რისკ კატეგორიისთვის“ თავიანთი რისკების მართვის სტრატეგიებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში, კერძოდ დანართი 7.4(შემოსავლების დინამიკა 2013-2017 წლები 1; შემოსავლების დინამიკა 2013-2017 წლები 2), ბიუჯეტი; დაფინანსების დინამიკა; ბიზნეს უწყვეტობის გეგმა; სსუ-ს შიდა აუდიტის სამსახურის წესდება; შეხვედრები რექტორთან, კანცლერთან, მათ პერსონალთან; წარმომადგენლობით

საბჭოსთან; აკადემიურ საბჭოსთან; განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წერილი აუდიტის განხორციელებასთან დაკავშირებით.
რეკომენდაციები: უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ ფინანსური და სხვა წყაროები, რომელსაც იგი გამოყოფს სამეცნიერო კვლევისთვის, ემთხვეოდეს ამ დარგში მის ამბიციებს და რომ ისინი თანმიმდევრული იქნება კვლევაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის შესაფერის პირობებთან. ეს უნდა მოიცავდეს აკადემიური პერსონალისთვის ანაზღაურებადი შვებულების უზრუნველყოფას, რათა მათ ჩაათარონ ვრცელი ან სხვაგვარად არსებითან მნიშნელოვანი პროგრამების კვლევა. როდესაც შიდა აუდიტის სამსახურის თითოეული ანგარიში შესრულდება და მათ წარმომადგენლობითი საბჭო მიიღებს, ისინი უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რათა დაცული იყოს გამჭვირვალობის პრინციპი და გამოჩნდეს უნივერსიტეტის თავდაჯერებულობა მისი ფინანსური პროცედურების მართლზომიერებისადმი. კარგი იქნებოდა უნივერსიტეტისთვის, თუკი მისი წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოები განიხილავენ უნივერსიტეტის რისკების მართვის სტრატეგიებს და შეთანხმდებიან „რისკის მიდრეკილების“ ხასოათზე თითოეული „რისკ კატეგორიისთვის“ თავიანთი რისკების მართვის სტრატეგიებში.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.